

2633/3
1957

1243

ქართველი მუსიკის ისტორია

ისტორიული, ლიტერატურული და სამეცნიერო კრებული

Bedi Karthlisa (« Le Destin de la Géorgie »)

RECUEIL HISTORIQUE, SCIENTIFIQUE ET LITTERAIRE GEORGIEN

Directeur : K. SALIA - 8, rue Berlioz, Paris (16) - Tél. : PASSy 75-35

N° 24-25

JUILLET 1957

N° 24-25

შ ი ნ ა ა რ ს ი:

პროფ. მიხ. წერეთელი — ილია ჭავჭავაძის მოქლვა (1907-1957)

კ. სალია — ქართველი ერის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის
(1801-1918)

პროფ. მ. მუსხელიშვილი — დამონებულ ერთა წარმომადგენლობისათვის
გრიგოლ რობაქიძე — ფოთლები

გ. გამყრელიძე — ოცნება როველზე

მ. მ. თარხნიშვილი — შენიშვნები ახალი ქართული ლიტერატურის
ისტორიაზე

გ. ნოზაძე — ანთიმოზ ივერიელი და ქართული სტამბა

ნინო სალია — ლოცვა

ჰ. მ. ხინიკაძე — ლამარა

ბიბლიოგრაფია

ქრონიკა

ილია ჭავჭავაძის მოკლვა

(1907-1957)

ნახევარმა საუკუნემ განვლო მას აქეთ, რაც ილია ჭავჭავაძე მოიკლა ვე-
 რაგულად.

ის მართლადაც „შავი დრო“, როდესაც უდიდესი ქართველი ტყვიით წა-
 ჟციეს, დასაწყისი იყო საქართველოს უკანასკნელი ტრაგედიისა.

რად იყო ილია ჭავჭავაძის მოკლვა ქართველი ერის ტრაგედია? იმიტომ რომ მან დაქარგა დიდი მწერალი და დიდი მოღვაწე? არა: ილიას თვისნი დიდნი საქმენი უკვე აღსრულებული ჰქონდენ, იგი უკვე მოხუცი იყო, საუ-
 კუნდაც ორავინ ცოცხლობს და ცხოვრების მიმწუხრს მოსალოდნელია ზველასათვის ამ სოფლიოთან განსულა. — იმიტომ რომ იგი ქართველთა ხე-
 ლით მოიკლა? არა: უბედური შემთხვევის, ან მეკობრეთა თავს-დასხმის მსხვერპლი შეიძლება ყველა შეიქმნას, სულ ერთია ვინ არის დამნაშავე, უც-
 ხო თუ თანამემამულე მსხვერპლისა. — რად იყო ილიას მოკლვა დასაწყიის საქართველოს უკანასკნელი ტრაგედიისა? იმიტომ რომ იგი დღემდე გრძელ-
 დება და შეიძლება მართლადაც უკანასკნელი იყოს დღეს მოსაქლავად გან-
 წირული ქართველი ერისა.

აქ ნათლად უნდა ვხედავდეთ მიზეზს ამ საშინელი მოვლენისა, რომელიც ილიას მოკლვით დაიწყო, და არა ვაბრალოთ მქლველობის დანაშაული მე-
 კობრეთ, ან რუსის უანდარმთ, და ამით გავამარტივოთ როული მოვლენა და სინიდის დავიმშვიდოთ, — რომ ქართველ ერს ილიას მოკლვის დანაშაული არ მიუძღვის და სხვა.

ილია დაეცა იმ ბრძოლაში, რომელიც წარმოებდა საქართველოში ილიას ეროვნულ იდეოლოგიასა და უცხო, შორითგან შემოტანილ მარქსიზმს შო-
 რის. ამ უკანასკნელის „რევოლუციონურმა“ სიმკაცრემ და დაუნდობლობაში იმსხვერპლა საქართველოს დიდი „წინასწარმეტყველი“, — მოვლენა, რომ-
 ლის მსგავსი სხვაგანაც გვიჩახავს. ქართველ ერს კი არ მიუსვია სიკვდილი თვისი „წინასწარმეტყველისათვის“, არამედ ვნება მას არგუნეს სასჯელად იმ უსჯულო სინიდისის ქართველთ, რომელთაც ერი არ სწამდა და ილიას მოკლვის თოთხმეტი წლის შემდეგ თვით მთელი ერი, მონობისაგან ახლად განთავისუფლებული, უცხო ძალებით შეიძყრეს, ჯვარს-აცვეს და დღემდე ჯვარზედ ჰყავსთ გაკრული.

ილია ჭავჭავაძისთვის ერი ცოცხალი საზოგადოებრივი პიროვნება იყო, ერთი მრთელი რამ, რომლის ნაწილთა შორის ვერავითარი განსხვავება მას ვერ შლის და არც უნდა დაშალოს იგი. დასაბამითგან დღემდე ცხოვრება ქართველი ერისაც მუდამ ცვალებადი იყო, ხოლო თვით იგი იმავე პიროვნე-
 ბად დარჩა. დროთა სრბოლაში, მისი ისტორიის განმავლობაში მას არა თუ მხოლოდ თვისი განსაკუთრებულ თვისებათა მქონე მოდგმა შეუნახავს, არა-
 მედ მას შეუქმნია დიდი ლირებულებანი კულტურისა. ხშირად განმცდელი



დიდი ტრაგედიისა, ხშირად დამარცხებული და განადგურებული, იგი მუდამ იყო მცდელი თვისი ენერგიით ნაცართაგან კვლავ აღდგომისა და განახლებისა, და ამ ენერგიის წყარო იყო ყოველი ნაწილი მისი, ერის შვილი ყოველი სოციალური მდგომარეობისა, —ყოველი წეს-წყობილების დროს. „ჩვენ ყველანი ერთნი ვართ“, ერთი ერის შვილნი, ამბობდა ილია. და საშახურიც საზოგადოებისა მისთვის ერის სამსახური იყო, გაუმჯობესებისათვის და წინ-სლვისათვის ყველა მის ნაწილთა, ყოველი მისი წევრის უზრუნველ-ყოფილ, თავისუფალ, შეგნებულ და ღირსების მქონე პიროვნებად ქცევისა, — ერთობ მთელი ერის სამარადისოდ და ღირსეულად თვით-მყოფობისათვის. ერის ნივთიერი სიძლიდრე ყველასათვის უნდა იყოს წყარო კეთილ-დღეობისა, და არა ერთი ნაწილისათვის ერისა, და ენერგიის გაღება ამ სიძლიდრის ზრდისათვის ყველას მოეთხოვება. — უწარსულო ერი ულირია, ეს თვით იმას ნიშავს, რომ მისი ცხოვრება საუკუნეთა განმავლობაში უქმი, და თვით იგი ყოველი შემოქმედებითი ნიჭის არა-მქონე ყოფილა. ხოლო რაც წარსულში ერს შეუქმნია დიდი და სამარადისო ღირებულების მქონე, მას შესწავლა, ცოდნა, პატივი უნდა, რომ კულტურულ ერად დადგეს იგი სხვა კულტურულ ერთა შორის. „კეთილის“ შენახვა და „ჯერკვალის“ განგდება ერის ნამოქმედართაგან წარსულისა, ცხოვრების რომელი დარგითგანაც უნდა იყვნენ იგინი, ერთი უდიდეს საზრუნავთაგანია ერის მსახურისათვის, ვინაითგან მხოლოდ წარსულთან უშუალო კავშირი ინახვს იმ სულს, რომელიც მას უდგას იმ დღითგან, როდესაც ერი ერად გახდა. ხოლო გმობა წარსულისა საკუთარი თავის გმობაა, და მოწყველა მისგან, — გადაგვარება, არა-არად ქცევა, და არა განახლება ცხოვრებისა.

შორის წაგვიყვანდა ილია ჭავჭავაძის მსოფლიოს ხედვის აღწერა. ვიქმა-როთ ეს, რაც ვთქვით. ამ აზრებით ხელ-ძლვანილი ემსახურებოდა ილია თვის ერს, საქართველოს, — სიტყვით, კალმით და საქმით. დიდი პოეტი, ძლიერი თეორეტიკოსი, შეუდარებელი პუბლიცისტი, მრავალ-ფერი ცოდნით აღჭურვილი და აროდეს უსაბუთოდ და უსაფუძვლოდ მწერალი ან მეტყველი, დიდი ენა-მჭევრი, დაუძინებელი მოქმედი ყოველი საქმისა, რომელიც ესაჭიროებოდა ქართველ ერს, მთელ ქართველ ერს, — ი ვინ იყო ილია ჭავჭავაძე, და რა საკვირველია, თუ მან უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა ქართველი ერის შორის მისი ხანგრძლივი ღვაწლით და თუ იგი ბუნებრივად გახდა მეთაური, ხელ-მძლვანელი, დამცველი, მესაიდუმლე, „წინასწარმეტყველი“ მისი. — ილიას „შრომის ახსნაც“ სწავლა ყველგან, იგი არ იყო არც ისეთი „ნაციონალისტი“, მხოლოდ მისი ერი რომ სწავს და სხვა არც ერთი. — მან ისიც იცოდა, რომ ხშირად მხოლოდ ძალით, რევოლუციით მოიპოვებს ჩაგრული ნაწილი ერისა თავისუფლებას და შეიქმნის უკეთეს ცხოვრებას, მაგრამ ისიც იცოდა, რომ დეგენერაცია რევოლუციის იდეისა ბრძოლის პროცესში და მის ხელმძღვანელთა უგნური ხელმძღვანელობა ტერრორითა და სისხლის წყურვილით ერის საუკეთესო ნაწილს სპობს, და ამით ე.წ. „მონაპოვარი“ რევოლუციისა დიას ქნინი და მცირეა ხოლმე იმასთან შედარებით, რაც გახელებულთა აღტყინებას ვნება მიუყენება ერისათვის, და შეიძლება ისეთი „ახალი“ რამ გამოვიდეს აგრე გამხეცებული რევოლუციითგან, რომ „ქველი“ სანატრელ განმქრალ სამოთხედ ეჩვენებოდეს ყველაფრისაგან განდარცულ აღამიანს. მაგალითებს ასეთ მოვლენათა ბევრს ვხედავთ ისტორია-

ში და ერთი უდიდესი თვალ-წინ გვაქვს. — და ილიამ ისიც იკოდა, რომ კუთარი ერის უფლებათა დაცვა არ ნიშავს მეზობლის მტრობას და წახდენას, „უმეზობლობისაღმი“ მისწრაფებას, არამედ მისი იდეალიც ერთა „შორის თანხმობა და მშვიდობა იყო.

სრულიად სხვა რამ იყო საქართველოში შემოჭრილი უცხო მსოფლიოს ხედება, — მარქსიზმი, — და იდეოლოგია და საქმე მის მიმდევარ ქართველთა ფილოსოფია მარქსიზმისა გამატერიალისტებული დიალექტიკა იდეალისტ-ის ჰეგელისა, — ერთად-ერთი „მეცნიერული“ სწავლა ბუნების ყველა მოვლენათა და მსგავსადვე სოციალურ მოვლენათა ახსნისათვის, ისტორიის გა-გებისათვის, კულტურული კუმბრიობის მომავლის განვითარებისათვის და სხვ. „ეკონომიკური მატერიალიზმი“, ანუ „ისტორიული მატერიალიზმი“, ანუ „დიალექტიური მატერიალიზმი“, — ა რა არის მარქსიზმის „მეცნიერება“ და მარქსისტები დიალექტიკის განვითარებით გარდაუვალი სოციალიზმის მოძღვრებას „მეცნიერულ სოციალიზმად“ უწოდებენ, თუმცა არც ერთ ნამდვილ მეცნიერებას არც წინათ დასჭირვებია იდეალისტური ან მატერიალისტური დიალექტიკა თვის აღმოჩენათათვის და არც დღეს სჭირდება მას იგი არსად, გარდა „საბჭოთა“ კომუნისტურ-პროლეტარული“ საზოგადოებისა. — იდე-ათა იმ სისტემაში, სადაც საწარმოო საშუალებათა განვითარება და განმრავალფეროვანება ჰქმნის ეკონომიურ აგებულებას საზოგადოებისა; სადაც ეს ეკონომიური აგებულებაა საფუძველი, სხვა ყველაფერი სულიერ-კულტურული კი ზედ-ნაშენი მასზედ, ყოველთვის შეცვლილი საფუძვლის შეცვლის შემდეგ; სადაც ეკონომიურ განვითარების ნიადაგზედ წარმოშობილ კლასსთა შორის ბრძოლაა მთელი ისტორია კულტურულ ერთა და ამ ბრძოლაში გამარჯვებულ გაბატონებულ კლასთა ბატონობა მხოლოდ და-მარცხებულ კლასსთა სახელმწიფო არის განმტკიცებული და საფუძ-ვლად უდევს სახელმწიფოთა ცხოვერებას; სადაც უკანასკნელ, კაბიტალისტურ ხანაში საზოგადოებათა განვითარებისა პროლეტარიატი ჩაბმული ბურ-ეუაზის წინააღმდეგ ბრძოლაში, — პროლეტარიატი, რომელსაც არც სამ-შობლო აქვს, არც არაფერი სხვა, გარდა ბაზარზედ გასასყიდო სამუშაო ძა-ლისა, — პროლეტარიატი, რომელიც იზრდება კაბიტალის კონცენტრაციას-თან ერთად და ირაზმება შევნებულ მხედრობად, რომ თვით გაბატონდეს, თვით ბურეუაზიული დემოკრატიზმის ხანის განვლითაც, და თვისი ღიქტა-ტურით უკლასო საზოგადოება შექმნას მთელ მსოფლიოში „ექსპროპრიატ-ორთა ექსპროპრიაციის“ შემდეგ, — მსოფლიო კომუნიზმი, — და ამით იქ-მნას დიალექტიკის განვება: თეზისი — პირველ-ყოფილი კომუნიზმი, ანტი-თეზისი, უარ-ყოფა მისი — კერძო საკუთრებაზედ დამყარებული კლასსთა საზოგადოებანი მშრომელთა ექსპროპრიაციისა, კვლავ თეზისი, უარ-ყოფა უარ-ყოფისა — მსოფლიო კომუნიზმი, უკლასო საზოგადოება, სადაც ექსპლ-ოატაციას ადამიანისა ადგილი არ ექნება, და სხვ. და სხვ. — ასეთ სისტემაში ადგილი არ აქვს არც შემოქმედებით სულს ადამიანისა, არც სულს საზოგა-დოდ, არც სარწმუნოებას, არც წარსულისა და მის კულტურათა ნამდვილ გაგებას და დაფასებას, არც ერს და მისი პიროვნებისა და მის განსაკუთრე-ბულ უფლებათა დაცვას. ეს მოძღვრება დამშლელია ერის მთლიანობისა, მი-სი სულიერი ორგანიზმის განმანადგურებელი, და ამით დამაშრობელი კულ-ტურის წყაროისა, ვინაითგან არავითარი დიდი კულტურა ერის გარეშე არ

წარმოშობილა და მსოფლიო კომუნიზმის წიაღში მისი დევენერაცია სრული გაქრობაც იქმნება აუცილებელი, — მით უმეტეს, რომ მარქსიზმისათვის უცხო და მიუღებელია, და სამტროც, ყოველივე არისტოკრატიული, რჩეული ერის შორის, ხოლო ის ერი, რომელსაც ვერ შესძლებია თვისი წიაღითვან არისტოკრატიულ ელემენტთა შობა, ყოველთვის არარაობა ყოფილა კულტურული შემოქმედების მხრით. თვით დემოკრატიაც არარაობაა, არავითარი ლირებულების მქონე, თუ თვით „დემოსი“ არად ვარგა, ესე იგი მოკლებულია ყოველ „არისტოკრატიას“. არისტოკრატია „წოდება“ არ არის, რაგვარადაც ზოგს ჰგონია, არამედ შერჩეული ჯიში ერის შორის, შემქმნელი ერის კულტურისა, მისი დიდებისა, თავს-მდები აღურაცხელ მოვალეობათა მის დასაცავად, სახელმძღვანელოდ და მარადის-ყოფად.

ამ მსოფლიოს- ხედვის წინააღმდეგომ მოუხდა ბრძოლა ქართულ ნაციონალიზმს. —ვხმარობ ამ სიტყვას მისი ნამდვილი მნიშვნელობით და არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ჩემთვის მის განჯიერებას ცრუ-ჟუმანისტთა მიერ, რომელთაც, თითქოს რაღაც უმაღლესი იდეის მსახურო, არც ერთი ერი არ სწავს,—არც საკუთარი და არც უცხო! — კონფლიქტი აუცილებელი იყო და ნაციონალისტთათვის ბრძოლა ძნელი, — არა იმიტომ რომ მარქსიზმის დებულებანი თეორიულად აუდებელ სიმაგრეთ წარმოადგენდენ, არამედ სიძნელე სულ სხვა გარემოებისაგან იყო შექმნილი: რუსეთის მიერ საქართველოს მოტყუებით და ვერაგობით შეპყრობისა, მისი სახელმწიფოს მოსპობისა და ერის განძარცვის შემდეგ ყველა მის დაწესებულებათაგან, საუკუნ. ჯანმავლობაში ბრძოლით ისეც დალლილ ქართველ ერს ახლა ძველებზე უფრო ძლიერ მტერთან მოუხდა ბრძოლა, და კიდე შესძლო მან ოც და ათის წლის განმავლობაში გამაგრება მის წინააღმდეგომ, — ბრძოლა, რომელიც მისი დამარცხებით უნდა გათავებულიყო. ძალა-მიხდილს ახლა მას მოსვენება სჭირდებოდა და სხვა მოქმედებით, შშვიდობიანი შრომით გამომრთელება, ზრდა და განვითარება. და მის მოღვაწეთა მიზანი იყო შექმნა ერის ორგანოთა, ნაცვლად რუსეთის მიერ მისგან მოკვეთილთა, რომ გამაგრებულს, გაძლიერებულს, რიცხვობრივად, ნივთიერად და სულიერად გაზრდილს ერს კვლავ და ეწყო ბრძოლა პოლიტიკური თვით-მყოფობის აღსაღევნად. ეს ძნელი, დიდი და რთული საქმე იყო და მისთვის ილეოდა მთელი ენერგია ქართველ ეროვნულ მოღვაწეთა. მათთვის შეუძლებელი იყო რევოლუციონურ ნაციონალისტურ რაზმთა შექმნა პოლიტიკური ბრძოლისათვის არა თუ ხალხის მასათა, თვით ინტელიგენციის შორისაც. უცხოეთში ქართული ეროვნული საკითხი არც ერთი სახელმწიფოსათვის არ იდგა, და ბრძოლის განახლება უდიდესი იმპერიის, რუსეთის წინააღმდეგომ შეუძლებელ რამედ და ასურდად იყო მიჩნეული ქართველ მოღვაწეთაგან. — მხოლოდ გვიან, ქართველი ერის ოდენ მომაგრების შემდეგ ზემოთ-მოხსენებულთა ღვაწლით, დაარსდა სოცფედერალისტთა პარტია, გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური პროგრამით, — საქართველოს ავტონომიით და სხვ.. ქართული საკითხი უცხოეთის წინაშე მათ დააყენეს და თვით საქართველოში მათ შექმნეს კადრები პოლიტიკურ მებრძოლთა ინტელიგენციისაგან და ხალხის ყველა ნაწილისაგან. 1905 წ. ეს კადრები ქართულ ეროვნულ-სოციალისტთა უკვე მებრძოლ ძალად გამოდის რუსეთის თვით-მყირობელობის წინააღმდგომ და მეტოქედ სოციალ-ფემინისტთა, ერის უფლებათა დამცველად, მათი აღდგნის მომთხოვნელად. —

ილია ჭავჭავაძის იდეათა აღმსარებელ ქართველ პოლიტიკურ მეცნიერლობაზე დარაზმევა კი უფრო გვიან, ილიას მოკლვის შემდეგ შეიქმნა შესაძლებელი. და ამას წინ უსწრობდა კიდე მცირე ორგანიზაციულად, მაგრამ იდეით რა-დიკალური ნაციონალისტთა ჯგუფი, მებრძოლი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, ბოლოს თანა-მოქმედი ილიას მიმდევართა, რომელთაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა მათი პოლიტიკური ბრძოლის მიზნად დაისახეს.

ხოლო ეს ყოველი მცირე იყო იმასთან შედარებით, რაც მარქსიზმია შექმნა საქართველოში პოლიტიკური დარაზმულობის მხრით. მარქსისტებს შეეძლოთ დარაზმულ ძალთა უპირატესობა მოეპოვებიათ საქართველოში, და ამისი მიზეზი აი რა იყო: მათი პროგრამმა მხოლოდ პოლიტიკურ-სოციალური იყო, — არა ეროვნული. მათი პროგრამმის ე. წ. მინიმუმის განხორციელება შესაძლებელი იყო და არა ოცნება: მოსპობა თვით-მპყრობელობისა, დამყარება დემოკრატიისა რუსეთში, მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესება და სხვ., — შექმნა წეს-წყობილებისა, რომელიც აგრეთვე მოსაპონოდა შემდეგ და მთელი კაცობრიობა შევიდოდა სოციალისტურ სამოთხეში. ამისთვის იბრძოდა რუსის ხალხის და რუსეთში მყოფ კველა სხვა ხალხთა დიდი მასსები და ამ დიდ მოძრაობაში შესლევა მისცემდა ქართველ ხალხსაც იმედს უკეთესი მომავლისა. გარდა ამისა მარქსისტულ-სოციალისტური მოძრაობა საერთაშორისო იყო, და ქართველი ხალხიც, რომელიც რუსის და რუსეთში მყოფ ხალხებთან იბრძოლებდა საერთო მიზანთა მისახწევად, დიდ ინტერნაციონალთან იქმნებოდა გადამტული. მთელი რუსეთისა და მთელი კაცობრიობის ამ უზარ-მაზარ მოძრაობაში შესლეთ მას ზურგი ექმნებოდა გამაგრებული და ამით მისი ბრძოლაც გამარჯვებით დამთავრდებოდა. — თუ ვისე მაინც საჭიროდ მოეჩვენებოდა ყოველივე ამასთან ერთად ქართველი ერის უფლებათა ხსენებაც, მას უპასუხებდენ, — ამგვარი რამ დღეს არა მარტო მშრომელთა „კლასსიური შეგნების დაბნელება“ იქმნებოდა, არამედ ხელის შემშლელი საერთო დიდი მოძრაობისა. და ამას გარდა, დამყარდება რა გამარჯვების შემდეგ ყოველთა მაცხოვნებელი დემოკრატია, სხვა საკუთხებთან ერთად ეროვნულიც ადვილად გადასაწყვეტი იქმნება რუსეთში. — ფანატიკოსმა რევოლუციონერებმა, რომლებიც ბრძოლის საშუალებად ტერრორის იყენებდნენ, და თვით თავსაც არ ზოგადდენ, არ ერიდებოდენ არც დევნას მთავრობის მიერ, არც ციმბირს და კატიორგას, არც სახრჩობელს, შექმნეს ძლიერი კადრები თავ-განწირულ პროცეგანდისტთა და დარაზმეს საქართველოში ხალხი, ამგვარი სრულიად განთავისუფლებული წმიდა ეროვნული ბრძოლის სიმძიმისაგან და სიძნელეთაგან: შიგნით ბრძოლა მშრომელთა კრასსისა „მყვლეფელთა“ წინააღმდგომ, განსაკუთრებით თავად-აზნაურობისა, ცხოვრების ეკონომიურად უმჯობესად შეცვლისათვის, გარეთ სხვა ერებთან თანაბრძოლა მთელი რუსეთის დიდ მოძრაობაში პოლიტიკურ მიზანთა მისახწევად, — დემოკრატიის დასამყარებლად, და სხვ!.. ქართველებს ყველაფრის გადაჭარება გვიყვარს, და ჩევნი მარქსისტებიც ისე შორს წავიდენ თვისი ანტინაციონალიზმით, რომ „ხალხს“ აყვირებდნენ, — არ „გვინდა ავტონომიაო“, და რაიცა მართლაც საკვირველია, არც ქართული ს. დ.-ული პარტია შექმნეს მათ, არამედ „რუსეთის ს. დ. მუშათა პარტიის“ წევრები იყვნენ. ქართველები იყვნენ მხოლოდ, რომლებსაც საკუთარი ს. დ. პარტია არ

უნდოდათ, სხვას კი ყველას ჰქონდა იგი რუსეთში: სომხებს, ებრაელებს, პორტუგალიებს და სხვ..

ბრძოლა ნაციონალისტთა და მარქსისტთა შორის საქართველოში მკაფიო, უსიამოვნო და მთელი ერისათვის მავნებელი გახდა. თეორიულმა ბრძოლამ უკეთ მნიშვნელობა დაკარგა. რა მნიშვნელობა ჰქონდა ს. დ-ები-სათვის, დამტკიცებდენ თუ არა ნაციონალისტები მაგ. ენის „ზედნაშენობის“, ან კლასსთა ბრძოლით ისტორიის ამოწურვის, ან ისტორიაში პიროვნების უმნიშვნელობის უსაფუძვლობას და სხვ., ან და იჩვენებდენ თუ არა ნათლად, რომ მაგ. საქართველოს თავად-აზნაურობის მოღვაწეობა მთელი ქართველი ერისათვის იყო და არა მხოლოდ მისი კლასიური ინტერესებისათვის, და სხვ.. მარქსიზმმა „ხალხი“ დარაზმა მის წინააღმდეგომ, ყველა „გაბატონებულ“ კლასსთა წინააღმდეგომ, იდეურად და ორგანიზაციულად, „შეგნებულად“ მებრძოლი „მტრის“ დასამარტებლად, და მარქსისტთათვის უმთავრესი ეს იყო. ხოლო ამით ერის მთლიანობა ისპობოდა, იშლებოდა ის კავშირები, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში აერთებდა ქართველი ერის ნაწილთ და რომელმაც შეინახა იგი ათას წელთა დროის სივრცეზე ათასი მტრის წინააღმდეგომ ბრძოლაში. ერი განხეთქის გზაზე იდგა, რათგანაც ის ნაწილიც მისი, რომელსაც საჭურვლით, ტერრორით აღარ ზოგადენ, საჭურველს ისხამდა თავის დაცვისათვის, და ამგვარად საქართველოს სამოქალაქო ობის ცეცხლი უნდა წაკიდებოდა.

რასაკვირველია ყველა ქართველ მარქსისტს, ყველა ს. დ-ს არ მოსწონდა ეს მოვლენა, დამღუბველად მიაჩნდა იგი თვით მათი მოძრაობისათვის. მათ შორის მრავალი იყო ჭეკინი, გონიერი პიროვნება, და მათი ვავლენის და მოქმედების წყალობით მრავალი უბედურება აცდა თავითვან ჭეკინას. მაგრამ მათ შორის იყო აგრეთვე ყოვლად ბოროტი და რეგვენი ელემენტები, რომლებისათვის „გალრმავება კლასსთა ბრძოლისა“ უდიდესი რევოლუციური მიხწევა იყო. ყველაზე უკეთური მათგანი იყო ფილიპე მახარაძე. და როდესაც მან დაინახა, რომ ნაციონალისტები იდეურად ვერ იქმნენ დამარტებულნი, არ დაქმაყოფილდა მით, რომ „ხალხის“ დარაზმული ძალა მათი მეტი იყო ვიდრე ნაციონალისტთა და ამ მხრით მათ საფრთხე არ მოელოდა, არამედ იდეური სიკვდილი განიზრახა ნაციონალიზმისა და მისი უდიდესი მეთაური ამოილო მიზანში. წმიდა იდეური ბრძოლით რომ ვერა დააკლო-რა, ცილისწამებით და დევნით მისდგა ილია ჭავჭავაძეს, და რაც მახარაძემ, გელეიშვილმა და მათმა სხვა მომხრეებმა მის წინააღმდეგომ სიბინძურე წერეს, მართლა უდიდეს სირცხვილად არის მოსაგონებელი იმ უბედური ეპოქითვან ჩევნი ცხოვრებისა. და როდესაც ვერც ამან გასჭრა და განმანადგურებელი პასუხი მიიღეს ილიასაგან და შერცხვენა მათი, მაშინ სატანამ საჭურველი ააღებინა მათ ხელში და მოაკლვევინა დიდი ქართველი. რასაკვირველია ილია არ მოკლულა ს. დ-თა პარტიული დადგენილებით. ერთობ ქართველ ს. დ.-ას არავითარი წილი არ უდევს ამ კრიმინალობაში. მე დარწმუნებული ვარ, რომ თვით მახარაძე დ გელეიშვილიც ვერ გაბედავდენ უშუალოდ მოეწყოთ იგი. ხოლო მათ მიერ ილიას დევნით და ცილის წამებით წაქეზებულთა, ვიღაც ღმრთისაგან შეჩენებულთა საიდუმლო სინედრიონბა დაატეხა თავს ქართველ ერს ეს უბედურება და სირცხვილი. მათ მეკაბრეები გამოიყენეს აღმასრულებელ ორგანოდ, რომ ბოროტი საქმე მათი არ განცხადებულიყო

და უბრალო თავს-დასხმად მეკობრეთა მიეჩნია იგი საზოგადოებას. ხოლო იმ შეჩენებულთა სახელს და გვარს ვერც გავიგებთ ვეროდეს, და მაღლობა ღმერთს, რომ ვერ გავიგებთ! სირცევილად თვით პეტი ეყოფა იმ დროსაც და ჩვენც, ვინც მას სიმწრით ვიგონებთ. — ილია ჭავჭავაძის მოკლვის შემდეგ ფ. მახარაძე გაქრა საქართველოთვან, ხოლო არა ვითარცა სინილის-შეწუხებული იუდა, არამედ ვითარცა იუდა, იუდის საქმეთა გამგრძობი.

ილია ჭავჭავაძის მოკლვა მთელმა ქართველმა ერმა განიცადა ვითარცა კრა ლახვრისა გულსა შუა. გლოვითა და ტირილით აღივსო საქართველო, ყოველი სარწმუნოების და მდგომარეობის ნაწილი ქართველი ერისა, და თუ გლოვა დიდი და ღრმა იყო, დიდი იყო აგრეთვე რისხევა ერისა: მისი თავის მოქრა მოინდომეს, წაართვეს რა მას მისი დიდი მეთაური. და ეს შეიძლება მიზეზი გამხდარიყო ქართველთა მიერ ურთი-ერთის განადგურებისა, ამან ყველა გონს მოიყანა. გონს მოგვიყვანა ჩვენც, მაშინდელი ახალ-გაზრდობის ერთი ნაწილი, რომელმაც არ იცოდა რას როტავდა და რას ჩმახავდა 1905 წლის წინად, ამ წლის დღეებში და შემდეგაც, ღმერთმა იცის ვისი და რაის გავლენით, „რევოლუციონური ბრძოლით“ გატაცებული. ილიას მოკლვამ თვალი აგვიხილა. დავინახეთ „რაშიგან ვართ“. დავირაზმეთ ერის სამსახურისათვის, მიეხვდით რა, რომ სხვა უდიდესი მოვალეობა ადამიანისათვის არ არსებობს, და ჩვენმა მცირემ, მაგრამ მტკიცე დარაზმულობამ თავის ღროზედ თვისი მოვალეობა ერის წინაშე ნათლად აღასრულდა. — გონს მოვიდა თვით ქართული მარქსიზმიც, ქართველთა ს. დ-ია. წარმომიდგენია რას აზრობდა მრავალი მათგანი: რა ნაყოფი გამოიღო ჩვენ მიერ ნაქადაგებმა მოძღვრებამ, მართალია ბოროტთა და გონება-დაბნელებულთა მოქმედებით, მაგრამ ჩრდილი მათი უკეთურების ჩვენც გვადგებაო! და სიტყვები ვლასა მგელაძისა და კარლო ჩხეიძისა ილიას დასაფლავებაზედ ნათლად მოწმობდენ, რომ ილიას მოკლვა მათაც ისევი ეცათ ლახვარივით გულს, რაგვარადც სხვა ქართველს. „რევიზია“ მათ მიერ მათი მსოფლიოს-ხედვისა და ბრძოლის მეთოდთა მაშინ დაიწყო. და დაიწყო აგრეთვე გამოყოფა ქართული მარქსიზმის წიაღითვან ქართული ეროვნული ს. დ-იისა, რომლის მეთაურებად ერთნი საუკეთესონი გამოვიდენ. და ყოველივე ამით კვლავ განმეორდა მოვლენა: ყოველი წინასწარმეტყველის მოკლვა მკლველთა მიზანთა შერცხვენაა და არა მიხსევა, ხოლო მსხვერპლის კულტი ჩნდება ხალხთა შორის: — „ესე არს სისხლი ჩემი თქვენთვის და მრავალთათვის დათხეული, მისატევებელად ცოდვაათ“, გაისმის შეუწყვეტლად ხმა ხალხის მიმართ ჯნებული წინასწარმეტყველისა.

პირველ დიდ მსოფლიო ომში კვლავ სავსებით ცხად-იქმნა, რომ „პროლეტარს“ სამშობლოც ჰქონია, კაცობაც, ვაჟ-კაცობაც და ბევრი სხვა რამ ღირსეული, — არა მარტო სამუშაო ძალა, ბაზარზედ გასასყიდი, რაგვარაც ც ღალადებდა სწავლა მარქსიზმისა. „პროლეტარი“ გმირულად იბრძოდა სამშობლოსათვის, თვისი ერისათვის, თავადთან, აზნაურთან, „ბურჟუასთან“, გლეხთან ერთად, და თუ მას, მებრძოლს, საღმე ვინმე სიცრუის ქადაგებით და მუხთლობით მახვილი ჩასცა ზურგში, იგი სატანა იყო, გარეთგან მოსული მაკლური მისი. — აგრეთვე ყოველი ერი, სახელმწიფოს არა მქონე და უცხოსაგან დამონებული, ჩაება ამში ამა თუ იმ სახით და მოითხოვდა მისი პო-

ლიტერატური თვით-მყოფობის აღდგენას და საერთაშორისო ცნობას, როდენ
საც ზავის შესაკრავად და ქვეყანაზედ კვლავ წესიერების აღსადგენად დას-
ხდებოდენ გამგენი ამა ქვეყნისანი. და მაშინ ქართველთა ს. დ-ის მეთაურს,
ნ. ეორდანიას დაუდგა საკითხი: საქართველოს ბედის გადაწყვეტა ამ დიდ,
ქვეყნის გარდამემნელ დროს, ვის დაედებოდა ვალად და ტვირთად თუ არა
მას, ხელ-მძღვანელს და მბრძანებელს ქართველი ხალხის დიდი ნაწილის და-
რაზმულობისა? ახალი იდეის სწრაფად მიცემა დარაზმულობისათვის, რომ-
ელსაც სხვა იდეა ჰქონდა მიცემული, არა ეროვნული, ადვილი საქმე არ იყო.
მაგრამ თვით პოლიტიკური დარაზმულობა არსებობდა, დიდი ძალა მის
ზურგს უკან, და ახლა მისი ჭყუისა, მოხერხებისა და პოლიტიკური გამჭრია-
ხობის საქმე იყო ამ ძალის დაყენება ეროვნულ გზაზედ. ყოველივე ეს მას
შესწევდა და სრული იმედით თავისი თავისა იგი დროს უცდიდა, ქართველი
ერისათვის ის მიეცა, რისთვისაც ილია ჭვეჭავაძე იბრძოდა, რომელთანაც მას
წინათ მუდმივი თეორიული დავა და შეტაკება ჰქონდა. — როდესაც გერმან-
ის მიერ ომში დამარცხებულ რუსეთს რევოლუციის ცეცხლი წაეკიდა, იქ
თვით-მყოფობელობის ნაცვლად დემოკრატია დაჯდა ტახტზედ, ხოლო უკვე
პირველი უამითაკ მისი ბატონობისა ცხად იქმნა, რომ იგი რუსეთის მიერ
დამონებულ ერებს თავისუფლებას არ მიანიჭებდა: საქართველოსათვის ექ-
ლესის ავტოკეფალიაც არ გაიმეტა მან, რაის მომხრე წინათ თვით „მემარ-
ჯვენ“ რუსი ღურულვოც კი იყო. ესეც კარგად განსცურიტა ნ. უორდანიამ,
რომელმაც უცხოეთში მყოფ რუს რევოლუციონიურ პარტიათა განწყობილე-
ბა დამონებულ ერთა მიმართ კარგად იცოდა! — ხოლო ლენინმა, ფანატი-
კოსმა მეთაურმა ბოლშევიზმისა, ე.ი. კონსექვენტური მარქსიზმისა, გვერდ-
ზედ გადადვა მარქსის დებულება: „მდგომარეობა ჰქმნის შეგნებას და არა
შეგნება მდგომარეობას“, და ვერ ნახა რა მან ვერავითარი „მდგომარეობა“
სოციალიზმის განხორციელებისათვის, სრული „შეგნების“ და „მეცნიერე-
ბით“, ე. ი. ზარბაზნით, თოფით და კეტით, კაცის კლვითა და ტერრორით,
სატანური ძალადობით შეუდგა იგი „მდგომარეობის“ შეცვლას და სოციალ-
ისტური სამოთხის დამყარებას ნახევრად ბარბაროსულ ქვეყნაში. მან ერთი
სულის შებერვით გაძერო უნიჭოთა დემოკრატია და ერთი მეორეზედ დაა-
მარცხა ბოლშევიზმის წინააღმდეგომნი მხედრობანი, აღმართა დიქტატურა
თითქოს მშრომელთა, „მუშათა და გლეხთა“, ნამდვილად კი მხეცური ბატო-
ნობა თვისი პარტიისა, შექმნა საზოგადოება აღამიანის ყოველმხრივი ისე-
თი დამცირებისა, წამებისა და დამონებისა, რაგვარიც ისტორიას არ ახსოეს,
და ასეთი საზოგადოების, ამგვარად აგებული სახელმწიფოს ოსაცავად, ძლი-
ერი მხედრობა შეომართა, პოლიციელთა და ჯალათთა.

სწორედ ამ დროს ნ. უორდანიამ აღსარულა ის დიდი ისტორიული როლი,
რომელმაც იგი უკვდავ ჰყო ქართველთათვის: ჯერ მან გაწმიდა საქართვე-
ლო ისმალეთის ფრონტითაკ მოზღვავებულ, გაბოლშევიკებულ რუსის ჯა-
რისკაცთაგან, ჩაუდგა სათავეში ქართულ „ეროვნულ საბჭოს“, რომელიც
წინამორბედი იყო დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობისა. მას ნდობა
გამოუცხადა მთელმა ქართველმა ერმა და მისმა თავიად - აზნაურობამ
თვისი ქონება მას გადასცა ერის საჭიროებათათვის მოსახმარებლად. ბოლოს
მან ისარგებლა გერმანიის მეგობრული განწყობილებით საქართველოსადმი და
გაუწია რა ანგარიში მთელი ერის სურვილს, გამოაცხადა დამოუკიდებლობა

საქართველოისა, რომლის პრეზიდენტი და მთავრობის თაგმჯდომარე თვითმმართველი გახდა. მან დაუბრუნა ერს ერთხელ სხვა გზაზედ დამდგარი დიდი ნაწილი მისი, და ქართველმა ერმაც იგი იცნო თვის მეთაურად, დაიკიტა წარსული უთანხმოებანი და არარად მიიჩნია აწყვის შეცდომანიც. ამამედ სიხარულით შესცემოდა მონობისაგან განთავისუფლებულ სამშობლოს და თვის ახალ მეთაურს.

იმავე განსვენებულმა ვლასა მგელაძემ მამა-დავითის ექლესიის ზარების რეკით და თვისი მჭექარე ხმით ჩასძხა საფლავებში იქ დაკრძალულ დიდ ქართველთ: საქართველო ოლდგა, მოხდა ის, რაზედაც თქვენ მუდამ ოცნებიდღით! და მაშინ მოხდა შერიგება ქართველთა, და ილიას მიღვალებულს მაშინ შეურიგდა ნ. უორდანია ცოცხალი, ბედისაგან არჩეული 117 წლის მონობისაგან განთავისუფლებული და განახლებული საქართველოს საპატ-რონოდ. ამით იგი დიალ სხვა მოვლენად გახდა, ვიდრე წინათ იყო.

მაგრამ იუდა ჟამს ეძიებდა! მახარაძე, ორჯონივიძე, ორახელაშვილი, მღივანი, ელიავა, ქავთარაძე და სხვანი ზოგი საქართველოში დაძრწოდა, ზოგი მთავარ იუდასთან, ი. ჯუღაშვილთან იყო მოსკოვში. ყველანი ძირს უთხრიდენ განთავისუფლებულ სამშობლოს, არ ზოგვდენ მათაც, ვინც გუშინ მათი „ამხანაგები“ იყვნენ, რათგანაც ამათ სამშობლო იწამეს. ჯერ შიგნითგან სცადეს ქვეყნის „აფეთქება“, მაგრამ საქართველოში მტკიცედ დამყარებული წეს-რიგი ვერ შეარყიყეს, დამარცხდენ სასტიკად! — და როდესაც შიგნით ვერა გააწყეს რა, იუდები მოსკოვს გაიკრიფენ და იქითგან მოაწყვეს სამშობლოს ღალატის საქმე ჯუღაშვილთან ერთად.

რუსის ჯარებით დაესხენ თავს საერთაშორისოდ და თვით რუსეთის მიერ ცნობილ საქართველოს და დაიპყრეს იგი. ნორე უორად ან ია, მისი მთავრობა და მათთან მრავალი ქართველი უცხოეთში გარდმოიხვეწა, სადაც ნ. უორდანია სამ ათეულ წელზედ მეტს იღვწოდა თვისი სამშობლოს ასე ვერაგულად დათრგუნულ უფლებათა აღსადგენად, ხოლო იმედ-გაცრუებული, რწმენა-დაკარგული ე. წ. თავისუფალი კაცობრიობის მიმართ განვიდა ამა სოფლითგან.

ბოლშევიკები დაეპატრონენ საქართველოს და დღემდე „პატრონობენ“ მას თავისებური პატრონობით. წაართვეს ქართველს ღმერთი, დასაყრდნობი მისი, ქრისტე, სასოება მისი, მღვდელი, მოძღვარი, მნათვლელი. ჯვარის ღამწერი და ღამმარხველი მისი, ეკლესია სალოცავი მისი, დღესასწაულები, სიხარული და განსვენება მისი, ზიარება, ერთობ სარწმუნოება, განმაწმედელი მისი, პიროვნება და სახლ-კარ-საკუთრება, სიამაყე მისი, „გააპროლეტარეს“ ერო ამ სიტყვის ნამდვილი მნიშნველობით და დაადგეს მას, ამაყს, უსაზისლებესი და უმძიმესი უღელი მონობისა. მისი დამლუპველი რუსეთი მის მეგობრად გამოაცხადეს ძალით, თვით რუსეთი, ძთელი უზარმაზარი ტერიტორია „საბჭოთა-კავშირისა“, მის სამშობლოდ, რომელიც სოციალისტური „განსამშედელია“, საითგანაც ერი შემდეგ მსოფლიო სოციალიზმის „სამოთხეში“ შევა. და თუ „საბჭოთა-კავშირია“ ქართველის სამშობლო, სულ ერთი არ არის, სადაც უნდა ცხოვრობდეს იგი, საქართველოში თუ თურქესტანში თუ ციმბირში, და მის ადგილს რომ მისი რუსი „უფროსი ძმები“ დაესახლონ, ესეც ხომ კანონიერია? და ამით ქართველი ერიც და სხვა არა-რუსი

ერებიც მოსპობის გზაზედ დააყენა რუსეთმა: დღეს ჩვენ ჩვენ ქვეყნაში 40%-იც ალარა ვართ მოსახლეობისა!

გვეტყვიან, — ქართველი ბოლშევიკებიც რომ არ ყოფილიყვნენ, რუსეთი მაინც დაიძყრობდა საქართველოს, მისი დამცველის დამარცხების შემდეგ ყოვლად დაუცველს სხვათაგანო. მართალია, მაგრამ შინა-გამცემელთა დაუხმარებლად უცხო ვეროდეს იმდენ ვნებას ვერ ბიაჟენებდა საქართველოს, რაც მან ჩვენ იუდათა დახმარებით მიაყენა, და თვით შინა-გამცემლობაც არ დაედებოდა მას სამარადისო სირცხვილად. ჩვენ სხვა მაგალითებიც გვაქვს თვალის წინ იმისა, რომ ქვეყნის ღალატისაგან გამოსული, მოღალატეთა მიერ ხელძღვანილი საზოგადოება ყოვლად ბინძურია, და ერთ მოკლებულია იმედი ღირსეული ახლო მომავლისა.

და აქ ერთ მოვლენას უნდა დაუკვირდეს ყოველი ქართველიც, განსაკუთრებით ახალ-გაზრდა, რომელსაც შეიძლება ბერდა არგუნოს ოდესმე საქართველოში ღვაწლი ერისათვის: 40 წლის განმავლობაში საბჭოთა სახელმწიფოში „დიქტატორებმა“ დახვრიტეს მილიონობით ადამიანი ყოველი სოციალური მდგომარეობისა და სქესისა, დახოცეს შიმშილით მილიონობითვე, აწამეს საპყრობილებში და საკატოროგო ბანაკებში და აწამებენ დღემდე აგრეთვე მილიონობით ხალხს, გაულიტეს ურთი-ერთიც კი, და სხვა მრავალი ბოროტება მათი კიდე სხვა იყო და არის, — და რად? რა მიზნით? ოდესლაც შემდეგ „გასაბედნიერებლად ხალხისა?“ ამ საშუალებით გაბედნიერება ვისიმე ხომ აბსურდია, უაზრობა, — ეს ვიცით ბეგრი მაგალითითვან წარსულისა, — პირ-იქით, ასეთ უბედურებათა გამოვლის შემდეგ ერს ძლიერ დიდი ხანი სჭირდება ხოლმე, რომ გამომრთელდეს, სულიერად და ნივთიერად ნაცართაგან აღდგეს. ზოგს ჰგავნია, რომ ასეთი რამ რუსის ბუნებაშია. რასაკვირველია თავის საქმეთათვის ყოველმა ერმა თვით უნდა აგოს პასუხი და არა სხვას აბრალოს იგინი, მაგრამ ბოლშევიზმი ყოველგან, ყოველი ერის შორის იმავე ნაყოფს იღებს, თუ მისმა თესლმა სადმე გაიხარა. ესპანიაში, მაგ., ბოლშევიკები „ესპანურად“ მძვინვარებდენ ისევე, რაგვარადაც რუსეთში „რუსულად“, და სხვ. მიზეზი ამისა ერთია: ადამიანი შთამომავალია არა-წმიდა, გაიძერა, ხორცის-მჭამელი, სისხლის-მსმელი და მეომარი მხეცისა, ხოლო გონებით დაჯილდოვებული ბუნებისაგან. შან ცის თვისი ბუნება, და მისი ზენ და წესი, სამართალი და სხვ. ამ ბუნების ასალაგმავად არის მისგან შექმნილი საზოგადოების დაცვისათვის. შემოქმედი სულიც მისი მის ალაგმებას მოითხოვს.

ხოლო შეიძყრობს რა მას წყურეილი სისხლისა და დათრგუნვისა პერიოდულად, განსაკუთრებით მისი ცხოვრების შეცვლის აუცილებლობისაგან გამოწვეულ მოძრაობაში, იგი გონებას ჰყაორგავს და განარღვევს ყველაფერს, რაც მას საუკუნეთა განმავლობაში შეუქმნია, — ავსაც და კარგსაც, — სჩადის ყოველ სმხეცეს და უკეთურებას. ამის მაჩვენებელია ყველა დიდი რევოლუცია. პირველ-ყოფილი იდეალი იყარება მოძრაობის ქაოსში და სიმხეცე მძვინვარებს, მიზანი მოძრაობისა მიუხეველი, ან ოდნავ მიხწეული ჩებება. — კიდე უარესი რამ მომხდარა ხოლმე: ინკვიზიტორები მე-16-ე საუკუნეში ქრისტეს სახელით ცოცხალ აღამიანებს სწვავდეს საშინელი წამების შემდეგ ათი-ათასობით! და რა უნდა ექმნა ბოლშევიზმს, რომლის თვით მოღრებაშია შხამი კაცის-კლვისა, წამებისა, დამცირებისა, დამონებისა!



ეს უნდა იცოდეს ყოველმა ხელ-მძღვანელმა მოძრაობისა, თუ იგი ნამდვი
ვილი მსახურია ერისა. დამოუკიდებელი აზროვნებაა პირველ ყოვლისა მიხ-
თვის საჭირო, რომ თვით იყოს პატრიონი მის მიერ აღსარებული მოქადაგებისა
და არა გონიერა-ჩლუნგი მონა მისი, გონიერად მიმართოს იგი კეთილ მიზანთა
მისახელევად და სრულიადაც უკუ-აგდოს, თუ იგი ბოროტებას წარმოშობს.
დიალ, უამისოდ არავინ გარგა მოძრაობის ხელ-მძღვანელად!

ბოლშევიკები, რომლებიც თითქოს ბევრს ძველს რასმე დაუბრუნდენ,
კარგი ხანია მორფიუმს გვიშაბუნებენ ქართველთ და სხვა მათგან წამებულ
ერთაც მათი „აღმშენებლობით“, ხელოვნებისა და მეცნიერების მფარველო-
ბით, — თუმცა კეტით ადგან თავს საწყალ მეცნიერთ და აიძულებენ, „დი-
ალექტიურ-მატერიალისტურად“ იაზროვნონ, — რომ სასიკვდილო ტკივი-
ლები შეგვინელონ. დღეს იგინი ილია ჭავჭავაძის მოკლვის შემდეგ 50 წლის
თავს იგონებენ და ემზადებიან სადღესასწაულოდ. აგრეთვე უკვე კარგი ხა-
ნია, რაც მათ დაიწყეს ილიას ქება და დიდება და კიდე მეტად შეკებენ და
ადიდებენ მას ამ დღესასწაულზედ, — კაცს, რომელიც თვით მოჰკლეს, და
ახლა თითქოს ამით უნდათ მათ, უსირცხვილოთ, სირცხვილი მოიხადონ.

ჩევნ კი აქ სხვა გრძნობით მოვიგონოთ დიდი მეთაური ქართველი ერისა,
რომლის მოკლვითაც ბოლშევიზმა დაიწყო უკანასკნელი ტრაგედია მისი. და
მასთან და მის თანამოაზრებთან ერთად მოვიგონოთ ოდესმე მათი მეტოქე-
ნიც, ნოე უორდანია და მისნი თანამოაზრენი, რომელნიც აგრეთვე მსხვერპ-
ლი გახდენ ბოლშევიზმისა, თვით მთელი საქართველოს მსხვერპლად მიმტა-
ნისა სატანის საკურთხეველზედ. ერისათვის ალსრულებულმა საქმემ, ერი-
სათვის მსხვერპლობამ და ერთოსა და იმავე მტრის მიერ დათრგუნვებმ შეა-
რიგა იგინი დიდ ილიასთან და ჩევნც მათი ბედის მოვინებამ შეგვარიგოს აქ,
— ყველა ქართველი, ყოველი მოძღვრების აღმარებელი, მით უმეტეს რომ
არც ერთი ჩევნი ძველი სოციალურ-პოლიტიკური პროგრამმა აღმარებება დღეს საფუძველ-დანგრეული ქართველი ერისა და მისი სრულად შეც-
ვლილი ცხოვრების აღდგენად და განახლებად, თუ თვით ერი ცოცხალი გა-
დურჩა ამ მის უკანასკნელ ტრაგედიას.

მიხ. წერეთელი

ქართველი ერის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის (1801-1918)

თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზედ მრავალჯერ ყოფილა დაპყ-
რობილი ქართველი ერი, მრავალჯერ განუცდია მას მტრის მრისხანე რისხ-
ვა, მაგრამ მის ისტორიას არ ახსოვს არც ერთი მაგალითი იმისა, რომ მას
თვის დამოუკიდებლობაზედ ხელი აეღოს და მის დასაცავად თავგანწირუ-
ლი ბრძოლები არ ეწარმოებიოს.

არც მისი უკანასკნელი მტრისათვის, რუსეთისათვის, დაუთმია მას თავი-
სი თავისუფლება, არამედ მას მხოლოდ მფარველობა სთხოვა და არა ნამდ-
ვილი „შეერთება“ და სახელმწიფოს გაუქმება და მოსპობა.

1783 წლის ხელშეკრულების დღეს მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა
აქვს, მაგრამ უკანასკნელ ხანებში იგი ხშირად არის განძრად არა სწორად

განმარტებული და საქართველოს ეროვნულ უფლებათა დასამცირებლად გამოყენებული. ამიტომ ზედმეტი არ იქნება მოვიყვანოთ აქ საერთაშორისა სო სამართლის ავტორიტეტის პროფ. ლურ ლე ფურის აზრი ამ ხელშეკრულების შესახებ: „უდავოა, რომ ჩვენ წინაშე საერთაშორისო ხელშეკრულებაა, დადებული ორ სწორუფლებიან სახელმწიფოს შორის უა საერთაშორისო სამართლის ორ სუვერენულ პიროვნებას შორის... 1783 წლის ხელშეკრულება მეტია ვიდრე პროტექტორატის ხელშეკრულება, ეს იმავე დროს კავშირის და მეგობრობის ხელშეკრულებაა, რომელიც აწესებს არბიტრაჟს იმ შემთხვევისათვის, თუ მხარეთა შორის რაიმე უთანხმოება ჩამოვარდა. ასეთი დებულებანი საზოგადოთ შესაძლებელია მარტო იმ სახელმწიფოთა შორის, რომელნიც დამოუკიდებელი არიან და სარგებლობენ თავიანთი სუვერენობით... ხოლო ერთხმად არის მიღებული საერთაშორისო სამართლში, ისე როგორც საშინაოშიც, რომ ვალდებულების შეუსრულებლობა ერთი მხრის მიერ ათავისუფლებს მეორეს საკუთარ ვალდებულებათაგანო.“ ამ დებულების დასამტკიცებლად მას მოყავს საერთაშორისო სამართლის ცნობილი წინამორბედის ვატტელის აზრი და ასკვნის: „რუსეთმა ცალმხრივი აქტებით მიითვისა უფლებანი, რომელიც მას არ ჰქონდა პროტექტორატის ხელშეკრულებით. ეს გარემოება უფლებას აძლევდა საქართველოს გაუქმებულად ეცნო ხელშეკრულება და თავის თავი სრულიად განთავისუფლებულად ყოველი ვალდებულებისაგან რუსეთის მიმართ... რაჯი რუსეთმა ორჯერ არ შეასრულა თავისი ვალდებულებანი, 1783 წლის ხელშეკრულება უფლებრივად გაუქმდა. საქართველომ თეორიულად დაიბრუნა სრული თავისი დამოუკიდებლობა. ხოლო თუ ის ვერ სარკებლობდა, მაგრა დამოუკიდებლობით, მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთმა მოახდინა მისი ოკუპაცია თავისი ჯარებით“ - ი. პროფ. ლურის შეხედულებას იზიარებენ სხვა გამოჩენილი მისი კოლეგებიც.

აქეთგან ცხადია და უდავო, რომ ზედმეტია ლაპარაკი რუსეთის რაიმე უფლებაზე „ქართველი ერისა და მისი ტერიტორიის მიმართ.“.

მაგრამ კველაზედ დიდი მნიშვნელობა აქვს აქ იმ ფაქტს, რომ საქართველოს არასოდეს არ უცვინა რუსეთის ძალადობა და არც შერიგებია მას. ანეჭისის გამოცხადებისთანავე დაიწყო მან ბრძოლა მის წინააღმდეგ და 117 წლის განმავლობაში აწარმოვა იგი შეუწყვეტლივ, სხვა და სხვა ფორმით, თავისი სახელმწიფოს აღსაღენად. ეს არის ისტორიული სინამდვილე, დამტკიცებული და დადასტურებული მრავალი საბუთებით და ზღვად დალვრილი სისხლით ქართველთა.

მოვაგონებთ მკითხველს მთავარ ფაქტებს:

საქართველოს სამეფოს გაუქმებას აუარებელი ოფიციალური პროტეტები მოყავა: დარეჯან დელოფლისა, ტახტის მემკვიდრის დავითისა, ყველა ბატონიშვილთა, საქართველოს ელჩებისა და მრავალთა სხვათა, რომელნიც ერთხმად სამეფოს აღდგენას მოითხოვდენ.

საქართველოს ანგესია არ უცვინათ უცხო სახელმწიფოებსაც, რომელთავან ინგლისმა, საფრანგეთმა, ოსმალეთმა და სპარსეთმა ფორმალური პროტესტიც განაცხადეს.

1802 წელს მოხდა პირველი აჯანყება კახეთში, მთიულეთში და ხევსურ-

ეთში. მოგვყავს სანიმუშოდ მრავალ მიმართვათა შორის კახელების ნოტა რუსებისადმი: „როდესაც ერთგულებასა ზედ იქვენისა იმპერატორებისა დიდებულებისა დაგვაფიცეს, მყის გამოგვიცხადდა მანიუქესტი, რომ ვითომ ჩვენ მოგვეხსნებიოს კარსა წინაშე დიდებულებისასა ხელმწიფისა თქვენისასა, მეფე აღარ გვინდა, მათ ყოლაზე უარი გვითქვამს... ეს მატყუარა თხზულებაა... ჩვენგან, ჩვენს ბატონებს რა დაუშავებიათ ჩვენზედა რომ უარვჰყოთ! ათასი ორასი წელი მეტი არის, რომ ბაგრატოვანი მემკვიდრეობენ და აგრეთვე მრავალი ამათგანი ჩვენი გულასთვის წამებულან, ქრისტესთვის და ჩვენთვის სისხლი დაუთხვიათ და ჩუენც ამათ წინ მოუწყვეტილგართ მრავალნი. ჩვენი ვედრება ეს არის, რომ ჩვენზე მოადგალგვარად გარჯილი და ლვაწლდადებულის მეფის ირაკლის ანდერძი დაგვიმტკიცოთ და იმ ანდერძის წესით მეფე დაგვისვათ“ -ო.

1802 წლის 25 ივლისს აჯანყებული ქიზიყელების თაოსნობით თავადაზნაურობამ, სამღვდელოებამ და გლეხობამ ერთმანეთს შეჰვიცეს და ფაციის აქტს ხელი მოაწერეს, რომლითაც თხოულობდენ ირაკლის ანდერძის შესრულებას და მეფედ იულონის დასმას. ყველა ბატონიშვილები, მათ შორის დავითიც, მათ შემხრებ.

1803 წლ. 21 აპრილს მარიამ დედოფალი ხანჯლით განგმირავს გენ. ლაზარეს, რომელსაც განკარგულება ჰქონდა დედოფლის დატუსალება და გადასახლება.

1804 წელს ხდება დიდი აჯანყება მთიულეთში და შარტლში. ალექსანდრე ბატონიშვილი ეხმარება აჯანყებულთ და მთელი კავკასიის ფეხზედ დაყენებას ცდილობს. დასავლეთ საქართველოთვან გადმოდიან იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები. აჯანყებულებს კახელებიც უერთდებიან. აჯანყებას სისხლში ახრჩობს რუსეთი. იულონს და ფარნაოზს შეიძყრობენ და რუსეთში გადასახლებენ.

1810 წელს რუსეთი იპყრობს იმერეთის, რომელიც დიდ ხანს იბრძოდა ხან დიპლომატიით, ხან იარალით ხელში ირაკლის შვილისშვილის სოლომონ მეორის და სახელგანთქმული სოლომონ ლეონიძის ხელმძღვანელობით.

1811-1812 წ. აჯანყება იწყება თუშ-შავ-ხევსურეთში, რომელსაც მეთაურობს ალექსანდრე ბატონიშვილი. მას ეხმარება იმერეთის მეფე სოლომონ. „ჩვენც მზადებაში ვართ, რომ ამ რამდენიმე დღეს ღვთის შემწეობით მანდ ვართ და ჩვენ სისხლსაც თქვენს სისხლში ვაკრევთ... ამ-ზე საჩუმუნო მექმენით, რომ ერთ კვირას თქვენთან სიცოცხლე ათას წელიწადს სხვაგან ცხოვრებას მიიჩევნია. ესეც კარგად იცით, რომ რათვან სისხლში გაერიენით და მაგდენი რუსი გასწყვიტეთ, ლმერთმან ნუ ქნას მაგათ ძალი მოიცენ, არას დროს არ შეგარჩენ და მაგათი ფიციც დაუარწმუნებელი არ არის“, სწერდა ალექსანდრე ბატონიშვილი თავის პროკლამაციაში ქართველ ხალხს. მართლაც იგი მაღლე შემოიჭრება კახეთში და სასტიკ ბრძოლას გაუმართავს რუსებს. ეს აჯანყებაც საშინელი ხოცვა-ულეტით და მარცხით თავდება. ალექსანდრე ბატონიშვილი გადადის მთიულეთში და იქითვან 1813 წ. აწყობს მთელ რიგ გამოსვლებს მთიულეთში და კახეთში.

1819-1820 წ. მოხდა იმერეთის აჯანყება, რომელსაც მიემხრო მთელი გურია და სამეგრელო. ამბოხების ორგანიზატორია სოლომონ მთელი

დიდის შეილის შვილი ივანე აბაშიძე ქუთაისის და გელათის მიტროპოლიტი ებთან ზოსმებ და ექვთიმესთან ერთად. აჯანყებულებმა დელეგაცია გაუგზავნეს ალექსანდრე ბატონიშვილს, რომელიც ახალციხეში იმყოფებოდა და მეფობა სთხოვეს. ეს აჯანყებაც დიდი სისხლის ღვრით დამთავრდა. პუზი-რევსიმ დაატუსალა ამბოხების მეთაურნი. ხოლო თუ როგორ მოექცა იგი მათ, ამას ვეგბულობთ მისივე წერილითგან, რომელიც მან გენ. ველიამინ-ოვს გაუგზავნა 16 თებ. 1820 წელს: „რათა დატუსალებულნი ვერსად გაიქცენ და წყანარად იყვნენ, ვერც ურთიერთი იცნონ და ვერც მცხოვრებლებმა იცნონ იგინი, მათ ჩავსვამ ტომრებში და ამ ტომრებს კისერთან და წელზედ თოკს მოვუჭერ. დამცველთა რაზმს გავაძლიერებ, რომ გზაზედ მეამბოხებდება ვერ შესძლონ ტყვეების განთავისუფლება. ხოლო თუ თავდასხმა მოხდა, ტუსალები დახოცილნი უნდა იყვნენ და წყალში გადაყრილნი“: (აკტები, ტომი 6, გვ. 797). ეს ის პუზირევსკია, რომელიც ქაიხოსრო გურიელის კარის კაცმა ილია ბოლქვაძემ მოკლა გურიის აჯანყების დროს.

1824 წელს აჯანყება მოხდა აფხაზებში.

1828-1829წ. აჯანყება გურიაში სამთავროს გაუქმების გამო გურიის დედოფლის სოფიოს ხელმძღვანელობით.

1832 წლის შეთქმულება. მიუხედავად იმისა, რომ 30 წლის განმავლობაში ერმა უსასტიქესი ბრძოლა გაუწია მტერს და აუარებელი მსხვერპლი გაიღო, მასში მაინც იმდენი ეროვნული ენერგია იყო დარჩეილი, რომ მას სურდა ერთხელ კიდე ბედი ეცადა და იარაღით შებრძოლებოდა დამპყრობელს. მან დაიწყო მზადება დიდი შეთქმულებისათვის, რომელსაც პირველად საფუძველი რუსეთში ჩაეყარა ბერი ივანე ხელუვილისა და ფილადელფიოს კიკნაძის მიერ, შეთანხმებულად რუსეთში ჰყოფ დამძირი იულონისძე და აქტოპირ გორგისძე ბატონიშვილებთან. გეგმის შემუშავების შემდეგ 1829 წ. სოლომონ დოდაშვილმა დაარსა თბილისში ფარული საზოდოება, რომელშიც ღებულობდა მონაწილეობას მთელი მაშინდელი მოწინავე ქართული საზოგადოება: ბატონიშვილები დიმიტრი, ლუარსაბ და ოქტომბირი, თექლა ბატონიშვილი თავისი შვილებით: ვახტანგ, ალექსანდრე და დიმიტრი ორბელიანებით, ალ. ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ელიზ-ბარ ერისთავი და მრავალნი სხვანი. მეფედ ალექსანდრე ბატონიშვილი სურდათ დაესვათ. შედგენილი იყო მთავრობა და პარლამენტიც. როგორც ალ-ორბელიანი შემდეგ სწერდა თავის მემუარებში: „შეთქმაში უნდა გარეულიყვნენ სრულიად საქართველოს დიდი კაცი და მცირენი, ხნიან დედაკაცი და ყმაწვილ ქალი, რომელთაც ერთი აზრი ჰქონდათ ყველას ჩვენთან ერთად, ან უნდა გავშევეტილვიყავით სულ ერთან, ან არა და მამული გამოგვეხსნა საშინელის ჩვენის მტრის რუსეთისაგანო.“

ვიცით რა ბედი ეწვია ამ დიდ ცდას მამულის გამოხსნისა. შეთქმულების დამარცხებით გარდატეხა მოხდა ქართველი ერის ცხოვრებაში. მტერი ჩვენს ქვეყანაში მაგრად ჩასახლებული იყო, დაპატრონებული ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენს ეროვნულ არსებას, რომლის ყოველ უჯრედში ის იჭრებოდა, ხრწინდა და სწამლავდა. იარაღით ბრძოლის გაგრძელება დაქანცული და განადგურებული ერისათვის შეუძლებელი იყო. იგი მას ნამღვილ სიკვდილს უქადდა. არც გარეშე პირობები და საერთაშორისო მდგომარეობა უწყობდა ხელს

იარაღით გამოსვლის მოწყობას. ქართველმა ერმა ახლა ბრძოლა სხვა ნადაგზე ზედ გადაიტანა. თუმცა აჯანყებები შემდეგაც ხდებოდა, მაგრამ მათ ის ფართო ეროვნული ხსიათი არ ჰქონდა, როგორც აჯანყებებს : 1832 წლიდე.

ეს აჯანყებები იყო: 1840 წ. გურიაში, იმერეთში, გამოწვეული გადასახადებით. 1849 წ. თბილისში. 1857-1862 წ. აჯანყებანი სამეგრელოში, გურიაში, იმერეთში, ქართლში მიწის საკითხის ნიადაგზედ. 1863 წ. აჯანყება საინგილში რუსული აღმინისტრაციის უწესო მოქმედების გამო. 1866 წ. აჯანყება აფხაზეთში ავტონომიის მოსპობის გამო. 1875 წ. აჯანყება სვანეთში რუსული ხელისუფლების დაუფუნქციების გამო. 1876 წ. გლეხთა აჯანყება სამეგრელოში და სვანეთში. 1878 წ. ამბოხება კახეთში სამხედრო სამსახურის გამო. 1882 წ. აჯანყება გურიასა და აჭარაში მაჰმადიანობის დევნის გამო.

საჭიროა აღნიშნოთ აგრეთვე, რომ 1856 წ. ყირიმის ომის დროს საფრანგეთმა, ინგლისმა და ისმალეთმა აღუთქვეს საქართველოს დამოუკიდებლობა, „დამოუკიდებლობა, წარმატება, აი რა მოგვაქვს ჩვენ თქვეთვის, ევროპას უნდა რომ თქვენ შემოხვიდეთ განათლებულ ერთა ღიდ ოჯახში“ — სწერდა საფრანგეთის წარმომადგენელი გრაფ შეფრეი 1855 წ. 25 დეკემბერს.

საქართველოს საკითხი დაისაცა ხელახლა პარიზის კონგრესზე. 1856 წ. 1 მარტის ოქმში სწერია: „ბ. გრაფი ვალევსკი, საფრანგეთის დელეგატი აცხადებს, რომ მოკავშირე სახელმწიფოები მოითხოვენ, რათა სპეციალურად იქმნეს განხილული შავი ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიების მდგომარეობა,“ (ნაგულისხმევია საქართველო).

როგორც ზემოთ ვსთქვით, რუსეთმა დაუწყო დევნა ყოველივე ქართულ გამომუღავნებას, ქართულ ენას, ქართულ კულტურას, ქართულ ეკლესიას. მას სურდა ამით მოწყვიტა საქართველო თვისი წარსულისათვის, ისტორიისათვის და გადაგვარების გზაზე დაყენებინა. მაგრამ ქართველი ერის სიღრმეში კიდევ დიდი იყო სიცოცხლის ძალა დარჩენილი და მას მაღლ მომენტი და მხსნელნი გამოუჩნდენ: 1846 წ. დიმიტრი ყიფიანი აარსებს თბილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურთა საკრებულოს, რომელსაც შემდეგ თავისი წვლილი შეაქვს ყოველ ქართულ ეროვნულ საქმეში. მისი მეცადინეობით არსდება პირველი ქართული ჟურნალი, ქალთა სასწავლებლები, თეატრი. იგია ინიციატორი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებისა.

1860 წლითვან ჩნდება ახალი დასი ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, „თერგდალეულების“ სახელწოდებით. აქ არიან აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგი მესხი, კირილე ლორთვიფანიძე, ანტონ ცურულაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვები, რომელნიც გაბედულად გამოდიან საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური განთავასუფლების დროშით.

1863 წ. იანვარში ილიას დასი აარსებს ურნალ „საქართველოს მოამბეს,“ რომლის მთავარი მიზანია საქართველოს ეროვნული გათვათცნობიერება.

„თერგდალეულთა“ ბრძოლას თავიდანვე პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება. იგი ხდება ისტორიულ მოძრაობად, ეროვნულ განმანთავისუფლებელ ბრძოლად,“ სწერს თვით საბჭოთა ისტორიკოსი ა. კიკვიძე თავის „მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ისტორიაში“ (თბილისი 1954 წ.)

პროფ. მიხ. ზანდუკელიც (ოჩერკი პო ისტორიი გრუზინსკოი ლიტერატუ-

რი, 1955) თერგდალეულების მოძრაობას რუსეთისაგან გამოყოფისა და დაცვისა სავლეთთან დაკავშირების მოძრაობად სთვლის. „ეროვნული თავისუფლება შეადგენს მეორე დიდი პოეტის აკაკი წერეთლის ოცნებას, აქეთკენ არის მიმართული მისი დიდებული ქარი, პოეტს მეფის რუსეთის მფლობელობაში საქართველო დატყვევებულად ჰყავს წარმოდგენილი“.. სწორს იქვე კიკვიძე.

„რით აისხება ეს არაჩვეულებრივი პოძულიარობა, არაჩვეულებრივი სიყვარული, რომლის მსგავსი მსოფლიოში იშვიათად ღირსებია უფრო დიდ მწერლებსაც. ილია ჭავჭავაძე იყო თითქმის ნახევარი საუკუნე ქართული აზ-როვნების ნამდვილი დიქტატორი, აკაკი წერეთელი გარდაცვალა რიგორც უგვირგვინო მეფე. ჩვენ განსაკუთრებული მაღლობით ვიგონებთ ამ ორ მებრძოლს, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ერთგული ღამის გუშაგებად უვლიდნ საქართველოს ციხე-გალავანს, ალაგ-ალაგ მტრისაგან შენგრეულს, ალაგ-ალაგ ხავს მოკიდებულს“, ამბობს გერონტი ქიქოძე (ქართული მწერლობა, № 1).

1866 წ. „თერგდალეულთა“ ერთი ჯგუფი გიორგი წერეთლისა და ნიკო ნიკოლაძის მეთაურობით აარსებენ გაზეთ „დროებას“, რომლის დამატებად ხდება 1871 წლითვან უურნალი „ქრებული“, „საქართველოს მოამბის“ მემკვიდრე.

1877 წელს ილია ჭავჭავაძე აარსებს „ივერიას“. „შემდეგ „დროება“ და „ივერია“ შეერთდებიან 1880-1881 წ. „დროება“ გამოდის ყოველდღიურად, „ივერია“ სამ თვეში ერთხელ. ორივეს ილია ჭავჭავაძე და სერგი მესხი ხელმძღვანელობენ.

ეროვნული პოზიციების დაცვა, ეროვნული მეობის შენახვა, საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლა იყო მთავარი მიზანი ამ გამოცემათა და მათ ხელმძღვანელთა.

1873 წელს ნიკო ნიკოლაძემ და დავით მიქელაძემ („მეველე“) პარიზში დაარსეს ქართული გაზეთი „დროშა“, რომელშიც მათ წამოაყენეს კავკასიის ფედერაციის იდეა. „თავისუფალი ფედერაცია ყველა კავკასიელი ხალხებისა, აი ჩვენი საზოგადოებრივი იდეალი.“ სწერდა გაზეთი თავის პირველ ნომერში.

1874 წ. უნევაში ნიკო ნიკოლაძის ინიციატივით გაიმართა კავკასიური ახალგაზრდობის კონგრესი, კავკასიის ერთა ფედერატიულ ნაადაგზედ გაერთიანებისათვის. კონგრესს დაესწრენ ქართველებითვან: გ. წერეთელი, ივ. ჯაბადარი, ალ. სარაჯიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, რევაზ ჩოლავაშვილი, მიხ. ჩიქონძე, დება ნიკოლაძეები, ალ. ციცაშვილი, სერგი ლა კოტე მესხი და ეკატერინე მელიქიშვილი. თავმჯდომარეობდა გ. წერეთელი ნიკო ნიკოლაძის ავადმყოფობის გამო. კონგრესმა გამოიტანა დადგენილება კავკასიური ფედერატიული რესპუბლიკის დაარსების შესახებ რუსეთის დამხობისთანავე.

1879 წ. დიმიტრი ყიფიანის, ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის და ნიკო ცხვედაძის თაოსნობთ და მზრუნველობით დაარსდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული კულტურის დაცვისათვის.

1880 წლითვან ქართული თეატრი იქცევა ეროვნულ ტრიბუნად. კასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, ვალგუნია, ნატო გაბუნია, შემდეგ ნინო ჩხეიძე

და სხვები აღვზნებული სიტყვებით აღვიძებენ და ანთებენ ქართულ ეროვნულ სულს. „ლეგან ხიმშიაშვილები, გაიოზ ფალავები, გიორგი სააკაძეები სისხლიან სამარეებში განისვენებენ და მათი ხმლები მრისხანე ელვარებით მტერს წინ აღარ ეღობებიან... მაგრამ მათი აჩრდილნი მათი საომარი ტანსაც-მელით შემოსილნი, ისტორიული ხმლებით და დროშებით ხელში გამოჩნდებიან სცენაზედ და ასწავლიან ახალ თაობებს, რომ საქართველო არ მოკვდება, სანამ მას ეროვნული სული უდგია და სახელმოვანი გმირები სამარითგანაც კი წამოიჭრებიან ხოლმე ერის ცხოვრების განსაცდელის დროს“ („თ.გ.“ № 84-85). ყოველი ისტორიული პატრიოტული პიესის დადგმას რუსეთის წინააღმდეგ ეროვნული დემონსტრაცია მოჰყვებოდა ხოლმე.

ამნაირად, ქართული პრესა, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ და ქართული თეატრი იყო მთავარი ფუძე და დასაყრდენი ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობისა. ამიტომაც დაუწყო მათ სასტიკი დევზნა რუსეთის აღმინისტრაციამ. ცნობილია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის იანოვსკის იერიშები ქართული ენის წინააღმდეგ. ქართველი პატრიოტები მას თავგამოდებით იცავენ. გაზ. დროების რედაქტორი ს. შესხი სწერდა იანოვსკის 1880 წელს.: „თქვენ კი გინდათ წაგვართვათ ენა, მოსპოთის... ქართველების სურვილები იგივეა რაც ყველა ხალხებისა: დაიცვან თავისი სამშობლო ენა, მშმული, სჯული სარწმუნოება. თქვენი სურვილია კი დაავიწყოთ ქართველებს ქართული ენა.“ ხოლო ილია „ივერიაში“ თავის ერთ-ერთ წერილში მას ასეთ პასუხს აძლევდა: „ეს წელიწადი დაიწყო იმით, რომ იანოვსკი და ეგზარხოსი ითანიკე მოვიდა. წავიდა ნევეროვი და ეგზარხოსი ევსევი. ჩვენ გვეგონა ახალი კარგი ამბავი იქნებოდაო. ამ ტებილმა იმედებმა ჩაილულის წყალი დალიეს. ღმერთო გვიხსენ!.. რისაგან გვიხსენით, გვეკითხავთ თქვენ. იმისაგან რომ... ერიპა, კინალამ ღმერთი არ გამიწყრა და წამოვაყრანტალე პასუხი. ადამიანს სიტყვა აზრისათვის არა აქვს მინც ტებული, არამედ იმისათვის, რომ დიდმა სთვეას: „მე შენ გიბრძანებ და ხმა უზღა გაკმინდო“ და პატარამ მიუგოს: „მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ ენა მუცელში ჩამივარდა ბრძანებისამებრ თქვენისაო“.“

1885 წ. გაზ. „დროება“ დახურა ცენზურამ ქართული ენის დაცვისათვის. თავის მოხსენებაში იანოვსკი სწერდა დონდუკოვ-კორსაკოვს: „ქართველი პატრიოტები მიისწრავიან ასიმილაცია უყონ საქართველოს, სამეგრელოს-აც, აფხაზეთსაც და სვანეთსაც. ამიტომ ისინი თუმცა თავად-აზნაურულ წრეებს ეკუთვნიან და თითქოს ვალდებული იყვნენ თავიანთი თავად-აზნაურული მატერიალური და გონებრივი ინტერესებისათვის ეზრუნათ, მიუხედავად ამისა, ყველაზედ უფრო მიისწრავიან ქართული ხალხური განათლების გავრცელებისაკენ და ყოველ ძალით ცდილობენ ხელი შეუშალონ ამ მხარეში რუსული განათლების გავრცელებას“.

1886 წ. 24 მაისს მოწაფე ლალიაშვილი ღრმა პროტესტის ნიშნად კლავს სემინარიის რექტორს ჩუღეცის. ეგზარხოსი სავლე ამ აქტისათვის სწყევლის მთელ ქართველ ერს. დიმიტრი ყიფიანი მოითხოვს ეგზარხოსის გაძევებას. ამისათვის მას რუსეთში ასხლებენ და 1887 წ. სტავროპოლში აგურით თავს გაუპობენ. მასი დაკრძალვა თბილისში გარდაიქცევა უდიდეს ეროვნულ ანტირუსულ დემონსტრაციათ.

1891 წ. არჩილ ჯორჯაძე აარსებს ვარშავაში სტუდენტობის დროს საქართველოს განმათავისუფლებელ ლიგას..

1903 წ. გიორგი დეკანოზიშვილი და არჩილ ჯორჯაძე აარსებენ პარიზში ეურნალ „საქართველოს“ და ფრანგულ ენაზე „ლა უორუ-ს, რომლებშიც მონაწილეობენ ვარლამ ჩერქეზიშვილი, მიხეილ წერეთელი, თეოდ სახოვია და პირველად ნ. უორდანიაც. „გიორგი დეკანოზიშვილი კავშირს იჭერდა ყველასთან, აცნობდა ჩვენს ქვეყანას და მის დათრუნვილ უფლებებს, ამ უკანასკნელთა აღსაღენად ჩვენს ზრუნვას, ჩვენს იმედებს, თანაც სთხოვდა ხმა ამოელოთ, გამოგვსარჩელებოდენ ევროპის სამსჯავროს წინაშე და ევროპის პრესაშიც პირველად ახსენეს საქართველო, ქართველები, მათი ტკივილი, მისწარაფება... ერთი სიტყვით საძირკველი ჩაყარა ევროპელთა მიერ ჩვენი ხალხის გაცნობის საქმეს, დიადს, მსოფლიო პოლიტიკის თვალით რომ გაეცინჯოთ. ამავე დროს მჭიდრო კავშირი დაიჭირა გიორგიმ რუსეთის მიერ დაპყრობილ სხვა ეროვნებათა ორგანიზაციების მეთაურებთან, ესწრებოდა მათ ქრებებს, იცავდა ჩვენ ინტერესებს, სადაც კი ამას გარემოება მოითხოვდა... სწერდა თედო სახოვია გიორგი დეკანოზიშვილის გარდაცვალების გამო გაზ. „კოლხიდაში“ 2 დეკ. 1911 წ.

რუსეთში გამოქვეყნებული დოკუმენტებითგან („იზნანკა რევოლუციი“ ვოლოუჟიონნოე ვოზსტაბიე ვ როსიი ნა იაპონსკია სრედსტვა, ს. პეტერბურგ. 1906. ტიპოგრაფია სუვორინა.) ირკვევა, რომ გიორგი დეკანოზიშვილი დაუკავშირდა 1904-1905 წ. იაპონიის ყოფილ სამხედრო წარმომადგენელს რუსეთში პოლკოვნიკ აკაშის, რომელიც იაპონია-რუსეთის ომის დროს სტრიქოლმში იმყოფებოდა. რუსულ დოკუმენტში სწერია, რომ „1904 წლ. შემოდგომითგან, როდესაც განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღა მოედევა რუსეთის ხალხს და ომით და დამარტებით უკმაყოფილებამ განამტკიცა რევოლუციური მოძრაობის წარმატებანი, აკაში დაუკავშირდა პარიზში მცხოვრებ რუს ემიგრანტ-რევოლუციონერებს. 1904 წელს ნოემბერში დაწყებული მოლაპარაკება დასრულდა შეთანხმებით რუსეთში შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ იაპონიის მთავრობის ხარჯზედ. რევოლუციონერების მხრივ შემავლებად გამოვიდენ ქართველი გიორგი დეკანოზიშვილი და ფინონანდიის პარტიის აქტიური წინააღმდეგობის მოხსერე ცნობილი მოღვაწე კონნი ცილლიაკუს“. შემდეგ გამოქვეყნებულია მთელი მიწერ-მოწერა იაპონელსა, დეკანოზიშვილსა და ცილლიაკუს შორის.

1905 წ. გიორგი დეკანოზიშვილი აჯანყებაა რუსეთის თვითმშენებლობის წინააღმდეგ, რომლის დამარტებას საქართველოში და სოც. ფედერალისტებს იქ გადააქვთ პოლიტიკური მუშაობა. მთელი პარტია და მისი პრესა შეფარვით საქართველოს დამოუკიდებლობას იცავს.

1905 წ.მთელ საქართველოში დიდი აჯანყებაა რუსეთის თვითმშენებელობის წინააღმდეგ, რომლის დამარტებას საშინელი ტერორი და რეპრესიები მოყვება.

1907 წელს ვარლამ ჩერქეზიშვილი, მიხეილ წერეთელი და გიორგი გვაზვა ადგენენ პეტიციას ქართველი ერის სახელით, რომელსაც ხელს აწერენ ყველა წოდებისა და სოციალური მდგომარეობის წარმომადგენელი. პეტიცია ასე იწყება: „სიმართლისა და საერთაშორისო სამართლის სახელით, ჩვენ

უუძველესი და მოუკიდებელი ქრისტიანული სამეფოის, საქართველოს მოქალაქენი, მივმართავთ განათლებულ ეკრაპის ერებს მათი დელეგაციების სახით საერთაშორისო საზავო კონფერენციაზედ ჰავაგაში.“ — შემდეგ მიმართავაში აღნიშნულია 1783 წლის ხელშეკრულების დადება რუსეთისან და ვრცლად აღწერილია ხელშეკრულების დარღვევა, დევნა და ჩაგვრა ქართველი ერისა, „უცნობი მის ისტორიაში თემურლენგის შემოსევის შემდეგ,“ და ასე თავდება: „ასეთი ორის მდგომარეობა შექმნილი სამპერიო მთავრობის მიერ წინააღმდეგ ყველა წმიდა ხელშეკრულებათა, რომელთაც ჩვენ ვარდებთ განათლებული მსოფლიოს სახელმწიფოთა წინაშე, შეკრებილთ ბრწყინვალე კონფერენციაზედ კანონისა და სამართლიანობის დასამყარებლად, რომ ჩვენ სკითხში თქვენი თანაგრძნობის გამოწვევა დაგვეხმარება, რომ ჩვენი უფლებები აღდგენილ იქმნენ 1783 წლ. ხელშეკრულების თანახმად.“

ეს პეტიცია საქართველოთვან წალებული ჰავაგაში ვარლამ ჩერქეზიშვილის მიერ, დაურიგდა დელეგატებს 26 ივნისს 1907 წ. ბელგიელი პროფესორის და მოსამართლის ერქესტ ნისის დახმარებით.

1907 წ. 30 აგვისტო-9 სექტემბერი — დიდი ეროვნული გლოვა და დემონსტრაცია მთელი ქართველი ერისა ილიას მოკლვის გამო, რომლის სიკვდილმა შეაჩხია და აამოძრავს სრულიად საქართველო ერთი ეროვნული იდეის ირგვლივ. „მის სათაყვანო კუბოს გარშემო შემოკრბენ საუკეთესო წარმომადგენერელნი მთელის საქართველოისა, შავი ზღვიდან დაწყებული დალესტნის მთებამდე და კავკასიონის ქედიდან მოკიდებული ისმალეთის საზღვრამდე. საქართველომ შავს მიწას მიაბარა თავისი სახელოვანი და უკვდავი შვილი ისეთი ღრმა და გულ-წრფელი საყოველთაო მგლოვიარებით, ისეთი ცრემლის ნაკადულებით და ისე დიდებულად, როგორც უგლოვნია, დაუმარხნია თვისი დამოუკიდებლობის და ძლიერების ღროს სახელოვნნი და დიდი მეფენი: დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე.“ (იაკობ გოგებაშვილი, „ისარი“ 12 სექტ. 1907 წ.) მრავალი პატრიოტული სიტყვა იყო წარმოთქმული. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავი საპროგრამო პოლიტიკური სიტყვა მიხ. წერეთლისა (ტექსტი დაბეჭდა „ბ. ქ.“-ში, №12), აგრეთვე აკაკი წერეთლის, იონა მეუნარგიას, ს. ხუნდაძის, ირ. ევდოშვილის, ნინო ნაკაშიძის, ვაჟა ფშაველას, გაისკოპოს ლეონიძის, ნ. თალაქვაძის, კ.ჩეიძის, ვლასა მგელაძის, ს. მილინის, ნ. ცხვედაძის, ს. ქვარიანის, ვ.ნ. ჩერქეზიშვილის, მოწაფე უორჯოლიანის და სხვების.

1909 წ. პეტრე სურგულაძე, მიხეილ წერეთელი, ფილიპე გოგიაშვილი, ალ. ყიფშიძე, გიორგი გვაზავა, იაკობ გოგებაშვილი, ვალ. გუნია, ნიკო ლორთქიფანიძე, სიმონ ყიფანი და სხვები აარსებენ თბილისში საქართველოს დამოუკიდებლობის საიდუმლო ჯგუფს და სცემებს უურნალებს, რომლებიც ცენზურისაგან დევნის გამო ხან „ერის“ და ხან სხვა და სხვა სახელით გამოიიდა. ეს ორგანო დიდი მოხერხებით, მაგრამ გაბედულად და გარკვეულად მოითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. 1910 წ. უანდარმერიამ რუსეთში გადასახლა მრავალი ქართველი ნაციონალისტი, ამ ჯგუფიდან პეტრე სურგულაძეც, ხოლო მიხეილ წერეთელმა გაასწრო ევროპაში, და შემდეგ პეტრე სურგულაძეც ევროპაში გაიქცა.

1910 წ. კავკასიის მთავარ-მართებელი კორონცოვ დაშვილი იმპერატორისადმი წარჩინების თავის უმაღლეს მოხსენებაში აღნიშნავს, რომ 1910 წ. თავად-აზნაურობის ყრილობამ საქართველოს დამოუკიდებლობა მოითხოვა.

1910 წ. უენეგაში პეტრე სურგულაძემ დაარსა ქართველი სეპარატისტების ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ: ნეტორ მალალაშვილი, ლეო და გიორგი კერესელიძენი, ლეო ქაჩელი, ვასო ციცქაშვილი, ამ დროს ლონდონში მყოფი მის. წერეთელი და სხვები. ეს ჯგუფი სცემდა გაზეთს „თავისუფალ საქართველოს“, რომელიც 1914 წლის დამოუკიდებლობის პირველი ნომერი შეიცვალ ცრცელ დეკლარაციას, რომელიც ასე თავდებოდა: „ისტორიულმა პირობებმა ქართველი ერი ჩაიყენა მეტად დიდ განსაცდელში. დღეს თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ მხარეს ქართველი ერის არსებობისა, რომელზედაც მტრებს იერიში არ მიქვენდეთ. მოპირდაპირ ძალები ქართველ ერს დაშლას, გაქრობას უქადია... ჩვენ ვეცდებით შევიმუშავოთ მთელი გეგმა ეროვნული თვითარესებობის დაცვისა, საქართველოს აღდგენისა, მისი განთავისუფლებისა, და ამ გეგმის გარშემო თავი მოუყაროთ მთელ შემოქმედ საქართველოს. ჩვენ კარგად გვესმის სიძნელე ამ საქმისა, რომელსაც ხელს ვკიდებთ... მაგრამ ქართველი ერის შემოქმედებითი ძალა იმდენად დიდია, რომ შინაურ მტერსაც გასრესს, გარეშესაც მოიგერიებს და გაიკვლევს გზას თავისუფლებისაკენ. დარწმუნებულნი, რომ სამშობლოს ყოველი შეილი ჩვენთან არის სულიერად, იტანჯება იმავე საკითხებით, რომელთა გამორკვევა ჩვენ მიზნად დავისახეთ, ჩვენ ველით მათგან თანაგრძნობას, თანამშრომლობას, ჩვენთან ერთად მუშაობას და ბრძოლას დეირფას სამშობლოს, დანგრეული ქართველი ერის პოლიტიკურად აღდგენისათვის, მისი დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის.“

1914 წელი. როგორც ცნობილია, ვარლამ ჩერქეზიშვილი არ უშვებდა არც ერთ შემთხვევას, რომ საქართველოს დასაცავად ხმა არ ამოელო. სხვა ქართველებთან ერთად ლონდონში დაარსა მან „საქართველოს 1783 წლის ხელშეკრულების უფლებათა დამცველი კავშირი“, რომელმაც დიდი მოწოდებით მიმართა ქართველ ერს: „ქართველებო, ჩვენი სამშობლო განადგურებულია, ჩვენი ერის მიწა-წყალი, ჩვენი ისტორიული საუნჯენი წარყვნილნი! ჩვენი ხალხი, რომელიც 20 საუკუნის განმავლობაში გმირულად, იარაღით ხელში იცავდა ეროვნულ დამოუკიდებლობას, დღეს იარაღ ახდილია, დამონაბეჭდი, როგორც დაპყრობილი მონა.“ შემდეგ დაწვრილებით აღწერილია ყველა წამება და უბედურება, რაც რუსეთმა მიაყენა ქართველ ერს და მოცემულია დარიგებაც, თუ როგორი წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს მტერს: „მაშ დავიცვათ ჩვენი ეროვნული ქარტია! ნუ გავცვლით მას რაღაც მეორე-ხარისხოვან ერობაზედ, ნურც რომელიმ „ნაჩქარ“ თვითგამორკვევაზედ! დავაარსოთ ყველგან საზოგადოებანი და კავშირნი საქართველოს ხელშეკრულების მიერ მინიჭებულ უფლებათა დასაცავად. ვილაპარაკოთ, ვწეროთ, ვტერით ჩვენ უფლებათა შესახებ ყველა ევროპულ ენაზედ და განვაცხადოთ საქვეყნოდ, რომ ჩვენი უფლებანი უარყოფილნი არიან. დავავალოთ ჩვენს წარმომადგენლებს რუსეთის სახელმწიფო საბჭოში, რომ მათ პირდაპირ მისათხოვონ რუსეთის კანონმდებლებს, მინისტრებს და რუსეთის ეკლესიის სინოდს სწორი და ნამდვილი აღსრულება საქართველოს და რუ-

სეთ ს შორის დადებული ხელშეკრულებისა. მივცეთ წინადადება თავადა-აზნაურობას, გამოტანონ გადაწყვეტილებანი სათავადა-აზნაურო კრებაზედ ხელშეკრულების აღსრულების შესახებ, წარედგინოს მისი წარმომადგენელის ხელით ეს გადაწყვეტილება რუსეთის იმპერატორს და მის მინისტრებს. ამის უფლება აქვს თავად-აზნაურობას, ეს მისი მოვალეობაა სამშობლოსა და ერის წინაშე.

სამღვდელოებამ, თანახმად ხელშეკრულებისა, უარი უნდა განაცხადოს რუსეთის აღგილობრივი საექლესიო კრებებზედ მონაწილეობის მიღებისა, რა-დან რუსეთის ეკლესია ხუთი საუკუნით უმცროსია საქართველოს სახელო-ვან მართლმადიდებელ ეკლესიაზედ; რუსეთის ეკლესიას არც ერთი მსოფ-ლით კრებაში მონაწილეობა არ მიუღია და არა აქვს უფლება გადაწყვიტ-ოს ბედი ჩვენი ეკლესიისა არც კანონიური უფლებით და არც საქართველოს და რუსეთის ხელშეკრულების ძალით.

ჩვენ-კი, ერისანი, ერთხმად დავუჭრერთ მხარს სამღვდელოებას ჩვენი ეკ-ლესის ავტოკეფალიის დაცვის საქმეში. და შენ ქართველო ხალხო — უმი-წაწყლო გლეხობავ, მუშავ რომელსაც მუდამ შორს გერეკებინ სამშობლო ქვეწის საზოგადო სამუშაოთაგან, შენ ახალგაზრდობავ, რომელსაც გაცი-ლებენ შენ საყვარელ მამულს და გვზავნიან წინააღმდეგ ჩვენ უფლებათა სა-სიკვდილოთ ცივ ჩრდილოეთის ყაზარმებში — შეერთდით ყველა თქვენ. და ერთ სულთა ჩვენ დეპუტატებთან, თავად-აზნაურობასთან და სამღვდელოე-ბასთან ერთად იბრძოლეთ ჩვენი საერთო საქმის აღსასრულებლად, რომელ-იც არის დაბრუნება ჩვენ ხელშეკრულებაში აღნიშნულ უფლებათა, იღვაწეთ ჩვენი ხალხის მიწა-წყლის, ეკლესის, ენის და სხვა უფლებათა აღსაღენად.

თანამემამჟღლენო!

ჩვენი მოწოდება დასაბეჭდათ დამზადებული იყო, რომ ინგლისში ეს რე-ზოლუცია გამოვიდა: ერთხმად მიღებული „ინგლისის მშვიდობიანობის სა-ზოგადოების“ კონგრესის მიერ ქ. ლივერპულში 12 თბიათვეს 1914 წ.

„კონგრესი პროტესტს აცხადებს იმ განკარგულების წინააღმდეგ, რომ-ლის ძალითაც საქართველოს შუაგულიდან, ტირიფონის ველიდან, უნდა აპ-ყარონ ათასობით ქართველი გლეხები, გაატიალონ მათი ბალ-ვენახები, რომ მერე ზედ გამართონ 1000 ჯარის კაცისათვის სამხედრო სავარჯიშო ბანა-კი (პოლიგონი); და არც კი ჰერიტეულობენ, თუ რა ზომის ზარალი უნდა მი-აყენონ ამით მთელს მხარეს და ან რამდენათ არღვევენ ამით საქართველოსა და რუსეთს შორის დადებულ ხელშეკრულობას; კონგრესი იმედოვნებს, რომ რუსის მთავრობა ხელს აიღებს თავის განზრახვაზე.“

პირი ამ რეზოლუციისა გაეგზავნოს: რუსეთში მინისტრთა საბჭოს თავმ-ჯდომარეს, მეფის მოადგილეს კავკასიაში, ინგლისის საგარეო საქმეთა მი-ნისტრს ბ-ნს გრეის და პრესას.“

თავისუფალი ხალხის ამ გაბედულმა პროტესტმა და ჩვენის გლეხობისა და ჩვენის ხელშეკრულობის მიერ მონიჭებულ უფლებათათვის გამოსარჩევ-ბის ხმამ და სიხარულით აღვიტოთ გული, და უფრო წაგაქეზოთ ჩვენი ხა-ლხის ავტონომიურ უფლებათათვის საბრძოლველად.

იყავით მხნე, იყავით მდგნე! თანხმობით იყავით ურთიერთთან. დარწმუნ-დით, რომ ბრძოლა საჭირო. და იმედი გქონდეს, — თავისუფალი და განათ-ლებული კაცობრიობა მხარს დაგვიჭრეს არა მარტო ლიტონის სიტყვითა. ჩვენ,



ვინც ამ სიტყვებით მოგმართავთ, დარწმუნებული ვართ, რომ ეს ასე იქნება.

თქვენ ვინდა ხართ? — უკეთესია გვკითხავთ. ჩვენ სხვა და სხვა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პარტიების ქართველებმა შევადგინეთ „საქართველოს ხელშეკრულების უფლებათა დამცველი კავშირი“.

ჩვენ ვფიქრობთ, ჩვენის პირით თქვენ მოგმართავსთ გალვიძებული გრძნობა ხალხის საკუთარის ღირსებისა და საზოგადოებრივი სინიდისი... ჩვენ ყოველან თქვენთან ვიქნებით, ყოველს საქმეში მხარში ამოგიდგებით!

საქართველოს ხელშეკრულების უფლებათა დამცველი კავშირი.

1914 წელს ომის დაწყებისას, პეტრე სურგულაძე ადგენს უენევაში თვითი თავემჯდომარეობით საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს, რომელშიაც შედიან: ნესტორ მალალაშვილი, ლეო და გიორგი კერესელიძენი, შემდეგ ბერლინში მიხეილ წერეთელი და გიორგი მაჩაბელი და სტამბოლში მელიტონ ქარცივაძე და მამა შალვა ვარდიძე. კომიტეტი გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს გერმანიასთან და ოსმალეთთან, ეძებს დახმარებას, სდებს ხელშეკრულებებს მთავრობებთან ქართველი ერის სახელით საქართველოს დამოუკიდებლობის აღსაღენათ. ადგენს ქართულ ლეგიონს, რომელიც იბრძვის ოსმალეთის ფრონტზედ ლ. კერესელიძის ხელმძღვანელობით რუსების წინააღმდეგ.

1916 წ. კომიტეტის დავალებით გიორგი მაჩაბელი წყალქვეშა ნავით მიღის საქართველოში და ნახულობს ყველა პოლიტიკურ მოღვაწეებს, მათ შორის ნოე უორდანიას და ევგენი გეგეჭკორს. „თქვენ იქ განაგრძეთ მუშაობა და როდესაც დრო დადგება, ჩვენც გავაკეთებთ აქ ჩაც საჭიროა,“ აბარებს მას ნოე უორდანი. დღეს ემიგრაციში მყოფ მოღვაწეებითგან ბ. რევაზ გაბაშვილია დამსწრე გ. მაჩაბელთან შეხვედრისა.

ბერლინში არსებულ დამოუკიდებლობის კომიტეტის მუშაობას საქართველოში აგრძელებენ: სპირიდონ კედია, დათა ვაჩაძე, რევაზ გაბაშვილი, შალვა ქარუმიძე და სხვები.

1916 წ. ლოზანაში დაჩაგრულ ერთა კონგრესზედ დიდი მოხსენებით გამოდის საქართველოს სახელით მიხეილ წერეთელი, რომლის სიტყვა უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს. იგი ვრცლად აღწერს საქართველოს მიმართ რუსეთის მიერ ჩადენილ მთელ ბოროტებათ, მოუთხრობს მთელი ქვეყნის ერთა წარმომადგენლებს საქართველოს 116 წლის ტანჯვას, იცავს საქართველოს სუვერენულ უფლებებს და მოითხოვს მათ აღდგენას. მოხსენება ისე ძლიერად იყო დასაბუთებული, რომ თვით რუსული წყაროების მიხედვით არა თუ კონგრესზე დასტოვა დიდი შთაბეჭდილება, არამედ თვით რუსთ დამსწრეთ ენა ჩაუგდო და პროტესტის ნიშნად მათ კრება დასტოვეს. ეს მოხსენება დაიძებდა ბერლინში ფრანგულ ენაზე საქ. დამოუკ. კომიტეტის მიერ. გამოქვეყნებული იყო „ბ.ქ. № 15-ში.“

1917 წ. იგივე მიხეილ წერეთელი მიემგზავრება წყალქვეშა ნავით საქართველოში მელიტონ ქარცივაძესთან ერთად სხვა და სხვა დავალებებით და იარაღიც გადააქვს. თბილისში დათა ვაჩაძის ბინაზე ხვდება ქართულ პოლიტიკურ პარტიათა შეთაურებს: ნოე უორდანიას, ევგენი გეგეჭკორს, დათა ვაჩაძეს და ოსებ გედევანიშვილს. ამ საიდუმლო კრებაზე ერთხმად მიღებულია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. „ნახევარი მილიონი გამხე-

ცებული ბრძო რუსულ ჯარისა ქვეყანას წალეკვას უპირებს, შველა ახლად სა-
ჭირო და საჩქაროდ, წალით სწრაფად იქვე, საითგანაც შველა უნდა მოტრდ-
ეს“-ო, ეუბნებიან წერეთელს, რომელიც როგორც თვითონ გადმოგვცემს, მე-
ლიტონ ქარცივაძესთან ერთად იმედით აღსავსე გამოეშურა „საშველისაკენ“
და ისეთი გზით, რომელიც ოდისეოსაც კი შეაძრწუნებდათ . 1918 წ. მარტში
ხელმეორედ მიდიან საქართველოში მ. წერეთელი და მ. ქარცივაძე წყალ-
ქვეშა ნავით. მათ დავალება აქვთ ერისაგან, თუ პატიათაგან აღჭურვილი
მანდატით კაცის ჩამოყვანა ბერლინში, მაგრამ საქართველოში ჩასვლა არ
დასჭირდათ. სევასტოპოლში შეხვდენ სპირიძონ კედიას, რომელიც ეკრია. ში
იყო გამოგზავნილი განსაზღვრული დავალებებით და იგი ჩამოიყვანეს ბერ-
ლინში.

1918 წ. 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას მთე-
ლი ერი უდიდესი აღფრთვევანებით და ზემით შეხვდა. და ეს სავსებით ბუ-
ნებრივი იყო, რათგან ქართველ ერში მუდამ იყო სურვილი დამოუკიდებლო-
ბისა და მისწრაფება მისაღმი. მას არასოდეს არ შეუწყვეტია ბრძოლა მის აღ-
საღებენად, და როგორც კი შესაფერი დრო დაუდგა, კიდევაც განახორციელა
თვისი უზენაესი იდეალი. ასეთი იყო გარდაუვალი ნება ქართველი ერისა, და
მის წინააღმდეგ წასვლა არავის არ შეეძლო.

ეს არის ისტორიული სინამდვილე, რომლის უარყოფა უმძიმთ თვით ქა-
რთველ ბოლშევიკებსაც დაბყრობილ საქართველოში, მიუხედავად „უფროსი
ძმისაღმი“ ნაბრძანები და სავალდებულო სიყვარულისა. ხოლო, როდესაც
ამ სინამდვილის დამახინჯებას თავისუფალ მსოფლიოში მყოფი რომელიმე
ქართველი ემიგრანტი ან წრე ცდილობს, ეს საკალალოა და გაუგებარი...

კ. ხალია.

დამონაბულ ერთა წარმომადგენლობისათვის

შეუძლია თუ არა დამონებულ და თავისუფლება წარმომეულ ერს ჰყავ-
დეს თავისი წარმომადგენლობა? ეს საკითხი მუდამ არსებობდა, მაგრამ დღეს
მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. მართლაც პატარა ერები არას-
ოდეს არ ყოფილან დაბყრობის ისეთი საფრთხის წინაშე, როგორც დღეს.
თანამედროვე დიდი იმპერიების ხანაში. აგრეთვე არასოდეს არ ყოფილა
საერთაშორისო განრიგების (ორდრ ენტერნასიონალ) ყურადღება მიქცეუ-
ლი პატარა ერთა დაცვისა და დამოუკიდებელი არსებობის უზრუნველყო-
ფისათვის ისე. როგორც დღეს.

ამის დამამტკიცებელი ის არის, რომ დამონებული ერები განუწყვეტილივ
მოითხოვენ თავიანთ განთავისუფლებას და მიზნის მისახწევად იღებენ ყვე-
ლა ზომებს: იწვევენ ურიოლობებს, აარსებენ საზოგადოებებს რათა განუწყვე-
ტილივ ამეღავნონ და დაიცვან თავიანთი უფლებები დამოუკიდებლობისათ-
ვის. ვინაიოგან დიდი იმპერიები ძალაზე დამყარებულნი, საბოლოოდ გან-
წირულნი არიან დასაზღვევად, აუცილებელი საჭიროა თვით ტყვეობის დრო-
საც პატარა ერებს ჰყავდეთ თავიანთი წარმომადგენლობა. საუკეთესო ნიმ-

უშს თანამედროვე დამპყრობელ იმპერიისა წარმოადგენს საბჭოთა კავშირის რომლის დაშლის დრო შეიძლება არც ასე შორს იყოს. ამიტომ დიდი პიშჩველობა ეძლევა მის მიერ დაპყრობილ ერების წარმომადგენლობას.

თავისთავად ცხადია, რომ საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილ ერებს არ შეუძლიათ იყოლიონ თავიანთი კანონიერი წარმომადგენლობა, რაოგან მათ წართმეული აქვთ საშუალება სურვილების თავისუფლად გამოვლინებისა, მაგრამ ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ მათ არავითარი წარმომადგენლობის უფლება არ ჰქონდეთ. თუ საერთაშორისო განრიგება ერთი მხრივ ერთა თვით-გამორკვევის უფლების განხორციელებაში დამტარებაზე უარს ამბობს, სამაგიეროდ ის გმობს დაპყრობას და მის მიერ შექმნილ ფაქტიურ მდგომარეობას. **STATU QUO ANTE** აჩება თავისი ფორმითა და იურიდიული შინაარსით. უფლება, რომელიც აჩება ხელუხლებელი, თუნდაც გაუნაღდებელი, იძლევა კანონიერ და გამართლებულ საფუძველს წარმომადგენლობის შესაქმნელად.

ხოლო ერთი აუცილებელი პირობით: წარმომადგენლობა უნდა ემყარებოდეს დემოკრატიული კანონიერების პრინციპზე. დამონებული ერის შეილებმა, რომლებმაც თავი დაახტიეს დევნას და სარგებლობენ სიტყვის თავისუფლებით, უნდა გამოხატონ ან წარმოადგინონ სწორად და მთლიანად ერის პოლიტიკური პიროვნების ყველა ელემენტები.

პოლიტიკურ ნიადაგზე ერის თავისუფლება გამოიხატება უმთავრესად პოლიტიკურ აზრთა და მიმდინარეობათა სხვა და სხვამაში და მათ გამომხატველ პარტიათა არსებობაში. მეორე მხრივ ეს თავისუფლება გამოისახება წარმომადგენლობითი ორგანოების დაარსებით, თავისუფალი არჩევების ნიადაგზე, და რომელსაც მინიჭებული აქვს მანდატი იმოქმედოს ერის სახელით ან ერისათვის.

ამნაირად, ჩამოყალიბება დამონებული ერის წარმომადგენლობისა ძნელი არ არის. საჭიროა შემოკრება ყველა ყოფილი ორგანოების წარმომადგენელთა: პარლამენტის, მთავრობის და გამოუკლებლივ პოლიტიკური ორგანიზაციებისა. წარმომადგენლობის ხასიათის გასაძლიერებლად შეიძლება დაემატოს სოციალური და კულტურული ორგნიზაციები, თუ ასეთები არსებობენ. ასეთ ორგანოს, რომელიც იქნება ნამდვილი სარკე და გამომსახველი ყველა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ნიუანსებისა, შეუძლია მოითხოვოს წარმომადგენლობის უფლება თავისუფლების მოკლებული ერის სუკერენიბისა.

ხოლო აქ ერთი სიტროტილეა საჭირო: თუ წარმომადგენლობის შედგენაში დაშვებულია რაიმე შერჩევა და გამოხატლის, გამოირიცხულია რომელმე არსებული ორგანიზაცია, მაშინ მცირეოდენი წინააღმდეგობაც კი საქმარისია, რომ შეილახოს ღირებულება და ძალა ამ ორგანოსი და მისი მოქმედება გამოცხადდეს უზურპაციად.

ამნაირად, წარმომადგენლობის სიმტკიცე და მისი ცნობა ღამოკითხებულია ერის თავისუფალ მოქალაქეთა ურთიერთ შეთანხმებაზედ.

მიხეილ მუსეელიშვილი.

სტრასბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ და პოლიტ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი.

დიდი ინტერესით წავიკითხე რომანი ქონსტანტინე გამსახურდიასი „და-ვით აღმაშენებელი“, წიგნი პირველი. ავტორს დიდი შრომა გაუწევია: სხანს, ზედმიწევნით შეუსწავლია ისტორიული წყაროები. სტილი აღებული ეპოქისა სიუხვითაა რომანში გადმოშლილი. თუ როგორაა განვთნილი რო-მანი ხელოვნურად, ამის განხილვა საგანგებო წერილს მოითხოვს. აქ აღვ-ნიშნავ მხოლოდ ერთ დეტალს. ფართოდ გაშლილ ისტორიულ გარემოში დავითი იზრდება ნელინელ, იყსება ძალით, მტკიცდება. ეს სინელე, ფრი-ად მნიშვნელოვანი ყოველი მხრით, რომანში ძალიან მარჯვედაა გაყვანი-ლი. ავტორი გვპირდება კიდევ ორ წიგნს. ვუსურვოთ გამარჯვება!

* * *

აღარ არის ამ სოფლად აღ. აბაშელი. დაგვიანებით მაინც უნდა მოვიგო-ნოთ გარდაცვლილი. უნდა მოვიგონოთ ორითოდე სიტყვით მაინც. იყო შინა-გან მტკიცე, მედგარი, ხოლო არ-შემმართებელი: მშვიდი იყო, ნელი წყა-რი. იყო გულგახსნილი, გულგეთილი. მაკვირვებდა მისი მხვედრი გონი. (ამის შესახებ უკვე მქონდა შემთხვევა სიტყვა მეთქვა ჩვენს უურნალში: იხ. №18). განსვენებული, რომელსაც საშვალო სკოლაც არ ჰქონდა განვ-ლილი, წამსავე ხვდებოდა რომელიმე ფილოსოფიურ პრობლემას, საუბარ-ში წამოჭრილს. საუბარი მასთან — რომელსაც არ რჩებოდა შეუმჩნეველი არც ერთი ნეუანსი — ტებობა იყო ნამდვილი. არ დამავიწყდება მისი სი-ცილი. იცინოდა: თითქო ხალისს აფრქვევდა, უფრო სწორად: გაფრქვევდა. შეხვედრა მასთან ჭეშმარიტად გახარება იყო. აღ. აბაშელი იყო ერთი პირ-ველ-მდგენთაგანი ჩვენი ახალი პოეზიასა. სამწუხაროდ ხელთ არა მაქვს კრებული მისი შაირებისა, რომ მის ლირიულ სამთავროთვან. გადმოვშალო აქ რომელიმე შუქურა ფენი. (უნდა ითქვას, რომ მისი ლირიკის თავისებუ-რობა ჯერ კიდევ არაა ძირეულად განხილული. ეგებ „სოციალისტური რე-ალიზმის“ მიხედვით განიხილეს! რას გაიგებდენ?) ხანდახან იგი „საბჭოურ“ შაირებსა „წერდა“: ეს იყო, ასე ვთქვათ, ასრულება „სავალდებულოსი“, სხვა არაფრი. ახლა ით ეს. დღემდე ვერ მომიტევებია ჩემი თავისათვის, რომ მის კონას შაირებისა „მზის სიცილი“ — დიდი ხანია მას აქეთ — ვერ შევ-ხვდი ისე როგორც საჭირო იყო. შესაძლოა მართალიც იყო ის, რაც დავწერე იმ კონის შესახებ, შესაძლოა — ხოლო კილო წერილისა არ იყო მართებული.

* * *

აღ. აბაშელის გარდაცვალების ცნობასთან ერთად მივიღე ცნობა ილო მოსაშვილის გარდაცვალებისა. მოსაშვილი გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე საქართველოს გასაბჭოების შემდგომ. (ასე მახსოვი.) აქვეყნებდა მაგარ-ძარ-ლვიან შაირებს. (რაც რამ დაუწერია შემდგომ მისა, რაც მე დავტოვე საბ-ჭოეთი, ლირიული თუ დრამატიული თუ სხვა რამ, არ წამიკითხავს.) მაგ-ონდება ბოლო ნასხლეტი ერთი მისი შაირისა (რომელსაც შევეხე ნარკვევში „უცნობი საქართველო“). ესაა გაზახილი: „უფსკრულებისკენ გაქანებულ

უზანგებიდან!“ თილისმა ქართული ენისა სხვათა შორის ელლიპსია, ესე ფილი ისეთი მოზმევა თქმისა, საცა ართქმული თქმულად ცნაურდება. „უფლის ებისკენ გაქანებული უზანგებიდან!“ გასაოცარი მაგალითი ელლიპსისა. გესმის გაზახილი და ოვალწინ გემლება თაგბრულამხვევი სურათი, რომელსაც აღწერა არ ეჭირვება. მე არსად მეგულება შაირული თქმა, საცა ასეთი დინამიურობით იყოს გაყვანილი დიონისური გავარდნა და ისიც მხოლოდ სამი სიტყვით.

* * *

ფრიად დასაფასებელია გრიშაშვილის სიყვარული ლიტერატურული ნაქმისადმი. მას აქვს ძევლი ტფილისის ერთერთს განაპირა კუთხეში საკუთარი ორსართულიანი პატარა სახლი, რომლის ზედა სართული თვითონ უკავია. მთელი ბინა წიგნთსაცავს წარმოადგენს. იქ მოთავსებული არავალი რამ ლირსშესანიშნავი, რაც კი რამ დაწერილა ქართულ ენაზე. არაღირსშესანიშნავიც. საქართველოში ხშირად გამოსულა რომელიმე უმწევევი წიგნაკი რომელიმე უჩინარი ავტორისა. ვერსად ვერ იპოვით, თუ არ გრიშაშვილთან. ხშირად გამოუციათ ჩვენში გაზეთი თუ უურნალი, მხოლოდ ერთი ნომერი. სად შესძლებთ მონახვას ასეთს გამოცემათა? გრიშაშვილთან. მას აქვს არა მარტო ნაწერები რომელიმე ავტორისა, არამედ ისიც, რაც კი რამ ავტორზე დაწერილია, იყოს იგი თუგინდ უბრალო რეცენზია. მაგალითი. ბევრი რამ გამომიქვეყნებია გაზეთში თუ უურნალში. ვერ მოვთვლი, ვინათვან ყველა არ მივროვებია. ბევრი რამ დაუწერიათ ჩემზე. ვერ მოვიგონებ, რათვან ამის მოგროვებისათვის თავი არ მიტეხია. ერთხელ სტუმრად ვიყავ გრიშაშვილთან. გამიმასპინძლდა ტფილისური ახალისებით. შემდგომ მანახვა თითქმის ყველაფერი, რაც კი რამ ყოფილა ჩემგან გამოქვეყნებული გაზეთებში თუ უურნალებში. მანახვა აგრეთვე ყველაფერი, რაც კი რამ გამოექვეყნათ ჩემზე ამა თუ იმ გაზეთში, ამა თუ იმ უურნალში. გავოცდი. ასე ექცევა იგი ყოველ მწერალს. რაღა გავაგრძელო: გრიშაშვილის არქივი ქართული ლიტერატურისათვის ფასდაუდებელია.

1956 წ. ქენევა.

გრიგოლ რობაქიძე

ოცნება როველზე

ამ მთის გადაღმა ფართო ველია
და საოცნებო გადასახედი.
მჯერა: იქ ეხლა შუა როველია
და უსათუოდ მეც მიმელიან
ზვრები სვირის და ზვრები კახეთის.

ავყვები ამ მთის ბილიქს ქვებიანს,
ჩავალ, აგავსებ ლალით კალათებს,
სოფლის ბიჭები იქ დამხვდებიან,
ვნახავ გოგონებს წაბლათმებიანს
და გულში შუქი შემოანათებს.

და სამკაული ვაზე რომ ჰკიდია
იაგუნდი და ქარვა ქებული,
სოფლის მარნისკენ ერთად მიდიან,
და საწნახელიც ლრმა და ღიღია —
ხარბი ვეშაპი პირდალებული.

მზე ჩადის... და ცას შეფერავს ინით,
დევებათ ჩანან ჩალის ზეინები.
ქვევრებში ტკბილი ამბოხდა უინით
და ღიონისოს გაჩალდა ლხინი:
მზისა და მაჭრის დაქორწინების.

ნელინელ ფარავს უქუნი არეს —
ფრთხებგაფოფხილი შავი არწივი.
მაყრების მღერა აღვიძებს შარებს
და ცაზე მოსჩანს ახალი მთვარე —
ქარვისფერ ღვინით სავსე ყანწივით.

გიორგი გამყრელიძე

შემოდგომა 1956 წელი.

უენიშვები ახალი ჩართული ლიტერატურის ისტორიაზე

ორი წლის წინ გამოვიდა 523 გვერდიანი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტომი პირველი, პ. კეკელიძე, ა. ბარამიძე. ქველი ქართული ლიტერატურა (5-18 ს.ს.), ტფილისი 1954 წ. საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემია, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატ. ისტ. ინსტიტუტი).

ამ ტომის შესავალი და პირველი ნაწილი (გვ. 7-193) შედგენილია პროფ. პ. კეკელიძის მიერ, მეორე ნაწილი (გვ. 197-497) ეკუთხნის პროფ. ალ. ბარამიძეს. შესავალს წინ უძლვის განცხადება „რედაქციისაგან“, საღაც ნათქვამია: რუსთაველის სახელობის ინსტიტუტი „ამ წიგნით იწყებს ქართული ლიტერატურის ისტორიის თხზულების გამოცემას“: პირველი ტომი შეიცავს მე-5-18-ე საუკუნეების მწერლობის ისტორიას; დანარჩენ ტომებში უნდა მოთავსდეს: მეორეში მე-19-20 საუკუნისა, მესამეში „საბჭოთა მწერლობისა“ ხოლო მეოთხეში „ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია“-ო. იქვეა აღნიშნული თუ რა მიზანს ემსახურება ეს ახლად გააზრებული ისტორია: „დღემდე არ მოვვეპოება.... ქართული ლიტერატურის ისტორიის მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით გაშუქებული სრული სისტემატიური კურსი“-ო. წიგნიც ჩასკვირველია ამ თვალსაზრისის ფერებით არის „შეზავებულ-შეხამებული. ცხადია, ასეთ თხზულებაში სინამდვილის მარქსისტულ თეორიებთან შეხმატკბილება ბუნებრივი მოვლენა უნდა იყოს და არის კიდევ. მაგ. პროფ. ა. ბარამიძე პატივით იხსენიებს სასულიერო წრე-ებიდან გამოსულ მწერლებს; მაგრამ ეს ფაქტი მას ხელს არ უშლის იმავე

სამღვდელოების წევრებს „ანტისაზოგადოებრივი და ანტისახელმწიფოებრივი რივი საქმიანობა“ (გვ. 441) მიაწეროს.

ვინაით აშოთ კურაპალატს გიორგი მერჩულმა მეძავი დედაკაცი ჩამოაშორა, სამღვდელოების ასეთ საქციელს ბ. ბარამიძე „საერო ფეოდალთა წრის“ გრძნობის თავისუფლების, „დიაცი ცხოვრებისაღმი“ მიზიდულობის, „ხორციელ-მიწიერი სურვილების ჩაბობის“ იღეალს უწოდებს და სწუხის, რომ აშოთ კურაპალატი იძულებული გახდა „გარეგნულად მაინც დამორჩილებოდა ეკლესიის მკაცრ განახენს“-ო (გვ. 197). პროფ. ალ. ბარამიძეს აქ ავიწყდება, რომ თვითონ მარქსიც მომხრე იყო ასეთი მკაცრი განახენისა და არც საბჭოთა კანონმდებლობა არის მისი წინააღმდეგი. განა დავით გურამიშვილიც, რომელზედაც ასე კარგად ლაპარაკობს ბ. ბარამიძე, ამ სენს არ უგმობდა მის თანამედროვე ქართველებს! „გვირგვინის ცოლი გაუშვეს, ხარჭასთან შეჰქმნეს რბოლანი“!

ბ. კეკელიძისთვის აქამდე დადებით და სასარგებლო მოვლენად ითვლებოდა მისიონერების მოღვაწეობა საქართველოში, ამ წიგნის ჩვენებით კი მათ დვაწლს უცბად ფერი ეცვალა: „მისიონერები, როგორც ცნობილია, ნამდვილად იყენენ დახელოვნებული აგენტები რომის პაპისა და დასავლეთ ევროპის კაპიტალისა“, რომელთა „მოღვაწეობასა და საქმიანობას არ ჰქონია გავლენა ქართულ მწერლობაზე“-ო (გვ. 38). ასე მალე იქმნა დავიწყებული ანტონ კათალიკოსი და მისი სკოლა!?

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ბ. ბარამიძის, ისე ბ. კეკელიძის ნაწილიც, დაწერილია ლამაზი, მსუბუქი ენით, ლიტერატურულ ღირებულებითა სრული შეგნებით, ძეგლთა ავ-კარგიანობის მკვეთრი და ზუსტი შეფასებით. ამას ზედ ერთვის ის დაუფასებელი ღირსება, რომ მთელი თხზულების მანძილზე შეუნელებლად ულერს საღი პატრიოტიზმის და მაღალი ეროვნული გრძნობის ძლიერი სიმები.

* * *

ახლა გადავიდეთ ზოგიერთ საჭომანო საკითხების განხილვაზე. ამ წიგნში ბ. კეკელიძეს წამოუყენებია ერთი სულ ახალი აზრი, რასაც საგნად აქვს მოციქულთა ქადაგება საქრთველოში.

უკვე არ ახალი ამბავია, რომ მე-10-11 საუკუნემდის საქართველოში არა-ფერი იცოდნენ მოციქულების ქადაგებაზე ქართველთა შორის (იხ. ბ.ქ. №19, გვ. 10-11). ამას ადასტურებს ქართლის მოქცევა და ლეონტი მროველის ისტორია. მე-11-ე საუკუნის დამდეგს კი ქართველობაში გამტკიცდა რწმენა, რომ ქართველებს ქრისტეს სჯული უქადაგა ანდრია მოციქულმა. რა ახსნას აძლევს კეკელიძე ამ ისტორიულ მოვლენას! იგი სწერს: „მეცხრე საუკუნის დამდეგს ბერძნულ ენაზე დაიწერა თხზულება ანდრია მოციქულის... მოღვაწეობის შესახებ, რომელშიაც ნათევამია, რომ ანდრიამ ქრისტიანობა იქადაგა ჩვენშიაც... ანდრია მოციქულს ბერძნული ტრადიცია თვლიდა კონსტანტინებოლის განმანათლებლად. ეს გარემოება კონსტანტინებოლის პატრიარქს აძლევდა საბუთს. პრეტენზიებისათვის — ჩარეოდა ანდრია მოცი-

ქულის მიერ განათლებულ ხალხთა საეკლესიო ცხოვრებაში, მაშასადამე — ქართველების ცხოვრებაშიაც. მეცხრე საუკუნეში... ასეთი პრეტენზიები უფრო უნდა გამომედავნებულიყო, განსაუთრებით პატრიარქი ფოტის დროს. ამიტომ ჩვენში დაბადებულა აზრი და სურვილი გაბათილებული ყოფილიყო ბერძნთა პრეტენზიების საფუძველი, სახელდობრ ცნობა იმის შესახებ, რომ ჩვენში ანდრიამ იქადაგა”-ო (გვ. 101). ჩვენი აზრით პროფ. კე-კელიძის შეხედულება ციონი არ არის.

1. ჯერ ერთი: ბერძნულ ტრადიციაში ცნობა ანდრიას ქადაგების შესახებ დასავლეთ საქართველოში არსებობდა არა მეცხრე საუკუნიდან, არამედ მე-4-5-ე საუკუნიდანვე:

2. რაკი ერთი და იგივე მოციქული ქრისტიანობას ავტოლებს როგორც საბერძნეთში, ისე საქართველოში, აქედან, ყოველი ეჭვის გარეშეა, გამოდის დასკვნა, რომ ორივე ქვეყნის ეკლესიები ერთი და იგივე, თანასწორი უფლებებით არიან აღჭურვილი და არავითარი საპრეტენზო საბუთი არა აქვთ ერთმანეთის წინაშე. სწორედ ეს საბუთი არ გამოიყენა გიორგი მთაწმინდელმა ანტიოქელი პატრიარქის წინაშე ქართველთა ეკლესიის თავისუფლების დასაცავად? ანტიოქიაში იქადაგა პეტრე მოციქულმა, ჩვენში — ანდრია მოციქულმა, მაშასადამე თანასწორნი ვართო!

3. ეკლესიის თვალსაზრისით ეს თანასწორობის საბუთი ისე დამაჯერებელი იყო ყველასათვის, რომ სინამდვილეშიც ბიზანტიას არც ფოტის დროს და არც სხვა რომელიმე ხანაში, არავითარი პრეტენზია არ განუცხადებია საქართველოს ეკლესიის შესახებ.

4. საბოლოოდ, ბ. კეკელიძეს ხომ ლ. მროველი მე-11-ე საუკუნის მწერლად მიაჩინა; მაში რა მიზეზით უარჲკოფს ეს უკანასკნელი რომელიმე მოციქულის ქადაგებას საქართველოში! ჩვენი რწმენით ისტორია თხოულობს ისტორიულ საბუთს და არა სუბიექტურ თეორიებს.

რადგან კეკელიძის შეხედულობით ისტორიკოსი ლ. მროველი მე-11-ე ს. მოლვაწედ ითვლება და მისი გამგრძელებელია ჯუანშერი, ცხადი ხდება, რომ ჯუანშერიც მე-11-ე ს. მწერლად უნდა ჩაითვალოს. ამასაც თავისებური საბუთი გამოუქდება ბ. კეკელიძემ: არჩილ მეფის წამების დასასრულს, ქართლის ცხოვრებაში მოთავსებულია შემდეგი შენიშვნა: წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა აღიწერებოდა უამითო-უამაღ ვიდრე ვახტანგამდე. ხოლო ვახტანგ მეფისა ვიდრე აქამიდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმა ძმის წულის ქმარმათ წმიდისა არჩილისამან.“ (იხ. ქართლის ცხოვრება, ტოში პირველი, ტფილისი, 1955 წ. გვ. 021 და 248, გამ. ს. ყაუხჩიშვილისა).

ვინაიდან არჩილი იწამა მერვე საუკუნის გასულს, ამ შენიშვნის თანახმად ჯუანშერი უნდა იყოს მწერალი მე-8-9-ე საუკუნისა. მკითხველი ითიქ-რებს, ამაზე ცხადი და ნათელი რა უნდა იყოსო. მაგრამ ბ. კეკელიძე სულ სხვა რიგად მსჯელობს. იგი შენიშვნას: ამ მინაწერმა „საგალალო როლი ითამაშა არა მარტო ლეონტი მროველის, არამედ მისი გამგრძელებლის ჯუანშერის შრომის ფარგლების გათვალისწინების საქმეში“ (გვ. 141). „ჯუ-

ანშერი ვერავითარ შემთხვევაში არჩილ მეფის ძმის წულის ქმარი, ე. გ. შე-
8-ე საუკუნის მოღვაწე ვერ იქნებოდა, ვინაიდან მას ვახტანგის „ცხოვრებ-
ით“ სცოდნია პაჭანიკეთა, თურქების მოწოლის გამო, გადასახლება დონისა
და დუნაის შუა ნაწილიდან დასავლეთისაკენ. მასკენ ადგილი ჰქონდა არა
უადრეს მე-11-ე საუკუნის ნახევრისა „ო (გვ. 141-142).

ყველაზე საკვირველი ამ საბუთში ის არის, რომ კეკელიძე, ყველგან და
ყოველთვის, თვითონ ამ წიგნის იმავე (141) გვერდზეც, ვახტანგის ცხოვრე-
ბის ავტორად სთვლის ლ. მროველს და არა ჯუანშერს. მაშ ჯუანშერი აქ
რა შუაშია? მაინც გავყვეთ ბ. კეკელიძეს და გავარჩიოთ რაშია საქმე!

ვახტანგის ცხოვრებაში ვკითხულობთ: ვახტანგ მეფის მეთაურობით ქარ-
თველები შეესივნენ ასეთს. „მაშინ იძლივნეს ოვსნი და ივლტოდა ბანაკი
მათი“. ქართველები „განაბნივნეს ტყუენვად ოვსეთისა. შემუსრნეს ქალაქ-
ნი მათნი“ (ქ. ც. გვ. 156). ამას მოსდევს სულ ახალი ამბავი: „და განვიდეს
(ქართველნი) პაჭანიკეთს, რამეთუ მაშინ მუნ იყო პაჭანიკეთი მოსაზღვრედ
ოვსეთისა, მდინარესა მას ოვსეთისასა წიალ, და ჯიქეთი მუნვე იყო. შემდ-
გომად უამთა მრავალთა იოტნეს პაჭანიკი და ჯიქნი თურქთაგან: და წარვი-
დეს პაჭანიკი დასავლით კერძო, ხოლო ჯიქნი დაემკვიდრნეს ბოლოსა აუბა-
ზეთისასა. და მოტყუენა ვახტანგ პაჭანიკეთი და ჯიქეთი და შეიქცა და მოა-
დგა ოვსეთსვე“ (ქ. ც. გვ. 156-157). აქ კი კვლავ იწყება ოვსების ამავე. „და მეფენი ავსთანი შელტოლვილ იყენეს სიმაგრეთა კავკასიისათა. ალდგეს
მათ შორის მოციქულნი ...“ (იბ. გვ. 157).

ამ ახალ ამბავში ლაპარაკია არა მრტო პაჭანიკებზე, არამედ ჯიქებზე-
დაც. ეს ერთი: მეორედ, ეს ცნობა არაუც შემდევი დროის ჩანართის შთაპეჭ-
დილებას სტოკებს. რადგან ბუნებრივი და თანამიღევრობითი გაგრძელება ავ-
სეთის აოხრებისა არის ოვსეთის მეფეთა ამბავი. თვითონ ეს ცნობაც პაჭა-
ნეთ-ჯიქეთზე არ არის ისტორიულად მართალი: იმპერატორი კასტანტინე
პორფიროგენეტის ისტორიიდან (იბ. პ. ინგოროვა, გიორგი მერჩულე, თბი-
ლისი, 1954 წ. გვ. 120) და მე-8-9-ე საუკუნეებში ეპიფანე ბერის მიერ შეთ-
ხულ ანდრია მოციქულის მიმსალვიდან ვიყით, რომ ჯიქები უკვე შეც-
რე საუკუნეზე ადრე აფხაზეთის საზღვრებზე, ნიკოფის მიღამოებში ისხდ-
ნენ (იბ. პ. ვეეტერსის მიერ შესრულებეული ლათინური თარგმანი გიორგი
ათონელის ცხოვრებისა: ანალეკ. ბოლანდ. 36-37, 1923, გვ. 116, შენიშ. 7).
იგივეს გვეუბნებიან ქართული წყაროებიც: მატიანე ქართლისა და სუმბა-
ტის ქრინიკა (ქ. ც. გვ. 268, 382). და თუ ჯიქნი პაჭანიკებთან ერთად თურ-
ქებმა მათი ძევლი ბინიდან გასდევნეს, ამას ადგილი ჰქონდა, რასაკვირველ-
ის, არა მეთერთმეტე საუკუნეში, არამედ უკვე მეცხრე საუკუნის წინ. მეტე
ვის შეუძლია კატეგორიულად განაცხადოს აქ მოთხრობილი ამბავი მე-1-ე
საუკ. ცნობას შეიცავს? ვინ არიან ეს თურქები? რას ნიშნავს სიტყვა დახა-
ვლეთი?, მაშინ როცა ისტორიკოსი სულ არ იცნობს დონს და დუნაის?! ვის
ძალუბს ზედმიწევნით გაერკვიოს კავკასიის და კასპიის ზღვის გადაღმა ძვე-
ლად მომხდარ ამბებში, როდესაც იქ მეოთხე საუკუნიდან მოყოლებით ალ-
მოსავლეთს მოხეთქილი ურდოები ერთი მეორეს წინ და უკან ერეკებოდედ!

აწ განვიხილოთ ტეხნიკური ტერმინი „ქართლის ცხოვრება“; როდის შე-
მოვიდა და როდის იქცა ის საყოველთაო სახელწოდებად?

უძველეს ქართულ მატიანეთა, ე. ი. ისტორიულ ძეგლთა აღსანიშნავდა საშუალო საუკუნის მწერლები ხმარობენ „ქართლის მოქცევის“ გარდა, სხვა და სხვა სახელწოდებას: „ძველნი მატიანენი“, „ცხოვრებანი ქართველთანი“, „ქართველთა ცხოვრება“, „ძველი მატიანე ქართლისა“ (კეკელიძე-ბარამიძე, გვ. 141), „ყოვლისა ქართლისა ცხოვრებისა წიგნი“ (იქვე გ. 165). ტერმინი „ძველნი მატიანენი“ და „ცხოვრებანი ქართველთანი“ მოცემულია რაედენის წამებაში, რომელიც ბ. კეკელიძის ვარაუდით დაწერილია მეთორმეტე საუკუნეში. „ქართველთა ცხოვრება“ შემოგვინახა არჩილ მეფის მეტაფრასტულ-მა მარტვილობაში. ბ. კეკელიძე მის შედგენასაც მიაჟუთვნებს მეთორმეტე საუკუნეს. „ძველი მატიანე ქართლისა“ გახსენებულია დავით აღმაშენებელის ისტორიაში (იხ. ქ. ც. გვ. 359). ამ ისტორიის დამწერია კეკელიძის ჩვენებით, არსენ ბერი სალინისძე (კეკელიძე-ბარამიძე, გვ. 143). „ყოვლის ქართლისა ცხოვრებისა წიგნი“ მაშასადამე ტეხნიკური ტერმინი „ქართლის ცხოვრება“ პირველად გვხვდება „მეთორმეტე საუკ. პირველ ნახევარში არსენ ბერის მიერ აღწერილს ნინოს მეტაფრასტულ ცხოვრებაში, საღაც ნათქვა-მია: „ამას ყოვლისა ქართლისა ცხოვრებისა წიგნი ვრცლად მოვცითხობსო“. რაედენისა და მეფე არჩილის წამებათა თარიღს (მე-12-ე საუკ.) არავითარი მკვიდრი საბუთი არ უძღვის წინ. ამიტომ სრულიად დასაშვებია. რომ მათი წარმოშობა გადატანილ იქმნას მეთერთმეტე საუკუნეში. არჩილ მეფის მეტაფრასტული წამება საყურადღებოა ასევე ლ. მროველის მოღვაწეობის დასათარიღებლადაც. ამ წამების დამწერის აზრით არჩილის ცხოვრება პირველად „აღუწერია მის თანამედროვე მროველს, მაგრამ ეს შრომა დაკარგულა და აბლა გვაქვს მხოლოდ ის, რაც ქართველთა ცხოვრებაში შენახულა“ (კეკელიძე. ქართული ლიტ. ისტორია. წ. 1. თბილისი, 1941. გვ. 497) კეკელიძე გადაჭრით უარყოფს ამ მოწმობას, როცა იქვე უმატებს: „ეს, რასაკვირველია, სიმართლეს არ შეესაბამება. ჩვენ ვიცით, რომ ლეონტი მროველი არ ყოფილა არჩილის თანამედროვე“-ო (იქვე, გვ. 497-498). კეკელიძის თქმით, რომ ლეონტი მროველი მართლა მეთერთმეტე საუკუნის მწერალი იყოს, განა და-საჯერებელია, რომ მის თანამედროვეს, არჩილის წამების შემადგენელს (მე-11-12-ე ს.ს.), უფრო სწორი და უფრო ზუსტი ცნობები არ ჰქონდეს ლეონტ. მროველზე და მის სამწერლო მოღვაწეობაზე?! რაც არ უნდა იყოს, ჩვენი ჰაგიოგრაფის მონაცემი ერთ რამეს მაინც უყოყმანოთ ააშკარავებს, სახელ-დობრ იმას, რომ ლ. მროველი არ შეიძლება ყოფილიყო მოღვაწე 11-ე სა. დაგვრჩ არი სახელწოდება: „ძველი მატიანე ქართლისა“ და თვითონ „ქართლის ცხოვრება“. ორივე თქმა ეკუთვნის, კეკელიძის რწმენით, არსენ ბერს, მე-12-ე საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეს.

როგორც ვნახეთ, პირველი ტერმინი შემონახულია დავით აღმაშენებელის ისტორიაში. ეს უკანასკნელი არსენ ბერის დაუწერია 1123-1126 წლებს შორის. მის საბუთად, რომ „ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არ პირველითანვე თვისთა უფალთა“, არსენ ბერი უთითებს ძველს ქართულს საისტორიო ძეგლებზე: „ვითარცა მოგვითხობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულინი“-ო (ქ. ც. გვ. 359). კ. კეკელიძე არკვევს ამ ტერმინის მნიშვნელობას და დაასკვნის, „რომ ძველი მატიანე ქართლისაც დავით აღმაშენებელის ისტორიების მხრით არის საზოგადოდ კრებული ლეონტი მროველისა და ჯუანშერის საისტორიო შრომებისა“-ო (კეკელიძე-ბარამიძე,



გვ. 141). ეს მოსაზრებაც, როგორც ეს ესმის კეკელიძეს, საეჭვოდ მიგვაჩნია. კეკელიძის ჩვენებით ლ. მროველმა აღწერა თავისი ისტორია 1072 წლამდების; მისი გამაგრძელებელია ჯუანშერი, რომლის შრომაც „დამთავრებული ჩანს არა უადრეს 1072 წლისა, როდესაც ბაგრატ მე-4-ე გარდაიცვალა, და არა უგვიანეს ანაკოფის ბერძნთავან დაბრუნებისა, 1074 წელს“¹⁰ (იქვე, გვ. 142). ჯუანშერმა თუ მისი შრომა დაასრულა 1074 წელს და არსენ ბერძა დავითის ისტორია 1126 წელს, ამ ორ თარიღთა შორის ქრონილოგიურ მანძილად გვრჩება 52 წელი. განა წარმოსადგენია, რომ 52 წლის წინ შედგენილი ისტორიული ძეგლის დასახსიათებლად არსენს ეთქვა „ვითარცა მოგვითხრობს ძეგლი მატიანე ქართლისა“¹¹? ასეთ პირობებში ტერმინის „ძეგლი“-ს ხმარება განა სულ უაზრო არ იქნებოდა ისტორიკოსის მხრივ, მაშინ, როცა კეკელიძის ანგარიშით, ლ. მროველს თუ არა, ჯუანშერს მაინც თავისი ისტორია, თავად მისი, ე. ი. არსენ ბერძის, ახალგაზრდობისას თუ სიყმაწვილეში დაუმთავრებია?! განა შესაძლებელია, რომ დღეს ვინმე სამოცი წლის ქართველი გამოიდგეს და ი. ჭავჭავაძის ან აკ. წერეთლის 1904 წლამდე დაწერილი თხზულებანი ძველი ქერთული ლიტერატურის დარგად მონათლოს?! ესეც ერთი საბუთი იმის ცხადსაყოფად, რომ ლ. მროველი და ჯუანშერი არ შეიძლება იყვნენ მე-11-ე საუკუნის ისტორიკოსნი.

რაც შეეხება „ქართლის ცხოვრებას“, ამ ტერმინის არსებობა ქართულ ლიტერატურაში ტექსტობრივ დამოწმებულია, როგორც ითქვა, არსენ ბერძის მიერ შედგენილ წ. ნინოს ცხოვრებაში. ხოლო გამოსარკვევია, როდის შეიძლება შესულიყო ხმარებაში ეს სიტყვა. მისი არსებობა მე-12-ე საუკუნის პირველ ნახევარში, ცხადია, ბევრ რამეს გულისხმობას: მის წარმოშობას წინ უნდა უძლოდეს არა ერთის, არამედ რამდენიმე ისტორიული ძეგლის არსებობა, მათი შეწყნარება განათლებულ წრებებში მაინც, მათი შეკრება და შეერთება ერთ მთლიან ორგანოდ, ამგარი კრებულის მიღება და დაკანონება საზოგადოების მიერ და საბოლოოდ მისთვის შესატყვევის სახელის დარქმევა, ამ სახელის საზოგადო ხმარებაში გადასვლა და ისეთი გავრცელება, რომ მისი გამოყენება ყველასთვის მისახვედრი იყოს და ახსა-განმარტებას აღარ საჭიროებდეს. ყველა ზემოდ ნათქემის ცხოვრებაში ხორციელება და საბოლოო ჩამოყალიბება რთული და ხანგრძლივი მოვლენაა და მის სრულყოფას ესაჭიროება რა წლები, არამედ ზოგჯერ საუკუნოებიც. ამასთან ერთად სიტყვა „ქართლის ცხოვრება“ ხმოლოდ იმ დროს შეიძლება შესულიყო ხმარებაში, რაღმოსაც ტერმინი „ქართლი“ ერთად ერთი ზედმიწევნითი ამსახველი იყო იმ ქვეწებისა, რომელთაც გულისხმობას მაშინდელი ისტორიული ძეგლები და იმ ხანად „ქართლს“ მეტოქედ წინ არ უდგა უფრო ძლიერი და უფრო მეტის შემცველი ტერმინი — სახელწოდება.

ხოლო ივ. ჯავახიშვილმა (ქართ. ერთი ისტორია, 2, თბ. 1914, გვ. 284-286) ცხად ჰყო, რომ „ქართლი“ ანუ „ყოველი“ თუ „ერთობილი ქართლი“, მერმინდელი საქართველოს შესატყვევისად, ხმარებაში იყო მე-11-ე საუკუნემდის. მხოლოდ მე-11-ე საუკუნეში ჩნდება დღევანდელი სახელი „საქართველო“, რაც „ქართლის“ ადგილს იკავებს და მას სდევნის ხმარებიდან. მაგ. გრიგოლ ბაკურიანი თავის ტიპიკონში ხმარობს ქართლის წილ „საქართველოს“ (იხ. ჩემი გამოცემა გ. 51). ასევე იქცევა რუს-ურბნისის ძეგლის წერის შემდგენი. იგივე სიტყვა „საქართველო“ ორჯერ არის მოყ

ვანილი დავით აღმაშენებელის ისტორიაშიც (ქ. ც. გვ. 319, 336). აქედან ირკვევა, რომ უკვე მე-11-ე საუკუნეში „ქართლს“ ახალი მეტოქე გასჩენია და იგი დაუმარცხებია კიდევ. ამ ისტორიულ სინამდვილის თანაბეჭდ დასკვნა ბუნებრივი ხდება: ქართულ ისტორიულ ძეგლთა კრებულისათვის რომ პირველად მე-12-ე საუკ. მიეცათ საერთო სახელი, მაშინ იტყოდნენ და იხ-მარცნენ „საქართველოს ცხოვრებას“ და არა „ქართლის ცხოვრებას“, რა-კი იმ დროს „ქართლი“ მისი ვიწრო და შეზღუდული მნიშვნელობით აღარ შეეფერებოდა მეთორმეტე საუკუნის არც ეროვნულ იდეალს და ორც პო-ლიტიკურ-კულტურულ ვითარებას. მაშასადამე, ტერმინი „ქართლის ცხო-ვრება“ თავდაპირველად მაშინ წარმოიშვა, როდესაც ეს სიტყვა ჯერ კი-დევ ამართლებდა გიორგი მერჩულეს ნათქვამს: ქართლად ფრიადი ქვეყა-ნაა ალირაცხების, რომელსაც „შინა ქართულითა ენითა უამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულების“, ე. ი. ბევრით უწინარეს მე-12-ე ს-ისა.

ამით ვათავებთ წინამდებარე წიგნის მოკლე მიმოხილვას. ამ წიგნში, როგორც გვაუწყებს ჩედაქცია „უნდა დააკმაყოფილოს საბჭოთა ფართო მკითხველი საზოგადოების მოთხოვნილებანი ჩვენი მწერლობის განვითა-რების ისტორიული პროცესის შესაცნობად“. ამის გარდა ის „უნდა გამოდ-გეს უმაღლესი სკოლების სახელმძღვანელოდ“ (გვ. 5).

ქართულ ისტორიულ წყაროთა წარმოშობის ვითარება მიხლოებით შემდეგნაირად გვეხატება: მოთხოვნილ ამბებთან ახლიან ხანაში პირ-ველად გაჩნდა გრიგოლ დიაკონის მიერ შეთხული, მოკლედ აღწერილი „წიგნი ქართლისა მოქცევისა“. ეს მცირე ნაწარმოები შეიცსო და განივრცო მერვე საუკუნემდის, როდესაც შესდგა „მეფეთა ცხოვრება“ და „ნინოს მი-ერ ქართლის მოქცევა“: ეს ორი შრომა ცნობილია ლ. მროველის თხზულე-ბად. ლ. მროველის გამგრძელებლად უნდა ჩაითვალოს ჯუანშერი, მოღვაწე მერვე საუკუნის გასულის, ან მეცხრის დასწყისისა. ჯუანშერის ისტორიას მისდევს მეთერთმეტე საუკუნეში შედგენილი ე. წ. „მატიანე ქართლისაც“, რომლითაც უსარგებლია, როგორც ქ. გრიგოლიამ (ახალი ქართლის ცხოვ-რება, თბილისი, 1954, გვ. 225-235) ცხადჰყო, წერს ს. ყაუხებიშვილი (ქ. ც. გვ. 034-039) სუმბათ დავითისძეს, მის ბაგრატიონთა ცხოვრების აღწერისას მე-11-ე საუკუნეში. ამათ შემდევ მოღიან ცხოვრება დავით აღმაშენებელისა (12 ს.), თამარ მეფის ორი ისტორია (13 ს.), ლაშა გიორგის დროინდელი შა-ტიანე (13 ს.), უამთა აღმწერელი მონღოლთა დროიდან და სხვა.

მ. თარხნიშვილი

ანთიმოზ ივერიელი და ქართული სტამბა

მრავალია მაგალითი იმისა, რომ ქართველი ადამიანი ნებით თუ უნებლივით უცხოეთში გადახვეწილა და თვისი ნიჭით და უნარით ამა თუ იმ ქვეყნის ცხოვრების სხვა და სხვა დარგში, დიდი კვალი დაუტოვებია.

ასეთ მოვლენასთან გვაქვს საქმე, როდესაც ვეცნობით ანთიმოზ ივერიელის ცხოვრებას და მოღვაწეობას.

ვინ იყო ეს ანთიმოზ ივერიელი, რომელსაც რუმინელები ანტიმ ივერიელს უწოდებენ, რომელიც ჩათვლილია მათ ეროვნულ გმირად, რეფორმატორად და წამებულად, და რომლის სახელი სამუდამოდ დაკავშირებულია საქართველოში პირველი ქართული სტამბის დაარსებასთან?

ამ დიდ ქართველის ცხოვრებაზე ქართულ ანალებში თითქმის არავითარი ცნობა არ მოიპოვება. ამიტომ ჩვენთვის მეტად საინტერესოა ის ნაშრომი, რომელსაც იძლევა მკვლევარი ემილ პიკო ანთიმოზ ივერიელზე. მან საუგანგებო შრომა უძღვნა ანთიმოზს, რომელიც დაიბეჭდა 1886 წელს პარიზის კრებულ ნუვო მელანჟ ორიანტი^{*)} – ის მე-19-ე ტომში. *) თუმცა ავტორი, დასაწყისშივე სწუხს საბიოგრაფიო მასალის არა საკმაობაზე, ჩვენთვის, ქართველთათვის იგი მაინც უაღრეს ინტერესს წრმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ ამ შრომის მიზანია, უმთავრესად გამორკვევა ანთიმოზის ლიტერატურულ-ტიბოგრაფიული მოღვაწეობისა.

მკვლევარ ემილ პიკოს აზრით, ყველა იმ მიტროპოლიტთა შორის, რომელთა სამკვიდრებელი ვალახია იყო, არც ერთი არ შეედრება იმ მრავალუეროვან მოღვაწეობას, რომელიც გასწია ქართველმა ბერმა ანთიმოზმა. მისი მეცნიერება, მისი არტისტული გემოვნება, მისი სიყვარული წიგნის მიმართ, მის მიერ გატარებული რეფორმები, საკმარისი მისი დიდი პირველების დასახასიათებლად. მაგრამ მხოლოდ ამით არ ამოიწურება მისი მდიდარი ბუნება, მან უცხოელმა, მოსულმა შორეულ საქართველოდან, მოგვცა არაჩვეულებრივი მაგალითი რუმინული პატრიოტიზმისათვის. ასე ალფრითოვანებით იხსენიებს ემილ პიკო ამ ქართველს. ჩვენ, ქართველები, მით უფრო უნდა ვაფასებდეთ ჩვენ თანამემამულეს, რომ მან მიუხედავად იმისა რომ, რუმინიაში უმაღლესი პატივი და ძლიერება დაიმსახურა, სიყვარული თავისი მშობლიური ქვეყნისა არ დავიწყებია. მისი წყალობით იყო რომ ქართველებმა შექმნეს სტამბა ტფილისში, რომელიც პირველი იყო მთელ ახლო აღმოსავლეთში იმ დროს.

რა წელს მივიდა ანთიმოზ ბერი რუმინიაში, ამის ცნობა არ მოიპოვება, ხოლო უძველესი წიგნი მის მიერ დაბეჭდილი, მის ხელმოწერით აღნიშნული, დათარიღებულია 1692 წლით. ეს ის ხანაა, როდესაც რუმინეთი, როგორც სახელმწიფო არ არსებობს, არამედ როგორც სამთავრო ვალახია-მოლდავისა, ახლად დამორჩილებული თურქების მიერ. მთავრებს ნიშნავდა სტა-

^{*)} ეს კრებული მითავაზა ერთმა უცხოელმა მწიგნობარმა. ეს ნარკევე უკვე დაწერილი მქონდა, როდესაც ხელში ჩამიგარდა შემთხვევით კრებული „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, №1, თბილისი, საიდანაც იჩკვევა პრ. ა. შანიძის ცნობით, რომ ემილ პიკოს ზემოხსენებული შრომა საქართველოში არ ჰქონიათ. იგი იშოვება მხოლოდ ლენინგრადის აღ. ენ. ბიბლიოთეკაში.

მბოლი, რომლებიც მოდგმით მუდამ ბერძნები იყვნენ. საზოგადოდ, თურქთან
ბატონობის დროს, მათ მიერ დაბყრობილ ქრისტიანულ პატარა ქვეყნებში
(ასეთი მრავალი იყო იმ ეამაღ) სასულიერო და საერო ხელმძღვანელობა ბერ-
ძნების ხელში იყო. ამით თურქეთი თავის საქმეს სხვისი ხელით აკეთებდა.

მთელ მართმადიდებელ ეკლესიათა პატრიარქს სტამბოლში ედგა ტახტი
და ის ტრადიციით, მუდამ ბერძნები იყო. თუ რომელიმე ქვეყანაში შეიქმნე-
ბოდა მოძრაობა თუ გინდ დამოუკიდებელ ეკლესის შესაქმნელად, მას სას-
ტიკად ებრძოდა, როგორც კოსტანტინეპოლის პატრიარქი ისე სულთანი.

ვინ ეს მორჩილი ბერი ანთიმოზი? პიკოს მოყავს მწერალ დელშია-
როს ცნობა თითქოს ანთიმოზი ბერათ ოლკვეთის წინ ანდრიას სახელს ატა-
რებდა. რუმინელი ისტორიკოსები ერთ დროს, მისი სახელწოდების წარმო-
შობას მიაწერდნენ ივერიელთა ათონის მთის მონასტრის სახელწოდებას.
აქედან, ანტი ივერიანულ. ემილ პიკო განამარტავს, რომ სიტყვა ივერია, არის
ბერძნული სახელწოდება საქართველოსით. გარდა ამისა ერთ არაბულ წიგნ-
ში, ანთიმოზს გარკვეულად უწოდებენ ქართველს.

კრებულ კავკასიონში (პარიზის გამოცემა, №3) მოთავსებულია პატარა
წერილი ს. შავმთიელის მიერ, რომლის მიხედვით ანთიმოზი შესაძლებელია
აბაშიძე იყოს. სამწუხაროდ, ავტორი არ ასახელებს წყაროს ამ ცონბისას.
ამგვარად თუ დელშიაროს ცნობას მივიღებთ, რომ ანთიმოზს — ანდრია ერ-
ქვა და დავამატებთ ზემოხსენებულ ცნობასაც, მივიღებთ რომ ერის კაცობა-
ში ანთიმოზ ივერიელი იყო: ანდრია აბაშიძე. ეს სახელწოდება უნდა ჩაით-
ვალოს ჯერ-ჯერობით ჰიპოთეზად, სანამ მომავალი მკვლევარი, უდაოდ
დაამტკიცებდეს მის ვინაობას.

შორეულ გზიდან მოსული ახალგაზრდა ბერს ანთიმოზს, დიდი ნიჭი გა-
მოუჩენას სასტამბო ხელოვნებაში. მას თავის მასწავლებელთათვის წინ გაუს-
ტრია, და უკვე 1692 წლიდან დაბეჭდილ წიგნებს საკუთარ ხელს აწერს, რო-
გორც მესტამბე ბერი ანთიმოზ ივერიელი. სტამბა ამ დროს გამართულია
წმიდა სნაგოვის მონასტრის მყუდრო კედელთა შორის. ანთიმოზის უანგარი
შრომა და სიყვარული დაფასებულ იქმნა და 1695 წ. ის ამოურჩევიათ წმიდა
სნაგოვის მონასტრის იგუმენათ. ამ ხნიდან იწყება მისი სატამბო აფეთქება.
მისი სახელი თან და თან იზრდება. ის ბეჭდავს არა მარ-
ტო რუმინულ და ბერძნულ ენებზე, არამედ არაბულათ და სე.. მისი გამოცე-
მანი ტეხნიკური და არტისტიული თვალსაზრისით არ ჩამორჩებოდა ევრო-
პაში იმ დროს განთქმულ სტამბებს.

იგუმენ ანთიმოზს დიდ მფარველობას უწევს მაშინდელი მთავარი კოს-
ტანტინე ბრაკოვანი. მისი თხოვნით, ის აწყობს აღმოსავლეთის ენათა წიგ-
ნების თარგმანს და ბეჭდვას.

1701 წელს სტამბა გადმოაქვთ ბუქარესტში, რადგან სნაგოვის მონასტ-
რის სტამბა, უკვე ველარ აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს.

1705 წელს რამნივის საეპისკოპოსო თავისუფალია, ეპისკოპოს ილარიო-
ნის გადაყენების გამო. მოწვეული ყრილობა აღდენს სამ ქანდიდატს, საიდა-
ნაც მთავარმა ერთი უნდა აირჩიოს. 1705 წელს ანთიმოზ ივერიელი ხდება
რამნივის ეპისკოპოსი. ამ ეპოქიდან მისი მოღვაწეობა მრავალ ფეროვანია
და ნაყოფიერი. სასტამბო საქმეებთან ერთად ეწევა სააღმშენებლო და არტ-



ისტულ შემოქმედებას. თავისი ხელით ხატავს ეკლესიის ქედლებს. ახლობენ მრავალ ეკლესიათა რესტავრაციას.

1708 წელს მიიცვალა მიტროპოლიტი თეოდორე, რომელთანაც ერთ დროს ის მივიდა როგორც მორჩილი ბერი სტამბის მუშათ. ვინ შესძლებდა თუ არა ანთიმოზ ივერიელი ამ უმაღლეს საპატიო თანამდებობის შესრულებას? მადლიერი ერი მას უმაღლეს წარჩინებას ანიჭებს. 1708 წელს ანთიმოზი აკურთხეს მთელი რუმინეთის მიტროპოლიტათ. მიუხედავათ უმაღლეს თანამდებობაზე მიღწევისა და პატივის დამსახურებისა, ის რჩება ნიმუში ადამიანის თავდაბლობისა, მოყვასისათვის თავდადებისა და სიყვარულისა.

მისი მოღვაწეობა მარტო სასულიერო საქმეებით აღარ განისაზღვრება. ის აარსებს მრავალ კულტურულ დაწესებულებათ, რომლებთანაც დღესაც მისი სახელია დაკავშირებული. 1713 წელს აშენებს ყველა წმინდანთა სახელობის ეკლესიას ბუქარესტში. მის ხელს ეკუთვნის ამ ეკლესიის ქანდაკებანი, სადაც ხშირად განმეორებულია მოტივი ლოკოკინასი, რომელიც იყო ემბლემა ამ წმიდა მოძღვრისა, სიმბოლო უბრალოებისა. ბუქარესტშივე დააარსა დიდი მონასტერი, რომელიც დღესაც ატარებს მის სახელს. თვითონ შეადგინა წესდება და დაწვრილებითი ახსნა-განმარტება ბერებისთვის. ეს წესდება არის საუკეთესო ნიმუში მაღალი სიბრძნისა და ჰუმანიზმისა. მას არ უვიწყებია მისი საყვარელი სტამბაც. ის აღიდებს და აძლიერებს მას. უჩრჩეს მოგება მოახმარონ კეთილ საქმეებს. ეკლესიასთან და მონასტერთან ქმნის მრავალ საქველმოქმედო დაწესებულებებს; როგორიც არის ბავშთა სკოლა, უცხოელთა უფასო დამარჩევა და სხვა მრავალი. ცნობილია მისი ქადაგებანი სარწმუნოებაზე, მორალზე, ადამიანის ლირებაზე. განსაკუთრებული მოღვაწეობა გასწია სასულიერო პირთა სულიერ ამაღლებისათვის, შეებრძოლა ლოთობას და უვიცობას. მისი ქადაგების ხელნაწერები დღესაც ინახება რუმინიის აკადემიის არქივში. *)

1715 წლიდან რუმინიაში მდგომარეობა იცვლება. ანთიმოზის მფარველი და მეგობარი მთავარი კოსტანტინე ბრაკოვანი თურქების მიერ გადაყენებულ იქმნა და მის აღგილს იქერს ახალი მთავარი ბერძენი ეტიენ კანტაკუზენი. ახალ მთავართან ანთიმოზმა მეგობრული დამოკიდებულება დაამყარა. მთავრის გაცემულ სიგელის ძალით, ანთიმოზ მიტროპოლიტის შექვენილი დაწესებულებანი ხელშეუხებელნი დარჩენა.

ახალმა მთავარმა კანტაკუზენმა, როგორც სხანს, თურქების ნდობა ვერ დაიმსახურა. ერთი წლის შემდეგ, გაწვეულ იქმნა სტამბოლში და მოკლული.

სტამბოლის პოლიტიკა იცვლება. თუ ამ ეპოქამდე ის იყო ლოიალური, ახალი მთავრის მოსვლასთან ერთად, იწყება სასტიკი რეჟიმი ძალადობისა.

ახალი მთავარიც ბერძენია ტომით. ნიკოლა მაგრიკონდატო. მიტროპოლიტი ანთიმოზი ცდილობს ამ ბერძენთან გამონახოს საერთო ენა. მოუწოდებს მას ზომიერებისაკენ. თვით ანთიმოზს, ელინური კულტურის საუკითესო მცოდნეს, იმედი აქვს გავლენა მოახდინოს მასზე. ეკლესიის მოღვაწეთ

*) ამის შესახებ მოთავსებულია ნ. ა. გეორგიუსის შრომა „ეტაზ ბიზანტინი“-ის ტ. 11-ში, რომელიც გამოქვეყნდება „ბ. ქ“-ას სპეციალურ გამოცემაში უცხო ენებზე.
რედაქცია.

მოწოდებით მიმართავს, სადაც ესალმება ახალი მთავრის დანიშნულივე მისი ცდა უშედეგოდ თავდება.

ბერძენი მთავარი ნიკოლა მავროკორდატო მტკიცე ხელით ატარებს თუ-რქეთის პოლიტიკას.

მიტროპოლიტ ანთიმოზს, ტომით უცხოელს, ადვილად შეეძლო შეთანხმებიდა ახალ მთავარს, თუ ის რუმინულ ეროვნულ ინტერესების დაცვას არ გამოიქომავებოდა. მაგრამ მიუხედავად მისი უცხო ტომობისა, ის უსაზღვრო სიყვარულს ატარებდა ახალ სამშობლოს მიმართ. ანთიმოზი გულის ტკივილით უყურებდა სტამბოლიდან მოსულ ავანტურისტთა თარეშს. როდესაც მისი ცდა, ახალ ბატონების სწორ გზაზე დაყენებისა უშედეგოდ დამთავრდა, ის ბრძოლაზე გადავიდა. ანთიმოზი მისი ჩვეული ენერგიით შეუდგა ეროვნულ განმანთავისუფლებელ ბრძოლას. მოლალატენი მუდამ არსებობენ და ამ დროის რუმინელი მემატიანე რადო პოპესკო, რომელმაც ოკუპანტების მხარე დაიჭირა, ანთიმოზს ბრალს სდებს, რომ მას ბორიტი განზრახვები აქვს კანონიერი მთავრის მიმართ, რომ ანთიმოზი საიდუმლო კრებებს აწყობს, ხალხს მოუწოდებს აჯანყებისაკენ და დასავლეთ სახელმწიფოთა დახმარებით სურს განდევნოს ოკუპანტები.

განმათავისუფლებელი ბრძოლა, რომელსაც მეთაურობდა მიტროპოლიტი ანთიმოზი, დამარცხებით დამთავრდა. ბერძნებს და თურქებს უკვე მაგრად ჰქონდათ ფეხი მოკიდებული. უსწორო ბრძოლაში ანთიმოზი დაიტარებდა.

მთავარმა მავროკორდატომ მოიწვია ეპისკოპოსთა ყრილობა სასამართლოს შესაქმნელად. სასამართლოს წინაშე წარსდგა ანთიმოზი მიტროპოლიტი. დამცირების მიზნით მას მოხსნეს სამიტროპოლიტო მიტრა, სამოსელი და ყოველივე საპატიო ნიშანი. თავზე ჩამოაცვეს წითელი ქუდი, როგორც ჯარისნობის ნიშანი..

საბრალმდებლო ოქმში აღნიშნულია, რომ ეს წმინდა აღამანი ეწეოდა შავ მაგიას და ყოველგვარ ჯადოსნობას. (ალბალ მხედველობაში ჰქონდათ ანთიმოზის მოღვაწეობა, როგორც მესტამბის და ხელოვანის); რომ ის იყო კონსპირატორი და რევოლუციონისტი, აჯანყების მეთაური კანონიერი ხელისუფლების მიმართ. სასამართლომ მიუსაჯა გადაყენება ყოველგვარ თანამდებობიდან და გაძევება ეკლესიიდან.

საინტერესო ერთი მოვლენა ამ პროცესში. ამ განაჩენს ხელს აწერს 11 ბერძენთა მოღვამის ეპისკოპოსი და არც ერთი რუმინელი. ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ რუმინელების მიერ იმ დროსაც დაფასებულ იქმნა ანთიმოზი.

მთავარი არ დაქმაყოფილდა მიტროპოლიტ ანთიმოზის გადაყენებით. მას მიუსაჯა სინაის მონასტერში აღკვეთა. მაგრამ მთავარს უფრო დიდი ბორიტი განზრახვა ჰქონდა. მან საიდუმლო ბრძანება მისცა მის მცველებს, რომ იგი გზაში მოეკლათ. და მართლაც, როდესაც დატყვევებული ანთიმოზი გადაჰყავდათ მდინარე დუნაიზე, მცველებმა მას ყელი გამოსჭრეს და მისი ცხედარი მდინარე დუნაიში გადაავდეს.

ესშემაძრწუნებელი ამბავი ელვის სისტრაფით მოედო მაშინდელ ქრისტიანულ ქვეყნებს, რამაც გამოიწვია სასტიკი ზიზლი თურქების მიმართ.

ასეთი იყო ტრალიკული ბოლო ანთიმოზი ივერიელისა. რუმინელებს სამართლიანად შეუძლიათ ჩასთეალონ ანთიმოზი ივერიელი, როგორც ეროვნული გმირი, რუმინელ ერისათვის წამებულიო, ამბობს მკვლევარი ემილ პიკო.

მართლაც რუმინელების ეროვნულ შეგნებაში ანთიმოზის სახელი დაცი შეიქმნა. დღესაც ამ შესანიშნავი ქართველის სახე, რომელმაც შექმნა სახელოვანი ფურცელი რუმინის ისტორიაში, გამოხატულია მის მიერ შუაგულ ბუქარესტში აგებულ ეკლესიის კედელზე. რუმინულ სკოლებში დღესაც ასწავლიან ანთიმოზ ივერიელის ცხოვრება-მოღვაწეობას.

1919 წელს, როდესაც რუმინეთს ეწვია საქართველოს დიპლომატიური მისია, ჩავლის მესამე დღეს, მისის თავმჯდომარემ მიიღო წერილი აკადემიკოს ბიანოსაგან, შემდეგი შინაარსისა: — სულით და გულით მივესალმებით რა ქართული მისის ჩვენში ჩამოსვლას, ორი ქვეყნის შორის კაცშირის გასაბმელად, ბედნიერი ვარ ვისარგებლო ამ შემთხვევით და გაცნობოთ, რომ თქვენ პირველი ქართველი არ ბრძანდებით, რომელიც საქართველოს ჩემს ქვეყნას აცნობს. მე-17-ე საუკუნეში რუმინეთს ეწვია ერთი ქართველი ახალგაზრდა, ანთიმოზ ივერიელი, რომელმაც არაჩვეულებრივი ნიჭით და პატიოსნებით, სამართლიანად დაიმსახურა მაშინდელი რუმინეთის პატივისცემა და სიყვარული. იმ ქართველის მოღვაწეობა იმდენად ნაყოფიერი და თვალსაჩიხო შეიქნა, რომ ის გახდა სრული ბატონ-პატრიონი სასულიერო უწყებისა და მიაღწია უმაღლეს ხარისხს, შეიქმნა მიტროპოლიტი ბუქარესტისა, რაც მას პირველ ადგილს ანიჭებდა მაშინდელ რუმინეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაშით... და სხვა

რუმინეთის აკადემიამ საეციალური სხდომა მოიწვია ქართული მისიას ჩამოსვლის გამო და ანთიმოზ ივერიელის ხსოვნის მოსაგონებელ მოხსენებაში აკადემიკოსმა დაწვრილებით გააცნო ქართულ მისიას ანთიმოზ ივერიელის როლი რუმინეთის ისტორიაში.

როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, ანთიმოზი რუმინეთის მიტროპოლიტად აკურთხეს 1708 წელს, რაც მას ანიჭებდა უმაღლეს მდგომარეობას. მიუხედავად ამისა, თავისი პირველი სამშობლო მას არ დავიწყებია. მის გულში არასოდეს ჩამერალა სიყვარული საქართველოს მიმართ. და სწორედ იმ დროს როდესაც მან მოპოვა და დაიმსახურა თავის მეორე სამშობლოში პატივი, დიდება და სიმდიდრე, მისი თვალები მიეპყრენ შორეულ საქართველოს. ის უძღვნის პირველ სამშობლოს უდიდეს განძს, და ეს განძი იქნება პირველი ქართული სტამბა საქართველოში. როგორც სჩანს ეს სურვილი მას დიდი ხანია პქნია, რადგან 1709 წ. მისი წყალობით, უკვე პირველი წიგნი იძეჭდება თბილისში. ანთიმოზს კარგი დრო და შრომა დასჭირდებოდა, სანამ ის ჩამოაყალიბებდა ქართულ სტამბას და შეასწავლიდა ქართულ ენსა იმ პირს, რომელიც თავის მხრივ ქართველებს შეასწავლიდა სასტამბო საქმეებს. უნდა ვთქიქოთ, რომ ეს საქმე მან დაიწყო მაშინ, როდესაც ის მუშაობდა სნაგოვის სტამბაში.

პირვენება, რომელიც მან აირჩია იმ დროისთვის ამ რთული საქმის მოსაგარებლად, იყო ტრანსილვანელი მიხეილ სტეფანოვიჩი. ტფილისში მის მიერ გამოცემულ წიგნებს ის აწერს ხელს: — მიხეილ სტეფანესშვილი უნგრო-გალაქელი. (უნგრო — რადგან იმ დროს ტრანსილვანია ეკუთვნოდა უნგრეთს). რა დროს მოვიდა მიხეილი ტფილისში, ამის ცნობა არ გვაქვს. მხოლოდ უნდა ვიგულისხმოთ, რომ უფრო ადრე 1709 წლისა, რადგან ამ წლიდან უკვე სტამბაა გამართული და წიგნებიც იძეჭდება.

საინტერესო მოვიყვანოთ ზაქარია ჭიჭინაძის ცნობა ამ საკითხზე. ის თა-

ვისი ქართული წიგნის ისტორიაში მოგვითხრობს შემდეგს: „მეჩვიდმეტი საქართველოს უკუნის ბოლოს, რაღაც ბედზე ვალახიაში ყოფილა ერთი ქართველი ეპისკოპოსი... მას ჩამოუსხმევინებია ქართული ასოები და ამ ასოების ნიმუშები საქართველოში გამოუგზავნია. როგორც სჩანს ქართველები ძლიერ კმაყოფილნი დარჩენილან ამ აბბით, რადგან ქართველმა ეპისკოპოსმა მაღლ იშოვნა ოსტატი კაცები, მოიპოვა ყველა სასტამბი იარაღები, ჩამოასხმევინა ქართული ასოების ყალიბები, ყალიბებს მოყვა თვით ასოების ჩამოსხმა — და ყველა ეს გადმოგზავნილი იქმნა საქართველოში“...

ემილ პიკო ფიქრობს, რომ ტფილისში ამ დროს ე. ი. 1709 წ. დაბეჭდილი სახარება არის პირველი დაბეჭდილი ქართული წიგნი. ეს სინამდვილეს არ შეეფერება. უფრო მართალი იქნებოდა გვეთქა, რომ ეს იყო პირველი დაბეჭდილი წიგნი ტვილისში. რადგან, პირველი ქართულად დაბეჭდილი წიგნები გამოდის რომში 1629 წელს. ეს ქართული პირველი წიგნებია: ქართულ-იტალიური ლექსიკონი და ქართული ანბანი ლოცვებითურთ, რომელიც „ქართული წიგ. ბიბლიოგრაფიაში“ არიან შეტანილნი როგორც №1 და №2 (იხ. ქარ. წიგ. ბიბ. ტომი 1. ტფილის 1941 წ.). მათი ავტორებია იტალიელი სტეფანე პაოლინი და ქართველი ნიკიფორე ირბახი — იგივე ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, კაცი ფრიად განათლებული, ევროპიული ენების მცოდნე და ელჩი თეიმურაზ პირველისა დასავლეთ ევროპაში საგანგებო დავალებით წარგზავნილი. მესამე ნომერი ქართული წიგნისა არის აგრეთვე რომის სტამბაში გამოსული მისიონერ მარია მაჯოის ქართული ენის გრამატიკა. ეს იყო პირველი ნაბეჭდი წიგნები ქართული ტექსტით, მხედრული შრიფტით.

მე-4-ე ნომრად ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიაში შეტანილა არჩილ მეორის მიერ მოსკოვში დაბეჭდილი დავითნი 1705 წელს. საქართველოდან გარდახვეწილი არჩილ მეორე, მოსკოვში ყოფნის დროს უკავშირდება დასავლეთ ევროპიდან მოსულ განათლებულ უცხოელებს. ერთ ერთი მათგანის მეშვეობით აქეთებინებს ქართულ ასოებს ამსტერდამში და მოსკოვში აწყობს ქართულ სტამბას.

ამგვარად, ქართული წიგნის ბეჭდვის საქმე, თითქმის ორი საუკუნის მოგვიანებით (როგორც ცნობილია, გუტენბერგმა პირველი საბეჭდავი მოაწყო 1455 წელს) უცხოეთში იწყებს განვითარებას. ეს გასაგები გახდება, თუ მოვიგონებთ, რომ მე-15-17-ე საუკუნეებში საქართველოში მუდმივ ომიანობას და შინაურ განხეთქილებებს ქონდა ადგილი. სწორედ იმ წლებში, როდესაც რომში პირველი ქართული წიგნი იბეჭდდებოდა, საქართველოს უდიდესი ისტორიული უბეღლურება დაატყდა თავს. ეს იყო შაბაზის შემოსევა.

ანთიმოზ ივერიელის დაწყებულ ქართულ სტამბის შექმნის საქმეს, ნაყოფიერი ნიადაგი დახვდა მაშინდელ საქართველოში. ეს იყო ხანა ვახტანგ მეექვესები. ყველაზ ვიცით, თუ რა საპატიო ადგილი უკავია ვახტანგ მეფეს ქართული კულტურის ისტორიაში. ის იყო არა მარტო მაშინდელ ქართლის პოლიტიკური ხელმძღვანელი, არამედ მთელი საქართველოს ინტელექტუალური მოღვაწეობის და საქმიანობის მეთაური. მიუხედავად იმისა, რომ მისი მეფობა ერთი ათეული წელი გაგრძელდა მხოლოდ. განსაცვიდურებელია ის ენერგია და შრომა, რომელიც მან გამოიჩინა ამ მცირე ხნის განმავლობაში. მისი პირადი მონაწილეობით მუშავდება ქართული ისტორია, ქართული სამართალი, და სხ. თვით მწიგნობარი და პოეტი, პირველად პირადათ კრი-

ტიკულად გადაამუშავა ვეფხის ტყაოსნის ტექსტი, დაურთო კომენტარისტი და პირველად დაბეჭდა.

ანთომოზ ივერიელი ვახტანგზე უკეთესს ვის მონახავდა, რომ ქართული სტამბის საქმე საქართველოში კეთილად დაგვირგვინებულიყო. ვახტანგი მტკვრის ნაპირას, თავის სასახლის მახლობლად, სპეციალურად ავებს სტამბის სახლებს. არ ერიდება არავითარ ხარჯებს და შრომას. 1709 წელს ტფოლისის სტამბიდან გამოღის პირველი ნაბეჭდი წიგნი — სახარება, №5-ათ შეტანილი ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიაში, ხოლო № პირველი საქართველოში დაბეჭდილი წიგნისა იმ დროს, როდესაც არც ერთ მეზობელ სახელმწიფოში არ იყო შემოლებული წიგნის ბეჭდვა, ტფილისში უკვე ქართული წიგნის ბეჭდვას მკვიდრი საფუძველი ეყრდნა. თვით სპარსეთში, რომელიც ამ დროს დიდ სახელმწიფოთ ითვლებოდა, მეცხრამეტე საუკუნემდე ხელით წერას მიმართავდნენ.

ვახტანგის სტამბის გამოცემულ წიგნების თავსა და ბოლოში მოთავსებულია წინა და ბოლოსიტყვაობანი, რომლებიც ძვირფას ისტორიულ-ლიტერატურულ ცნობებს შეიცავენ.

თავის დროზე, ჩვენს ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძეს ყურადღება მიუქცევია რუმინულ ენაზე დაწერილ, ქართული ასოებით, ქართული ბიბლიის ბოლოში დაბეჭდილ პატარა ლექსისათვის, რომელიც გადმოუგზავნია ბუქარესტში და იქ დაუბეჭდიათ რუმინულ გეოგრაფიულ საზოგადოების ბიულეტენში 1883 წელს. ემილ პიკოს მოყავს თავის შრომაში ეს ტექსტი:

„ვითარცა უცხონი იხარებენ ხილვასა ზედა თვისთა სამკვიდრებელთასა, და ზღვათა შინა მაგალინი — ხილვასა ზედა ნავთსაყუდელისა, ეგრეცა მეტამბენი იხარებენ გასრულებასა ზედა წიგნთასა.“

ემილ პიკოს აზრით, ამ სიტყვების ავტორი რუმინელი მესტამბე კი არ არის, არამედ თვით ანთომოზ ივერიელი, რადგან მას ჩვეულება ჰქონდა, მის მიერ დაბეჭდილი წიგნები ამ პატარა ბოლოსიტყვაობით დაემთავრებინა. მის მოწაფეს სტეფანოვის ეს ჩვეულება ანთომოზისა, ტფილისშიც შემოულია, რომელიც მაშინდელ ქართველებს ტრადიციად გადაუქცევიათ, და რომელიც სხვა და სხვა ვარიანტებით მეორდებოდა.

1709 წლის გამოცემული პირველი სახარება მხატვრულათ არის გაფორმებული: თავთურცელი შემქულია ორმაგი ორნამენტით და წმინდათა სურათები შესრულებული ფერადებით. საინტერესოა წინასიტყვაობა ამ სახარებისა, რომელიც ეკუთვნის მიხეილ სტეფანოვის: „...სიმღაბლით გევედრებით თქვენ, ყოველთა, დიდთა და მცირეთა უკეთუ ცოოილი რამე იხილოთ, სიტყვა ან ასო, ნუ გამქირდავთ, რამეთუ უცხო ვიყავ ქვეყანასა ამის და უსმენელი სიტყვათა თქვენთა და რომელი ჩემნი მოწაფე იყვნენ ეგრეთვე გამოუცდელნი საქმესა ამისა ჩემისა: ვითა მე ვიყავ ქართლის უნახავი, ეგრეთვე ჩემნი მოწაფენი სტამბისა. გლოცავთ თქვენ, შემინდევით სულიერითა სიყვარულითა, რათა თქვენცა მოგიტევნენ უფალმან ბრძანებს: მიუტევნეთ და მოგეტევნეს თქვენ. მდაბალი ამით ბეჭდვათაგან მესტამბე მხურვალითა გულითა გმუშაკობ, მოსამსახურე თქვენი მიხეილ სტეფანესშეილი უნგაროვალახელი.“

ვახტანგის ხანმოკლე მეფობა, რუსეთში იძულებითი გადასახლებით დამთავრდა. როგორც ვიცით, ვახტანგთან ერთად გადაიხვეწა რუსეთში 1724

წელს მთელი მაშინდელი განათლებული თაობა, რიცხვით 1400 კაცი. ამ რიგად შეწყდა გახტანგ მეფის მიერ დაწყებული ქართული სტამბის არსებობა ტფილიში — და ყოველგვარი კულტურული საქმიანობაც.

1737 წელს, გახტანგ მეფემ ქალაქ ასტრახანში დამთავრა განაწამები სიცოცხლე.

როგორც ვნახეთ, მისმა თანამშრომელმა სასტამბო საქმეებში, ანთიმოზ ივერიელმა, არა ნაკლები ტრალედით დაამთავრა თვისი ცხოვრება.

ამ ორი დიდი ქართველის სახელი სამუდამოდ და განუყრელად დაკავშირებულია ქართული სტამბის დაარსებასთან, ქართულ წიგნთან.

გიორგი ნოზაძე.

ლ თ ვ 3 ა

(ჩემს ძვირფას პ. შ.)

(დასაწყისი იხ. №№ 20, 21-22-ში)

როგორც წინა წერილში იყო ნათქვამი, ინდოეთის სარწმუნოების სიდიდე გამოიხატებოდა „ვედებში“ და „უპანიშადებში“. მაგრამ არა ნაკლებ რელიგიურ განძს წარმოადგენს ძველი ეგვიპტე მისი ფარაონებით, პირამიდებით, სფინქსებით, ჰიეროგლიფებით და მისტერიებით.

ხუთი ათასი წლის განმავლობაში ეგვიპტე იყო ანტიური მსოფლიოს უმაღლეს სწავლათა თავშესაფარი. ორმოც და ათმა დინასტიამ შეცვალა ერთი მეორე, ფინიკიელებმა მოასწრეს ქვეყნის დაპყრობა, წაქცევა, წალეკვა და გაქცევაც, ხოლო ძველ ეგვიპტეზედ ვერ იმოქმედა დროთა მსვლელობამ და მან შეინახა მტკიცედ თავის ტაძრებში საფუძველი საიდუმლო რელიგიური მეცნიერებისა და ეზოტერიიული დოკტრინისა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა თვით ეგვიპტისათვის, როგორც ეროვნული გამძლეობისა და ალორძინების წყაროს, და მთელი კაცობრიობისათვის, როგორც ღრეულსა და ნიადაგს სარწმუნოებრივ იდეათა.

მისტერიათა წყალობით ეგვიპტემ გაუძლო მრავალ საუკუნეებს. მის ტაძრებში, პირამიდებში, სარდაფებში ვითარდებოდა დიდი სწავლა ღვთაებრივ სიტყვაზედ, რომელიც შემდეგ მოსე წინასწარმეტყველმა ოქროს კიდობანში მოაცია, ხოლო ქრისტემ ცხოველ სინათლედ გახადა.

ამ ტაძრებში სრულდებოდა დიდი მისტერიები, მოწაფეთა განსწავლა და საიდუმლოთა განვითარება. რასაკვირველია, ამაში ლოცვას უდიდესი ადგილი ჰქონდა განკუთვნილი. იგი იყო აუცილებელი და მთავარი საშუალება დისციპლინის დამყარებისათვის და ნებისყოფის განვითარებისათვის, რომლითაც შეეძლო მოწაფეს მისტერიების მთელი სიძნელეები განევლო და საიდუმლო-განდობილი გამხდარიყო.

მე აქ შევეცდები გავაცნ მოკლედ მკითხველს ეს პროცესი საიდუმლოთა განდობისა, — უმთავრესად იმის-და მიხედვით, თუ როგორ გადმოგვცემს ამას ედ. შიურე.

საიდუმლოთა-განდობა (ინიციატივა) ძველ დროს ემყარებოდა იმ წარმომადგენაზე, რომ აღამიანი არის უფრო მაღალი და მრთელი არსება, ვადო ეს ჩვენ წარმოგვიდგენია.

ძველი სამყარო არ უშევებდა აღამიანის შემაღენელ ფიზიკურ და სულიერ ნაწილების ერთმანეთისაგან განცალკევებას და განკოფას, მას ყავდა აღამიანი მთლიანად მის სამ ბუნებაში (სხეული, გონი და სული) წარმომანახული. საიდუმლო მეცნიერების შეთვისებით და ლოცვით აღამიანი თანდათან აღიოდა მთელი მისი არსებით სულის განვითარების ისეთ სიმაღლეზე, საითანაც შეიძლებოდა ცხოვრების სრული დაუფლება და მასზე ბატონობა. — რომ მიახწიო ამ სიმაღლეს, ამბობდენ ძველი ბრძენნი, საჭიროა სრული გადადულება აღამიანის მთელი არსებისა, — ფიზიკურის, ზნეობრივის და გონებრივისა. ეს გადადულება შესაძლებელია მხოლოდ ნებისყოფის, ინტუიციისა და გონების ერთად ვარჯიშობით, რომელთა სრული შეთანხმებით აღამიანს შეუძლია განუსაზღვრელად განავითაროს თავისი ნიჭი და შესაძლებლობანი.

სულში ბევრია დაძინებული გრძნობა, რომელიც იღვიძებს საიდუმლოთა-განდობის პროცესის დროს. სწავლით, დაუღალავი შრომით, ინტენსიური ლოცვით აღამიანს შეუძლია შევიდეს ბუნების მაღულ ძალებთან შეენებულ კავშირში. უფრო მეტი, დიდი სულიერი ღონისძიებით მას შეუძლია მიახწიოს უშუალოდ სულიერ ხილვას, გახსნას გზა იმ სამყაროსაკენ და კიდევაც შევიდეს იქ. მხოლოდ მაშინ შეუძლია მას თქვას, რომ სძლია ბედს და მოიპოვა აქაც, ამ ქვეყნად, ღვთაებრივი თავისუფლება. მხოლოდ მაშინ საიდუმლო-განდობილს შეუძლია გახდეს საიდუმლო-განდობელად, წინასარმეტეველად, სხვა სიტყვებით, შორს მჭერეტელად და ომზრდელად სულთა. მხოლოდ მას ძალუს უხელმძღვანელოს სხვებს, ვინც თავის თავს ბატონობს და ფლობს; მხოლოდ მას შეუძლია თავისუფლება მიანიჭოს სხვებს, ვინც თვითონ თავისუფალია! — ასე ფიქრობდენ ძველნი საიდუმლო-განდობილნი. ჭეშმარიტი და ნამდვილი საიდუმლო-განდობა არ იყო ოუნება, იგი უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ჩვეულებრივი მეცნიერული აღზრდა, „იგი იყო შემოქმედებითი გაწრთვნა სულისა მისი საკუთარი ღონისძიებით, მისი გაშლა უმაღლეს კოსმიურ არტედ და გაფურჩქვნა ყოფის უმაღლეს სფეროში.“

პირველი განმანათლებელი ეგვაპტისა იყო ჰერმესი, რომელსაც ბერძნებმა დაარქვეს ჰერმეს-ტრისმეგისტოს, ე. ი. სამჯერ დიადი: მეფე, კანონ-მდებელი და ქურუმი. როდესაც კანდიდატი მიახწევდა ინიციატივის უმაღლეს ხარისხს და შევიღოდა საიდუმლო-განდობილთა რიცხვში, მხოლოდ მაშინ გააცნობდენ მას ჰერმესის ცნობილ „ხილვას“.

მაგრამ დავიწყოთ ჯერ თავითან. საიდუმლო-განდობის მიღების მსურველ კანდიდატს გამოესაზღებრებოდენ და გამოარკვევდენ, ღირსია თუ არა კანდიდატი გამოცდებზე დაშვებისა. თუ ისინი დაინახვდენ, რომ მათ წინაშე ჭეშმარიტების ნამდვილი მქებნელი იდგა, მაშინ მიიყვანდენ მას ტაძარში, რომლის კარგებთან იყო აღმართული სახე-დაფარული იზისი წარწერით: „არც ერთ მოკვდავს არ აუხდია ჯერ ჩემი პირ-საბურავი“, და გააფრთხილებდენ მას, რომ მარტო კეთილს და მტკიცეს შეუძლია მოიპოვოს აქ, მათ სწავლაში ცხოვრება და უკვდავება, სუსტს და ბოროტს კი სიკვდილი და სიგიურ მოელისო, ხოლო თუ ამ კარგებს გადახვალ, უკან დახევე გვიან იქმნებაო. თუ მოწაფე მტკიცე იყო თავის გადაწყვეტილებაში, მაშინ მას ჩააბარებდენ

ტაძრის მსახურს, რომელთანაც გაატარებდა დროს უსიტყვოდ, მორჩილებრივ მნიშვნელობაში, ლოცვაში, საგალობლების მოსმენაში, ტანის განხანაში და სულის სიმშვიდეში. როდესაც დადგებოდა გამოცდის საღამო, ორნი მსახურის მიიყვანდენ მას საიდუმლო სალოცავის კარებთან და უკანასკნელად კიდევ შეეკითხებოდენ: ჰესურს განაგრძოს თუ არა. თანხმობის გამოცხადების შემდეგ მისცემდენ მას ხელში პატარა ანთებულ ჭრაქს და მოწაფე შედიოდა მარტო საცხებით ბნელ კედლებს შუა, საითვანაც გასასვლელი არ სჩანდა და მცირე შუქით ამჩნევდა სხვა და სხვა ქანდაკებებს აღამიანის სხეულებით და ცხოველების თავებით: ლომი, ხარი, გარეული ფრინველები და გველები თითქო დაკრეჭილი კბილებით უზერდენ მას. ამ შავი და ბნელი კედლების განვლის შემდეგ იგი ხედავდა მუმას და აღამიანის ჩონჩხეს, დაყენებულთ ერთი მეორეს წინ. მათ იქთ მოსჩანდა კედელში ჭუჭრუტანა ისეთი ვიწრო და დაბალი, რომ იქ შესვლა შეიძლებოდა მარტო მოკუნტვით და მუხლებზედ ხონვით. ხანდახან ხმა მოისმოდა თითქო ქვესკნელითგან: „აქ იღუპებიან გიუნი, რომელთაც სიხარბით სურსთ მოიპოვონ ცოდნა და ბატონობა.“ სურათი შემზარავია. მოწაფე ძლივს ახერხებს მოძრაობას, მიხოხავს სულ დაბლა და დაბლა, და როდესაც უკანასკნელ საფეხურს მიახწევს, სიბრძლეში ხედავს ჭრაქის შუქით წყლით სავსე უზარმაზარ ჭას. მაღლა ასვლა შეუძლებელია, დაბლა აუცილებელი სიკვდილი მოელის, და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი უცბად მოჰკრავს თვალს კედელში გამოქვაბულს, მიაბყრობს მას ოდნავ მბჟუტავ ჭრაქს და დაინახავს ვიწრო ხვრელს, და ხვრელს იქით რკინის კიბეს. ძლივს გაძვრება ხვრელში და მოძრავი კიბით მიახწევს გალერიისკარებს; აქ მას შეიგებება ღვთიურ სიმბოლოთა შემნახველი მოგვი მეგობრული ლიმილით და მიულოცავს გამოცდის პირველი ეტაპის გავლას. გალერიის კედლებზედ ორი რიგია ფრესკებისა, თერთმეტ თერთმეტი, ნაზად განათებული ბროლის ლაპტრით. მოგვი უხსნის მოწაფეს სიმბოლიურ ფრესკების მნიშვნელობას. ყოველი სურათის დაბლა სჩანს წარწერა: ასო და რიცხვი, ოცდა ორი ნიშანი, რომელიც გამოხატავს ოცდაორ პირველ საიდუმლოებას, ოკულტური მეცნიერების ანბანს, ე. ი. აბსოლუტურ პრინციპებს, გასაღებებს, რომლებიც ხდებიან წყაროდ სიბრძნისა და ძალისა, თუ მათ აამოძრავებს ნებისყოფა. თითოეული ასო და თითოეული რიცხვი გამოხატავენ სამეულ კანონს, რომელსაც აქვს თავისი ანარეკლი ღვთაებრივ, გონებრივ და ფიზიკურ სამყაროში. ამნაირად ასო ა, რომელიც შეესბამება რიცხვს 1-ს აღნიშნავს ღვთაებრივ სამყაროში აბსოლუტურ არსებას, რომლისგან წარმოიშვებიან ყველა არსებანი; გონებრივ სამყაროში ის გამოხატავს მთლიანობას, წყაროს და სინთეზს ჩიტებებისა; ფიზიკურ სამყაროში კი-აღამიანს, მიწიერ არსებათა შორის უმაღლესს, რომელსაც შეუძლია თვისი ნიჭის განვითარებით ამაღლდეს განუსაზღვრელ სფერომდე.

დიდხანს უმარტავდენ მოწაფეს ღვთაებრივი რიცხვებისა და ასოების მნიშვნელობას. ბოლოს მიიყვანდენ მოგვების გვირგვინამდე და ეტყოდენ: „დაიმახსოვრე, რას ნიშანავს ეს გვირგვინი. ყოველი ნებისყოფა, რომელიც უერთდება ღვთაებრივ ნებისყოფას სიმართლისა და სამართლიანობის სამსახურისათვის, ამ ცხოვრებაშივე პოულობს ძალასა და უფლებას ყოველ არს-თა და ნივთთა სახელმძღვანელოდ. ეს არის საუკუნო ჯილდო განთავისუფლებული სულისათვის.“

მაგრამ ნამდვილი გამოცდა ახლა იწყებოდა. მოწაფეს უშვებდენ მეტად ვიწრო და გრძელ დერეფანში, რომლის ბოლოს დიდი ცეცხლი ენთო. „ეს ხომ სიკვდილია,“ შიშით და ურუანტელით ტანში ლულლულებდა მოწაფე. „შიში აშინებს, შვილო, მარტო მოუმწიფებელ სულებს,“ უპასუხებდა მოგვი და ულებდა კარებს, რომელიც ჰყოფდა დერეფანს სამბოლოების გალერიისაგან. ცეცხლთან მიახლოვებისას მოწაფე შეამჩნევს, რომ ცეცხლს ჰყოფს სულ პატარა ბილიკი, რომლითაც დიდი გაჭირვებით შეიძლება გავლა. ცეცხლის იქით მოწაფეს დახვდება დაგუბებული შავი ტბა, რომელსაც უკან დატვებული ცეცხლი ნათელ აფრქვევს. მოწაფემ ტბაც გაიარა. იქ დაპირდენ მას ტაძრის მსახურნი და შეიყვანეს ბნელ გამოქვაბულში. აქ გააშრეს იგი, ტანი დაუზილეს სხვა და სხვა სუნელოვანი ზეთებით, გადასახეს ესენციები და სუფთა ტანისამოსში გადაუმული დატოვეს დასასვენებლად. ღრმა ფიქრებს მიცემულ მოწაფეს შორითგან მოესმა უმშვენიერესი მუსიკა, რომელიც თანდათან ახლოვდებოდა, და ოცნებით გატაცებულს წარუდგა აუწერელი სილამაზისა და სიცოცხლით საქსე, ვნებით მღელვარე, ცეცხლ-თვალა ნუბიელი ქალწული, რომელიც მთელის ეშჩით და ჯადოსნური ცდუნებით მოწაფეს იზიდავდა. თუ მოწაფე ვერ სძლევდა აღშფოთებულ ფიზიკურ გრძნებებს, ვაი მის გამოგხიზლებას! გრძნობდა თავს დამძიმებულს, დაკარგულს, ყველასაგან უარყოფილს და მიტოვებულს. მის წინ აღიმართებოდა მრისხანედ ჰიეროფანტი: „შენ სძლიე სიკვდილს ქვესწელში, ცეცხლში, წყალში, მაგრამ ვერ დასძლიე შენივე თავი; შენ, რომელმაც გაბედე განგეძრახა უმაღლეს სულიერ სფეროში ასვლა, პირველსავე შემთხვევაში ფიზიკურმა მოთხოვნილებამ გძლია და გადავარდი მატერიის უფსკრულში. ვინც თავისი ბუნების მონაა, ის რჩება მუდმივ სიბნელეში. შენ სინათლეს სიბნელე ამჯობინე. მე გაფრთხილებდი რაც მოგელოდა: ამიერიდან დარჩები ტაძრის მუდმივ მონად სიკვდილის შიშში.“ ხოლო თუ მოწაფე სძლევდა ამ ცდუნებას, მაშინ თორმეტნი მსახურნი შეიყვანდენ მას ჩირალდნებით ხელში დიდი ზეიმით იზისის ტაძარში. აქ ჰიეროფანტები თეთრად მოსილნი ელოდენ მას. იზისის ქანდაკებასთან მოწაფე ფიცს სდებდა სიჩუმისა და მორჩილებისა.

ახლად მიღებული ქმა დიდ მასწავლებელთა შორის თავს თითქო ღმერთებთან გრძნობდა. სძლია რა მან თავის თავს, იგი შედიოდა პირველად საუკუნო ჭეშმარიტების სფეროში. მაგრამ დიდხანს უხდებოდა მას ჭეშმარიტების კარიბჭესთან ლოდინი. ახლა იწყებოდა მისთვის გრძელი წლები შრომისა და სწავლისა. დრო განაწილებული ჰქონდა შემდეგნაირად: ლოცვა და მედიტაცია თავის საკანში, შემდეგ სწავლა ჰიეროგლიფებისა ტაძრის დარბაზში და ეზოში, რომელიც ისეთი დიდი იყო, რომ მთელი ქალაქი შიგ ჩაეტეოდა. სწავლობდა ბუნებისმეტყველებას, აღამიანთა და ხალხთა ისტორიას, მკურნალობას, ხუროთ-მოძღვრებას და საღმრთო მუსიკას.

ეს განსწავლა და მედიტაცია დიდი ხანი გრძელდებოდა, სანამ მოწაფე მიახწევდა საკუთარი ძალონით სულის გაფაქიზებას, გარდაქმნას მისი არსებისა. მას შეეძლო შეეცნო ჭეშმარიტება მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ჭეშმარიტება გახდებოდა ნაწილი თვით მისი შინაგანი არსებისა და მისი სულის ბუნებრივი გამოვლინება. „ჭეშმარიტების მიცემა შეუძლებელია, ეუბნებოდებ ბრძენნი მოწაფეს, მისი მიგნება შეიძლება ან საკუთარი თავის არსებაში, ან სულ არასოდეს. ჩვენ არ შეგვიძლია შენგან შევქმნათ ჩვენი თანამგზავრი,

თვით უნდა შეიქმნა ასეთად. ლოტოსი დიდხანს იზრდება წყალქვეშ, სანაზ გული იშლება მისი ყვავილი. ნუ დააჩქარებ ღვთიური ყვავილის გაშლას. იმუშავე და ილოცე.“

მოგვი აცნობდა ადეპტს ჰერმესის სწავლას: — ყველა ის, რაც არა ხორციელია, უხილავია და არა აქვს ფორმა, არ შეიძლება შევიწიოთ ჩვენი გრძნობებით. ის, რაც მარადიულია, არ შეიძლება გაზომილ იქმნას დროს მოკლე საზომით; მაშასადამე, ლერთი გამოიუთქმელია. ლერთის შეუძლია მიანიჭოს ზოგიერთ რჩეულს უნარი ამაღლდეს მიწიერი ბუნებითგან, რომ ეზიაროს მისი სულიერი სრულყოფის ბრწყინვალებას, მაგრამ რჩეული ვერ პოულობენ ენას განცდილის გადასაცემად. მათ შეუძლიათ აუხსნან კაცობრიობას ქმნილების მეორე ხარისხის მიზეზები, ხოლო მის პირველ-მიზეზი რჩება აუხსნელი და მისი ასხის მიხწევა შეიძლება მხოლოდ სიკვდილის იქთ.

„— „სული არის ქალწული ზეცისა, ხოლო სკლა მისი, გამოცდა მისი. თუ მან მატერიისადმი სიყვარულის გამო დაკარგა ხსოვნა თვისი წარმოშობისა, მაშინ მასში დაფარული ღვთიური ნაპერწყალი, ბრწყინვალე ვარსკვლავად რომ შეეძლო ქცეულიყო, უბრუნდება ეთეროვან სივრცეს და იქ ქარიშხალში უხეშ ელემენტებად განითანცება. მაგრამ ლოცვით განწყედილი სული ნეტარებით ჭვრეტს, თუ როგორი მშვენიერი და საიდუმლო რითმით ბრუნავენ ქვეყნიერებანი. სული არის ნათელი, ფარდით დაბურული. როცა მას აკლია მოვლა, ის ბეჭედება და ქრება. ხოლო როცა მას ასაზრდოვებენ, როგორც ზეთი ლამპარს, იგი წმიდა სიყვარულით უქრობლად აღინთება.“

მოწაფე აფრითხილებდენ, რომ სრული სწავლის მიღება შეეძლო მხოლოდ მარტო იმას, ვინც მთელ გამოცდას გაივლიდა. ჭეშმარიტების გახსნა ფრთხილად უნდა მომხდარიყო. სუსტა წინაშე იგი უნდა დაეფარათ, რომ არ გაგიუებულიყვნენ, ბოროტათვის კი უნდა დაემალათ, რომ ნაწყვეტი მისი მაინც არ დაეჭირათ და არ გამოეყენებინათ დამანგრეველ საჭურვლად.

მოწაფე გრძნობდა თანდათან სრულ გარდაქმნას. იგი ამწევდა, თუ როგორ შთანთქებოდა მისი მიწიერი მე და როგორ წარმოიშვებოდა სხვა, უფრო წმიდა და ამაღლებული. იგი ხშირად მიეცემოდა თავდავიწყებას და მიმართავდა იზისს ლოცვით: „ზორი იზის! სული ჩემი ცრემლია შენი თვალებისა; დეე დაეცეს ის ნამის მსგავსად სხვა სულთ! დეე ვიგრძნო მე, მოკვდავმა შენამდე აღმავალი სუნნელოვანება მისი!“

ხანგრძლივი განსწავლის შემდეგ, ერთ სალამოს მოგვი მიმართავდა მოწაფეს: „შვილო ჩემო, ახლოვდება უამი, როდესაც ჭეშმარიტება შენ წინ გაიხსნება და გახდები ზეგარდმოცხებული, რათგან შენ დაიმსახურე ეს გულის სიწმიდით და ჭეშმარიტების სიყვარულით. მაგრამ ვერავინ ვერ გადალახავს კარიბჭეს ოზირისისა, თუ მან აქვე არ განიცადა სიკვდილი და აღდგომა. ჩვენ მიგაცილებთ აკლდამამდე, ნუ შეშინდები, რათგან შენ უკვე ერთი ჩვენი ძმათაგანი ხარ.“

სალამოს უამს ოზირისის ჭურუმები ჩაიყანდენ ტაძრის აკლდამაში მოწაფეს, ჩაწვენდენ სარკოფაში და ეტყოდენ: „ადეპტი ცოცხლად ჩადის სამარეში, რომ ამ ცხოვრებაშივე შევიდეს ოზირისის ბრწყინვალებაში. მოუცადე საფლავში სინათლის მოვლინებას. ამ ღამეს შენ უნდა დასძლიო შიში და მიახწიო თვითფლობის კარიბჭეს.“

ადეპტი მარტო რჩება სიბნელეში. სამარის სიცივე შეიძყრობს მას. ნა-

წილები უშეშდება. ნელი-ნელ იშლება მის წინ მისი ცხოვრების სურათები, ხოლო მისი მიწიერი შეგნება უფრო და უფრო ბუნდოვანი ხდება. რამდენადაც მისი სხეული რინდდება, მისი ეთერული ნაწილი თავისუფლდება და ვარდება ეკსტაზში... იგი ხედავს ბრწყინვალე სინათლეში იზისის მოახლოვებას, რომელსაც ხელში პაპირუსი უჭირავს. „მე ვარ შენი უხილავი და, მე ვარ შენი ღვთაებრივი სული და ეს — წიგნია შენი ცხოვრებისა. ის შეიცავს შენი წარსული ცხოვრების მოთხრობას და თეორ ფურცლებს შენი მომავალი თავგადასავალისა. დადგება დრო, როდესაც მას გადავშო შენს წინაშე“... და იზისი ამ სიტყვებით ქრება... საშინელი შეძრწუნება!.. ადეპტი გრძნობს თავს თავის სხეულში კვლავ დაბრუნებულს. მას ეღვიძება და ხედავს ჰიეროფანტს მისი მხლებლებით. მას გარს ეხვევიან, აძლევენ მომაღლონიერებელ სასმელებს, იგი დგება. „შენ აღდეგ ახალი ცხოვრებისათვის,“ ეუბნება ჰიეროფანტი. „წავიდეთ ერთად საიდუმლო-განდობილთა კრებაზედ და გვიამ-ბე შენი მოგზაურობა ოზირისის სამფლობელოში.“

თბილ და მშვენიერ ეგვიპტის ღამეს ოზირისის ტაძრის უფროსი უმხელ-და ახალ ძმას უმაღლეს სიბრძნეს ჰერმესის ხილვის სახით: „ისმენდეთ თქმენს საკუთარ სილრმეში და განიცდიდეთ დაუსრულებლობას სივრცისა და დრო-ისა. იქ მოისმის გალობა ციურ მნათობთა, ხმა რიცხვთა, ჰარმონია სფეროთა.

რასა იქმან მნათობნი ცისანი? რას უბნობენ რიცხვი? რას აბრუნებენ თვის წიაღთა შინა სფერონი?

ჰოი სულნო, წარწყმედილნო და ცხოვნებულნო, იგინი უბნობენ, იგინი გალობენ, იგინი აბრუნებენ ბედთა თქვენთა.“

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ნინო ხალია

„ლ ა მ ა რ ა“

„ლამარა“ არის საქართველოს გული და სული. „ლამარა“ არის საქარ-თველოს თაიგული. „ლამარათი“ რუსთაველის თეატრმ გაიმარჯვა და ლირ-სეული სახელი მოიხვეჭა, არა მარტო თბილისში და მთელ საბრძოლოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში.

1930 წელს რუსთაველის თეატრი გაემგზავრა მოსკოვში, საბჭოთა კავ-შირის სათეატრო ოლიმპიადაზე, თეატრთა შორის პირველობისათვის შეჯი-ბრში მონაწილეობის მისაღებად. მან პირველობა მიიღო საბჭოთა კავშირის თეატრთა შორის. ზოგიერთ მსახიობებს, მათ შორის აკაკი გიასაძეს და ეკაკი ხორავას მიანიჭეს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტთა სახელწოდება. გა-მოჩენილი არტისტები დააჯილდოვეს ორდენებით.

უნდა აღინიშნოს რომ, რუსთაველის თეატრს ეს დიდი გამარჯვება არგუნა „ლამარაზ“, და დღეს საქართველოს ყველა კუთხეში გაისმის სახე-ლი „ლამარა“. ჩვენც, სირიაშიც გვყავს „ლამარა“ ლერწამივით ტანისა, ქა-რთველი ქალის სილამაზის თაიგული, ახალგაზრდა გოგონა ლამარა მხეიძე.

რუსთაველის თეატრი მოსკოვში გამგზავრებამდე საგასტროლოდ იყო ბათუმში. მან დადგა „ლამარა“ და ისეთი სახელი მოიხვეჭა, რომ ახალგაზრდები და მოხუცებულებიც კი, ჩამოდიოდენ ბათუმში, ხულოს, ქედის და ქობულეთის რაიონებიდან რომ „ლამარა“ ენახათ. ბ-ნი გრიგოლ რობაქიძე სიხარულით აღნიშნავს „ბ. ქ.“ ერთ ერთ ნომერში, რომ ბათუმში ეთქვათ აჭარლებს მსახიობთათვის: იქ, საღაც ვაჟა მიესალმება ხევსურებს, ჩაუმატებდეთ ერთ სახელსო, „აჭარა!“ ხედავთ როგორ მოხვედრიათ „ლამარა“ ჩვენ მუსულმან ძმებსონ.“

მართლა პირველ საღამოსვე გაისმა ძახილი დარბაზიდან, რატომ არ არის „აჭარა“ და სხ.. ჩვენი აჭარელი ახალგაზრდები ისე მოხიბლა „ლამარამ“, რომ ახმეტელთან მიღიოდენ ჯვუფ-ჯვუფად რუსთაველის თეატრის სტუდიაში ჩასწერად.

რუსთაველის თეატრმა და პირადად ახმეტელმა დაუგიშყარი და ფას-დაუდებელი ლვაწლი დასდეს სამუსულმანო საქართველოს. რეესისორმა ახმეტელმა გამოზარდა რუსთაველის თეატრში 32 საუკეთესო ახალგაზრდა მსახიობი. და დღეს ბათუმში რომ არის ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვით აშენებული თეატრი, (1200 ადგ.) რომელიც ერთ ერთ საუკეთესო თეატრალითვება მთელ საბჭოთა კავშირში და ჰყავს საკუთარი კადრი რუსთაველის თეატრში გამოზრდილ მსახიობთა, უნდა მიეწეროს სანდრო ახმეტელის ლვაწლს და გრიგოლ რობაქიძის „ლამარას“.

პ. მ. ხინიკაძე-ქობულეთელი

გ ი ბ ლ ი რ ი ბ რ ა ვ ი ა

Lives and the Legends of the Georgian Saints, by David Marshall Lang.

ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი ბ. დავით ლანგი დაუღალვად განაგრძობს მუშაობას ჩვენი კულტურის უცხოელებისათვის გასაცნობად. უკანასკნელ ხანებში მან გამოსცუ ინგლისურ ენაზე ქართველ წმინდანთა ცხოვრება, რომლის შესახებ საგანგებო წერილი იყო მთავსებული მ. მიხეილ თარხნიშვილის მიერ ჩვენი უურნალის №23-ში.

მოუწოდებთ თანამემამულეთ შეიძინონ ჩვენი ინგლისელი მეგობრის ეს შეტად საინტერესო შრომა. წიგნის დაკვეთა შეიძლება:

M. W. Smith, 248, rue de Rivoli, PARIS.

Librairie Galignani, 224, rue de Rivoli, PARIS.

LONDON : Messrs. George Allen Unwin, Museumstr.

NEW YORK : The Macmillan Company.

ა. წ. აპრილში გამოვიდა აგრეთვე ბ. დ. ლანგის შრომა:

The last years of the Georgian Monarchy (1658-1832).

Columbian University Press, 2960 Broadway, NEW YORK 27, N. 9.
Distribué en Europe par Oxford University Press, ainsi que par Messrs.
Basil Blackwell, Broad Street, Oxford.

ამ წიგნს ჩვენ შევეხებით „ბ. ქ.“ საგანგებო ნომერში უცხო ენებზე.

ციურიხში გამოვიდა გერმანულ ენაზე „ვისრამიანი“, თარგმნილი რუტ ნოიკომისა და კიტა ჩხენქელის მიერ. თარგმნილია შემოქლებული ტექსტითვანი. წიგნს დართული აქვს ბოლო-სიტყვაში მოქლე მიმოხილვა ქართული ლიტერატურისა.

გამოვიდა ალ. მანველიშვილის შრომა, რომელიც შესღება ორი მონოგრაფიისაგან: კერძო საკუთრება და მიწის საკითხი საქართველოში.

რედაქციამ მიიღო ქ-ნ თამარ პაპავას შრომა — „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“, წიგნი მე-2-ე, აგრეთვე ბ. აკაკი პაპავას ლექსთა კრებული „უცხო ჭიშვილთან.“

ინგლისურ უურნალ „აზიატიკ რევიუ“-ში გამოქვეყნდა კანსვენებულ ისიდორე მანწყავას წერილი: „ოქროს ხანა საქართველოში“.

ყოველთვიურ უურნალში „ნასიონ-უუროპა“ №4, 1957, მოთავსებულია ბ. ნიკო ნაკაშიძის ნარკვევი: „ეროვნული რევოლუციები.“

ფრანგ სოციალისტების უურნალ „პოპულერში“ ბ. იოსებ ვოჩეჩიამ გამოაქვეყნა რამდენიმე წერილი საქართველოს შესახებ.

† ელენა რობაქიძე

სანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ (23.2.57) უენევაში გარდაიცვალა ელენა რობაქიძე, ფიალკინის ასული.

განსვენებული იყო მწერალი. მის კალამს ექუთვნის შესანიშნავი ნოველა „ნინია“, დამეტდილი გერმანულად და რუსულად, სადაც უალრესი სიღრმით არის მშობლიური მიწის ძალა ნაგრძნობი და გადმოცემული. მან დასწერა აგრეთვე რომანი „ნინა“, რომელიც თარგმნილია გერმანულად. ფსევდონიმი განსვენებულისა იყო: ელენა ორიოლ.

უურნალი „ბერი ქართლისა“ მისი თანამშრომლებით იზიარებს გრიგოლ რობაქიძის ღრმა მწუხარებას მისი ერთგული თანამგზავრის დაკარგის გამო.

გ ა ღ ლ ღ ბ ა

თანამემამულეებს, აგრეთვე ორგანიზაციებს და რედაქციებს, რომელთაც გაიზიარეს ჩემი მწუხარება ჩემი დაუვიწყარი ცოლის ელენეს გარდაცვალების გამო, ვუცხადებ უღრმეს მაღლობას.

განსაკუთრებით მაღლიერი ვარ ნინო და კალე სალიასი: მოვიდენ აქ, დაჟყვეს ერთი კვირა, მამხნევებდენ, მამაგრებდენ და მანუგეშებდენ.

ჩემი დიდი მაღლობა აგრეთვე პანაზვიდის მომწყობთ პარიზში და ქართველ მწერალთა და უურნალისტთა კავშირს საფრანგეთში გვირგვინისათვის.

უენევა.

გრიგოლ რობაქიძე

ჭ სციმონ (სოსო) გეგელა შვილი

„ბედი ქართლისა“ თანაგრძნობას. უცხალებს განსვენებულის ოჯახს და მეგობრებს.

ჭ დავით ერქომაიშვილი

„ბედი ქართლისა“ ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს დავით ერქომაიშვილის ტრალიულად დალუპეის გამო. სამძიმარს უცხალებს მის მეუღლეს და მეგობრებს.

ჭ ქ. გრიგოლ ალშიბაია

ჩრდილოეთ ამერიკაში მძიმე ავაღმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქ. გრიგოლ ალშიბაია.

განსვენებული იყო საქართველოს წარმომადგენელი აზერბეიჯანში. ემიგრაციაში — ხელმძღვანელი ქავერისური ოფისისა ვარშავაში.

„ბედი ქართლისა“ თანაგრძნობას უცხალებს მის ოჯახს, ნაოესავიბს და მეგობრებს.

ჭ ლუკა ყაზაიშვილი

ქ. ნიუ-იორკში მძიმე ავაღმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ლუკა ყაზაიშვილი, რასაც ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას.

ჭ გენ. ალექსანდრე ზაქარიაძე

ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ მოხუცებულთა სახლში, ამონდანში, გარდაიცვალა გენ. ალექსანდრე ზაქარიაძე, საქართველოს რესუბლიკის მთავარი შტაბის უფროსი.

დაკრძალულ იქმნა ლევოლში ქართველთა სასაფლაოზე.

მწერალთა და უურნალისტთა კავშირში

საფრანგეთში მყოფ მწერალთა და უურნალისტთა კავშირის თაოსნობით დაარსებულ იქმნა კომისია, რომელსაც ევალება ილია ჭავჭავაძის სიკვდილის 50 წლის აღსანიშნავად საღამოს მოწყობა.

რედაქციისაგან

„ბედი ქართლისა“ საგანგებო ნომერი უცხო ენებზე გამოვა ოქტომბერ-ნოემბერში.

პრებულის უოდი, №№ 22-23.

შემოსწორება: ბ.ბ. მ.გ. — 25.000 ფრ., ვ. ანდრონიქაშვილმა — 2000 ფრ., ნ. ჩ. — 14.000 ფრ., ქ-ნ ქსენია სასანიამ — 13.000 ფრ., ქ-ნ ნათელა ნედებადა — 9.000 ფრ., პროფ. ალ. ნიკურაძემ — 8.500 ფრ., გ. დევდარიანმა — 8.000 ფრ., მ. ტულუშმა (კლიშებისათვის) — 7.000 ფრ., ზ. მაჩაბელმა — 4.000 ფრ., მოსე შანიძის ხსოვნისათვის — 4.000 ფრ., რ. ა. — 2.500 ფრ., მ. დევიძემ — 2.300 ფრ., პროფ. კ. თუმანოვმა — 2.000 ფრანკი, ალექსანდრე ჯინჭარაძემ — 2.000 ფრ., ვ. ვაჩნაძემ — 2.000 ფრ., ათას-ათასი ფრანკი: გ. ჯავახიშვილმა, ალ. ყიფიანმა, დ. ქვარიანმა, ი. თაყაიშვილმა, ალ. ტატიშვილმა, ა. შავგულიძემ, ვ. ინაშვილმა, ვ. მაჩაბელმა და შ. გიორგაძემ. სულ — 132.900 ფრ..

რედაქცია უღრმეს მაღლობას უცხალებს შემომწირველთ.
იმედოვნებს, მომავალშიც დაქმარებიან მას.